

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი

ლავრენტი ჯანიაშვილი

1944 წელს სამხრეთ საქართველოდან  
გასახლებულთა ეთნოისტორიული  
პრობლემები

(კულტურული იზოლაცია, ჯგუფთაშორის  
ურთიერთობათა თავისებურებანი და რეპატრაციის  
პერსპექტივა)



თბილისი  
2006

წიგნის გამოცემა დააფინანსა  
ჯონ დ. და კეთრინ ტ. მაკარტურების ფონდმა  
ჩიკაგო, აშშ

**Publication of this book was made possible to  
The John D. and Catherine T MacArthur Foundation  
Chicago, USA**

რედაქტორი: ლია მელიქიშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: როლანდ თოფჩიშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ნათია ჯალაბაძე  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მ. ბუტიკაშვილი

ISBN 9940-23-35-7

© ლ.ჯანიაშვილი, 2006.

© გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2006.

## შესავალი

სამხრეთ საქართველოდან 1944 წ. დეპორტირებული კონტინგენტის მეცნიერულ კვლევას პრაქტიკულ-სახელმწიფოებრივი (გეოპოლიტიკური და ეკონომიკური) ასპექტები აქვს. ჩვენი საზოგადოების ყურადღება ამ პრობლემამ განსაკუთრებით 1980-იანი წლების ბოლოდან მიიპყრო, როდესაც ფერდანას ოლქიდან (მაშინდელი უზბეკეთის სსრ-ში) დევნილი ათასობით ადამიანი ქვეყნის საზღვრებს მოადგა და წინაპართა საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება მოითხოვა. მართალია, შემდეგ ეს საკითხი არაერთხელ ქცეულა დაპირისპირების საბაბად, მაგრამ არც ქართულ საზოგადოებას დეპორტირებულთა შესახებ და არც გასახლებულებს საქართველოში არსებულ სიტუაციაზე, სრულყოფილი წარმოდგენა არ გააჩნიათ. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ პრობლემა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების სფეროში მოექცა და მათი ზეწოლით გადაწყვეტის პერსპექტივა შეიძინა, რიგი სახელმწიფოები (თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი) არ მალავენ, რომ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ.

მეორე ათასწლეულის ბოლოსათვის კაცობრიობა განვითარების თვისობრივად ახალ ეპოქაში შევიდა, რომელსაც ფაშისტური და შემდგომ კომუნისტური იდეოლოგიების კრახისა და ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრების გამო, ფრენსის ფუკუიამამ ისტორიის დასასრული უწოდა /176/. გაჩნდა პერსპექტივა, რომ დიდი სახელმწიფოების ინტერესთა პრიორიტეტულობა და შესაბამისად სერიოზული კონფლიქტები წარსულს ჩაბარდებოდა. თუმცა გაირკვა, რომ ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები ახალი მსოფლიოსათვისაც არ არის უცხო. მალე საბჭოთა კავშირის ადგილზე პრეტენზია განაცხადა რუსეთმა. ჩამოყალიბდა შესაბამისი გეოპოლიტიკური თეორიაც, რომელიც აპრიორად იღებს ორპოლუსიანი მსოფლიოს არსებობას, სადაც დაპირისპირება გარდაუვალია. ზოგადი გეოპოლიტიკური სურათიდან გამომდინარე ამ მოვლენებში კავკასიასაც გარკვეულ როლს ანიჭებენ. პოტენციურ კავკასიურ ომში ერთმანეთს უპირისპირდება, ორი მეტოქე, ევრაზიული და ატლანტიკური პოლუსი /177/.

ატლანტიკების (ცენტრით ვაშინგტონი) მიერ გაცხადებული მიზანი "ახალი წესრიგის" დამყარებაა, ამ ტერმინის უკან ანალიტი-

კოსთა ნაწილი მსოფლიოზე ბატონობის შენიღბულ სურვილს ხედავს, რისთვისაც საჭირო გახდა „ძველი წესრიგის“ ტოტალურ ქაოსამდე მიყვანა, მისი საძირკვლის დანგრევა, შემადგენელ ნაწილებად დაშლა, ატომიზირება და „ახალი წესრიგის“ მშენებლობისთვის საჭირო ნედლეულად ქცევა. ათვლის წერტილს ”ახალი მსოფლიო წესრიგის“ ინციატივით წამოწყებული ძველ სამყაროსთან კონფლიქტი წარმოადგენს. ამ კონფლიქტის პოლუსებს აერთიანებს ორი გეოსტრატეგიული ღერძი: I. ვაშინგტონი – ტოკიოს ღერძი, რომელიც ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების საზღვაო სივრცეს აკავშირებს; II. მოსკოვი-თეირანის ღერძი, რომელიც ევრაზიის სახმელეთო სივრცეს აერთიანებს. ამ ორი ღერძის გადაკვეთის წერტილია – კავკასია /178.120/.

ევრაზიული პარადიგმის ავტორი, ა. დუგინი, მიიჩნევს, რომ პოლუსების ირგვლივ სხვადასხვა ფაქტორების გავლენით გაერთიანებული ქვეყნები მომავალში ალიანსებს შექმნიან. ევრაზიულ ალიანსში იგი მოაიაზრებს რუსეთის ირგვლივ შეკრებილ მეტ-ნაკლებად აქტიურ სახელმწიფოებს: ბელორუსს სომხეთს, სერბეთს, უკრაინას, ტაჯიკეთს, ყირგიზეთს, ასევე ირანს, ინდოეთს, ჩინეთს და საბერძნეთსაც. ამ დაპირისპირებაში ჩაბმული აღმოჩნდა საქართველოც, რომელიც განსხვავებული რელიგიური სპეციფიკისა და შესაბამისი გეოპოლიტიკური ორიენტაციის მქონე ქვეყნების და ხალხების გარემოცვაში იმყოფება. დუგინის თანახმად, ამგვარ სიტუაციაში საქართველოსთვის, რომლისთვისაც მართლმადიდებლობა გეოპოლიტიკური იდენტურობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტორად რჩება, ბუნებრივი მოკავშირეა ალიანსი ცენტრით მოსკოვში (ამ ეტაპზე ეს მხოლოდ ევრაზიული კონცეფციის მიმდევართა სურვილად რჩება – ლ.ჯ.).

გეოპოლიტიკურ გაანგარიშებებში დიდი როლი ენიჭება თურქეთსა და მასზე ორიენტირებულ ხალხებს. რუსეთში კვლავაც მიიჩნევენ, რომ ”ამერიკელთა განსაკუთრებული სტრატეგიული პარტნიორი რეგიონში თურქეთია”, მიუხედავად იმისა რომ, ჩრდილო ატლანტიკური ბლოკი უკვე აღმოსავლეთ ევროპიდანაც გაუმეზობლდა მათ. ამასთან დსთ-ს ზოგიერთი ქვეყანა (უკრაინა, საქართველო) არ მალავს სურვილს ნატოში გაწევრიანების თაობაზე. არსებობს, პან-თურქისტული იდეოლოგია, რომელის მიმდევრებიც ანატოლიიდან



შუა აზიასა და ურალამდე თურქული მოდგმის მოსახლეობის გაერთიანებასა და პოლიტიკური სტრუქტურის შექმნაზე ოცნებობენ /227.23/. საქართველოს ტერიტორიასა და ჩრდილო კავკასიაში თურქული ორიენტაციის ხალხების მომრავლებით შეიკვრება ჯაჭვი ანატოლიიდან ურალისპირეთსა და შუა აზიამდე\*, რაც პანთურქისტა ოცნებების განხორციელების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. რუსულ (ასევე თურქეთის მეზობელი სხვა ქრისტიანული ქვეყნების) საზოგადოებაში, არსებულ ანტითურქულ განწყობილებას ასაზრდოებს, ასევე, თურქებთან საუკუნოვანი მტრობის შესახებ ისტორიული მეხსიერებაც.

XX საუკუნის ბოლოს სსრკ-ს არსებობის პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალ-პოლიტიკური და ეთნოლემოგრაფიული წონასწორობა იდეოლოგიური კრახის ფონზე განვითარებულმა მძაფრმა მოვლენებმა დაარღვია. რადიკალურად შეიცვალა როგორც ყოფილ იმპერიაში არსებული სიტუაცია, ასევე კრემლიდან მომდინარე იმპულსები. სხვადასხვა ძალები შეეცადნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნება თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ, რისთვისაც კონფლიქტების გაჩაღებასაც არ ერიდებოდნენ. ჩამოყალიბდა ეთნიკური დაპირისპირების რამდენიმე კერა, რომელთა ერთი ნაწილი (შუა აზიაში, კავკასიაში და ა.შ.) ღია კონფლიქტში გადაიზარდა. ასეთ პირობებში მიგრაციები უფრო ინტენსიური გახდა და ზოგიერთი რეგიონის ეთნოლემოგრაფიულმა სტრუქტურამ ნაწილობრივი ტრანსფორმაცია განიცადა.

XX ს-ის ბოლოს პოლიტიკური და რელიგიური კატაკლიზმები, რელიგიური მიმდინარეობების ინტენსიფიკაციისა და ინფილტრაციის მაღალი აქტიურობის ფონზე მიმდინარეობდა. იდეოლოგიური დოქტრინების კონფლიქტი მეტწილად სარწმუნოებრივ მომენტებს დაუკავშირდა, სადაც ერთი მხარე საბრძოლო დროშის ქვეშ მუსლიმანური თემის გაერთიანებითა და ისლამის პოლიტიზაციით ცდილობს მიზნების მიღწევას. ახალ, პოსტკომუნისტურ, სივრცეში ე.წ. "ორი ცივილიზაციის" შეჯახების ეპიცენტრად იქცა კავკასია და ბალკანეთი. ამ რეგიონებში ახალი სახით წარმოდგნენ ისლამის მებ-

---

\* პანთურქისტები სერიოზული არგუმენტაციის გარეშე თურქული მოდგმის ხალხებს მიაწერენ ჩიჩნებს, კაზაკებს და სლავური მოდგმის ცალკეულ ხალხებს /225.30-31/.

რძილი მიმართულებები (დაფინანსებას ისინი ისლამური სამყაროდან ღებულობენ). მებრძოლ ისლამისტთა ლექსიკონში ჩვეულებრივად იქცა სიტყვები "ჯიჰადი" და "ჰაზაეთი".

მუსლიმანებით კომპაქტურად დასახლებულ და სხვა რელიგიების მიმდევართა საზღვარზე მდებარე რეგიონებში გაიზარდა კონფლიქტების ალბათობა. ასეთი საშიშროების კონტურები იკვეთება საქართველოს ზოგიერთ კუთხეშიც, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენლებითა კომპაქტურადაა დასახლებული /132.68/. ეს ადგილები პოლიტიკური და ეთნოკულტურული დისტანცირების ნიშნით მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესების დიდი ინტენსივობით ხასიათდება, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს ქვეყნის ძირითად მოსახლეობისაგან კონფესიური განსხვავებულობა. ე.წ. მუსლიმანური რაიონები, სადაც რეისლამიზაციის დროშით პოლიტიკური და ფუნდამენტური ისლამური მიმდინარეობების შემოტანა შეიძლება განხორციელდეს, კონფლიქტური სიტუაციების მაღალი რისკის მატარებლად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარ პირობებში მიგრანტთა გადაადგილება დსთ-ს ქვეყნებს შორის გარკვეულ პრობლემებს ქმნის და პოლიტიკური რიტორიკის საგანი ხდება. გადაადგილებულ ჯგუფთა ახალ ადგილებზე ადაპტაცია საკმაოდ მტკივნეული საკითხია. კულტურის, რელიგიის, ენისა და პოლიტიკის სხვადასხვაობის გამო, ლეგიტიმიზაცია ხშირად "ეთნიკურობის" ნიშნით მიმდინარეობს და ზოგჯერ კონფლიქტის პროვოცირებაც ხდება. ეთნიკურობის ნიშნით გაერთიანებული ჯგუფი, როგორც წესი ისწრაფვის საკუთარი უფლებების დაცვისა და გაფართოებისაკენ, რათა მომავალში თავისი იერსახის შენარჩუნება უზრუნველყოს. ამრიგად ეთნიკური ცნობიერება, როგორც პოლიტიკური მოვლენა "კონფლიქტის ფორმას" წარმოადგენს /160.1/.

მიგრაციათა ძირითადი ვექტორები, ხასიათი და მასშტაბები გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით იცვლებოდა. მანამდე არსებობდა სლავური (ძირითადად რუსი) მოსახლეობის სსრკ-ს პერიფერიებში განსახლების ტენდენცია. 60-იან წლებში დაიწყო საპირისპირო პროცესი, ხოლო 70-იანი წლებიდან რუსულენოვანი მოსახლეობის გადინებამ არასლავური რესპუბლიკებიდან მასობრივი ხასიათი მიიღო. 80-იანი წლებისათვის სსრკ-ს შემადგენლობაში შემაველი ყვე-

ლა რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი გახდა არამკვიდრი მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი საღლო /154.125/.

XX საუკუნის ბოლოს, ეკონომიკური მიგრანტები მიაწყდნენ, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილს. ამასთანავე, იძულებით განდევნილი ეთნიკური მიგრანტები მონათესავე ხალხით დასახლებულ ქვეყნებშიც ეძებდნენ თავშესაფარს. მიგრაციებმა თითქმის მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია მოიცვა. გადასახლებულთა ადაპტირებას და საზოგადოებრივი ბალანსის შენარჩუნებას სხვადასხვა ქვეყნის მესვეურები განსხვავებულად მიუღვნენ, რაც მათ მიერ გატარებულ მიგრაციულ პოლიტიკაზეც აისახა, ამიტომ მიგრანტების მდგომარეობაც განსხვავებულია. ამ მიმართებით გამონაკლისს არ წარმოადგენს სამხრეთ საქართველოდან 1940-იან წლებში დეპორტირებული მოსახლეობა, რომელიც ამჟამად განსახლებულია მსოფლიოს 10 ქვეყანაში.

ფერლანას მოვლენების შემდეგ 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან გასახლებული კონტინგენტის ისტორია და ამჟამინდელი ეთნოკულტურული ვითარება ერთდროულად მოექცა ცალკეული სამეცნიერო დარგების სპეციალისტთა, ადამიანის უფლებათა სფეროში დაკავებულ ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ყურადღების ცენტრში. თუმცა, რადგან დეპორტირებულები უზარმაზარ სივრცეზე დისპერსიულად არიან განსახლებულნი, მასალის შეგება საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს.

სამხრეთ საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევისას ამ კუთხის მუსულმანი მოსახლეობა მრავალჯერ მოექცა ცალკეული მეცნიერთა კვლევის არეალში. მესხების ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების აღწერილობა გეხვდება სხვადასხვა სახის წყაროებში, ქართული საისტორიო მწერლობის უძველეს ნიმუშებში და მოგზაურთა ცნობებში. XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისში მრავალი საყურადღებო ცნობა და მოსაზრებაა დაფიქსირებული პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებსა და ცალკეულ მონოგრაფიებში (ქ. ვერმიშევი, კ. ზისერმანი, ლ. ზაგურსკი, ნ. მარი, ა. ხანანაშვილი, დ. ბაქრაძე, ი. ჯაეახიშვილი, გ. ჩიტაია და ა.შ.).

1940-იანი წლების შემდეგ, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში არ გამქრალა დეპორტირებული მოსახლეობის ეთნოისტორიული პრობლემების შესწავლის სურვილი, გამოქვეყნდა საინტერესო ნაშრომები (დ. ბერძენიშვილი, შ. ლოშსაძე, მ. სვანიძე, ნ. ხაზარაძე,

რ. თოფჩიშვილი, მ. ნათმელაძე, თ იველაშვილი და ა.შ.). უნდა ითქვას, რომ დეპორტაციიდან 1989 წლამდე ამ პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევები უცხოენოვან გამოცემებში თითქმის არ გვხვდება. მდგომარეობა შეიცვალა ფერდანას ტრადიციისა და საბჭოთა კავშირში დემოკრატიული პროცესების განვითარების შემდეგ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ტრადიციულმა მიდგომამ, უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და ზოგ ნაშრომში წმინდა სამართლებრივი ხასიათი მიიღო (ა. ოსიპოვი), ზოგან კი სრულიად არაადეკვატური გახდა (ა. იუნუსოვი). ამგვარი მდგომარეობა განპირობებულია ერთის მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციების მისწრაფებით დაცული იყოს ადამიანთა უფლებები, მეორე მხრივ კი გარკვეული ქვეყნების (აზერბაიჯანი, თურქეთი) იდეოლოგიური ზეგავლენით. საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის დეპორტირებულთა ეთნიკურ ორიენტაციას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. თურქ და აზერბაიჯანელ იდეოლოგთა მიზანი კი თურქულ სამყაროში ამ კონტინგენტის სრული ასიმილაციაა, რისთვისაც უნდა “დამტკიცდეს” მესხების თურქული წარმომავლობა. ამავე დროს, ყურადღება არ ექცევა ისტორიულ წყაროებს (ან ხდება მათი არასწორი ინტერპრეტაცია), არც თავად დეპორტირებულთა მიერ შექმნილ ნაშრომებს (ლ. ბარათაშვილი, ხ. უმაროვ-გოზალიშვილი ნ. ვაჩნაძე, კ. ბარათაშვილი ი. ვარსკენელიძე და ა.შ.), არც იმ ეთნოკულტურულ ელემენტებს, რომელებიც დეპორტირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებენ.

უცხოელ მკვლევართათვის (ს. სვერლოვი, კ. ტომლინსონი, ტ. ტრიერი, ა. ოსიპოვი და ა.შ.) როგორც წესი ქართულ ენაზე გამოცემული ნაშრომები და ქართველ მკვლევართა არგუმენტაცია ხელმისაწვდომი არ არის. ისინი ეყრდნობიან ძირითადად რუსულენოვან პუბლიკაციებს, რაც მათი ნაშრომების გარკვეულ ცალმხრივობას განაპირობებს.

წინამდებარე გამოკვლევა დაფუძნებულია კომპლექსურ ისტორიულ, ეთნოლოგიურ და სოციოლოგიურ მეთოდოლოგიაზე. საქართველოში რეპატრირებული მოსახლეობისა და სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა კვლევისას გამოყენებულია ტრადიციული კომპლექსურ-ინტენსიუ-

\* გამოაკლისს წარმოადგენს თურქეთში გამოცემული ნაშრომები.

რი მეთოდი (მესხების სოციალური და მატერიალური ყოფის ინტენსიური აღწერა-შესწავლა კომპლექსში, სტრუქტურის, ტექნიკისა და ფუნქციის მიხედვით). საველე ეთნოგრაფიული მასალა შეკრებილია 1991-2005 წლებში სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის გურიის და აჭარის რეგიონებში, ასევე უკრაინაში (ხერსონის ოლქი), რუსეთში (კრასნოდარის მხარე) და აზერბაიჯანში (სათლის რეგიონი). ყოფისა და კულტურის ელემენტები შესწავლილია, როგორც ვერტიკალურ (ისტორიულ) ისე ჰორიზონტალურ ჭრილში. ისტორიული პროცესების ანალიზი დაფუძნებულია შედარებით ისტორიულ მეთოდზე. კონფლიქტურ სიტუაციებში სოციოკულტურული ერთეულის, როგორც სუბიექტური, კულტურული და ფსიქოლოგიური რიგის ფენომენის ანალიზს ვუკავშირებთ ეთნიკურობას, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების სფეროში მიმდინარე გარკვეული პროცესების პროდუქტს /91; 92.7/. ნათესაობის სისტემის გამოკვლევა ემყარება საველე მასალის ფიქსაციის გენეალოგიურ, ლეენის კოდურ სისტემასა და ანალიზის კომპონენტურ მეთოდოლოგიას. საქართველოს, რუსეთის, უკრაინის და აზერბაიჯანის რეგიონებში) წინასწარ შედგენილი და პილოტაჟური გამოკითხვის გზით აპრობირებული კითხვარების საფუძველზე. შეკრებილი მასალის კომპიუტერული ანალიზი განხორციელდა SPSS პროგრამით. ეთნოგრაფიული და სოციოლოგიური მასალის საფუძველზე გაანალიზებულია 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული კონტინგენტის ეთნოკულტურული მახასიათებლები: ქცევის სტერეოტიპები, მათი ღირებულებები, შიდა ჯგუფური ენა, "lingvo franka", ადაპტაცია-ინტეგრაციის უნარი, რელიგიური ორიენტაციები და სხვა.

ქართული საზოგადოება არაერთგვაროვნად აღიქვამს რეპატრიაციის პერსპექტივას. პრობლემის მრავალწახნაგოვნების მიუხედავად, დამოკიდებულება ამ პროცესისადმი ძირითადად ეთნიკური და ისტორიული ასპექტებით განისაზღვრება. ამ ტიპის მიგრაცია ეთნოდემოგრაფიული და გეოპოლიტიკური საშიშროების შემცველად არის მიჩნეული. ამიტომ მოცემული თემატიკისადმი მიძღვნილ ეთნოპოლიტიკური ხასიათის გამოკვლევას დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

# თავი I. ეთნოისტორიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში

## §1. მესხეთი XIX საუკუნის 20-იან წლებამდე

საქართველოში ამჟამად არსებული ეთნიკური სიტუაცია, საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის ეთნოსოციალურ სტრუქტურაზე სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებითაა განპირობებული. განსხვავებულ ანთროპოლოგიურ, კულტურულ, სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემათა მიჯნაზე მდებარეობა, მსოფლიო გლობალური თუ ლოკალური ერთეულების გეოპოლიტიკური ინტერესები, ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციოისტორიული პროცესები, წარმოადგენდნენ ძირითად დეტერმინანტებს, რომელებიც ქვეყნის ეთნიკურ იერსახეს აყალიბებდნენ. უკანასკნელ საუკუნეებში, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა რუსეთის ფაქტორს, რადგან XVIII საუკუნის დასაწყისიდან პეტრე პირველის მიერ რეფორმირებული იმპერია აქტიურად ცდილობდა სამხრეთის მიმართულებითაც გაფართოებულიყო და უფრო ეფექტურად ერეოდა კავკასიაში მიმდინარე ეთნოდემოგრაფიულ პროცესებში. ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთიც, რომლის ეთნოკონფესიური იერსახის ფორმირებაში XVI საუკუნის ბოლოდან ინტენსიურად ჩაებნენ უცხო სახელმწიფოები. ეთნოდემოგრაფიულ პროცესებს აკონტროლებდა და მიგრაციების მეშვეობით მართავდა ჯერ ოსმალეთი (XVII-XVIII სს.), XIX საუკუნიდან კი რუსეთი, რამაც ამ პროვინციაში ეთნიკური ბალანსის გარკვეული შეცვლა გამოიწვია.

ქართული საისტორიო ტრადიციით სამცხე-ჯავახეთი ზემო ქართლის ანუ ისტორიული მესხეთის შემადგენლობაში შედის. სახელწოდება მესხეთი, ძველი ქართული ტომების “მოსხების” ან “მუშქების” სახელთანაა დაკავშირებული. ძვ. წ. აღ. XII საუკუნიდან მოყოლებული ეს ტომები ხშირადაა მოხსენიებული ძველ აღმოსავლურ წყაროებში /98.69/. ძვ. ბერძენი ავტორი, პეროდოტე, მოსხებს აქემენიდური სპარსეთის მე-19 სატრაპიაში ათავსებს. მათი ლოკალიზაცია ამ დროისათვის ჩრდ. კაპადოკიაში შეიძლება მოვანდინოთ. ურარტულ წყაროებში (ძვ.წ. აღ VIII ს.) ნახსენებია “ზაბა-

ხა” ანუ ჯავახეთი, რომელიც მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა ურარტუელებთან /89.220; 7.13/.

მოსხების ტომმა ქართების ცალკეულ გაერთიანებებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ძვ.წ. აღ IV საუკუნის დამლევს. რაც იმითაც დასტურდება, რომ ფარნავაზის სამეფოს ოფიციალურ ღვთაებათა პანთეონს სათავეში მცირე აზიური სახელების მატარებელი ღმერთები, არმაზი და ზადენი, ედგნენ /89.250/.

გვიანანტიკური ხანის ავტორებისათვის “მოსხების ქვეყანა” უკვე სამხრეთ-დასავლეთი საქართველოა, ე.ი. იგივე შუა საუკუნეების ქართული მესხეთი. ამრიგად, მესხეთი ეტიმოლოგიურად კავშირშია “მოსხთან” და ამ ტომის მიერ დაკავებულ ტერიტორიას გულისხმობს /89.220/.

საისტორიო ტრადიციის თანახმად “ზემო ქართლი” მესხეთს ქართველთა ბიბლიური წინაპრის ქართლოსის ძემ მცხეთოსმა უწოდა. ეს პროვინცია აერთიანებდა ტაშისკარისა და ფარაენის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას შავ ზღვამდე. მტკვრის აღმოსავლეთი მხარე, მის სათავემდე, მცხეთოსმა მეორე ვაჟს ჯავახოსს არგუნა და ამ ადგილებს ჯავახეთი უწოდა. ჯავახოსის კუთვნილი იყო: ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი და კოლა. ზემო ქართლის მესამე ნაწილი, კლარჯეთი, მეფე ფარნავაზს დაუპყრია აზონის სიკვიდილის შემდეგ /1.667/.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად “ზემო ქართლი” პირველად თამარის ისტორიკოსთან, “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის” ავტორთან, გვხვდება. ლეონტი მროველსა და ჯუანშერთან ეს ტერმინი არ იხმარება, ხოლო “მატიანე ქართლისაიში” ამ მხარეს “ზემო ქვეყანა” ეწოდება /2.4/. ვახუშტი ბატონიშვილმა “ზემო ქართლი” მდინარე მტკვარს დაუკავშირა: “ქვეყანა, რომელთაცა ძველად ეწოდებოდა ზემო ქართლად, ამისათვის მტკვარი ვინაითგან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გამოსავალი ამ ორთა ქუეყანათა დაუბრკოლებელი აქსუთ” /1.675/.

ჭოროხისა და მტკვრის ზემო წელზე მდებარე ქვეყნები ადრიდანვე მჭიდრო კავშირში იყვნენ ერთმანეთთან და საქართველოს სხვა პროვინციებთან. ჭოროხის აუზის მფლობელი ეკონომიკურად ბატონობდა სამცხე-ჯავახეთზე /3.10/, რომელიც თავის მხრივ მდ.

მტკვრით უკავშირდებოდა ქართლის სხვა ნაწილებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული სახელმწიფო ორგანიზმის გამართულად ფუნქციონირებაში. აკად. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: “ბოტანიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, როგორც მთისა და ბარის ნაკლებლოვანობის ჰარმონიულად შემაჯავებელი არეები, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი ჩამოინაკვთნენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად, ერთ სამეფოდ იქცნენ. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს გაერთიანება კი შემდეგში მოხდა” /4.336-337/. XIII-XIV საუკუნეებიდან მესხეთი სამცხე საათაბაგოდ მოიხსენიება.

მესხეთი, როგორც სასაზღვრო რეგიონი, ოდითგანვე განიცდიდა მეზობელ სახელმწიფოთა თავდასხმებს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სომხური პოლიტიკური ერთეულები. სტრაბონის ცნობით, უკვე ძვ.წ. აღ. II ს-ში, ახლად ჩამოყალიბებულმა სომხურმა სამეფოებმა თავიანთი ტერიტორიების გაფართოება ქართული, და მათ შორის მესხური, მიწების ხარჯზე დაიწყეს /5.189/. მოგვიანებით გაძლიერებულმა ქართლის სამეფომ შეძლო სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიების მტკიცედ დაჭერა /6.49-50; 7.12/. IX-X სს მესხეთში დაწინაურებულმა ახალმა საქალაქო ცენტრებმა, ახალციხემ და ახალქალაქმა, მხარის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ძველი ცენტრების, ოძრხისა და წუნდის, ადგილი დაიკავეს.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის თანახმად ახალციხეს ადრე ლომსია რქმევია /1.663/. ლომსიანთას ციხის ადგილას, რომელსაც “მატიანე ქართლისაი” გუარამის აგებულად მიიჩნევდა, ეს ტოპონიმი მანამდეც იყო გავრცელებული /8.74/. გამოთქმულია ვარაუდი, რომ “მატიანე ქართლისასეული” ლომსიანთა კავშირშია ვახუშტისთან ნახსენებ ლომსიასთან, ფერსათის ქედის ერთი ნაწილის სახელწოდებასთან /9.294/.

ჯავახეთის ახალქალაქი პირველად ბაგრატ IV-ის დროს მოიხსენიება, როდესაც აღწერილია 1044-45 წწ. ომი ლიპარიტ ლიპარიტის ძის წინააღმდეგ. წყაროში ნათქვამია, რომ ამ დროს დაწყებულა ახალქალაქის ზღუდეთა მშენებლობა /2.95-96/. ახალი საქალაქო ცენტრების მზარდ როლზე მიუთითებს ის გარემოება, რომ



ახალციხის მიდამოებში ნაპოვნია XI-XIII სს. უცხოური მონეტები. XII-XIII საუკუნეების ცნობილი სამცხელი დიდებულები ივანე და შალვა ახალციხელები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში.

მონღოლთა მპყრობელობის პერიოდში სამცხის მთავრების ხელში საკმაო ძალამ მოიყარა თავი, რამაც მათ განცალკევებისაკენ მისწრაფება გაუძლიერა. XIII საუკუნის ბოლოსათვის საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბექა ჯაყელმა საქართველოს მეფის ერთ-ერთ მიწვევაზე, თბილისში ჩამოსულიყო, უარი განაცხადა: "არა ინება მისვლად რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო" /10.297; 11.641/. განდიდების სურვილით შეპყრობილმა ყვარყვარე ათაბაგმა კი (XV ს-ის მეორე ნახევარი) სამცხის ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსოსაგან ჩამოშორებაც სცადა, მაგრამ ქართული ეკლესიის წინამძღოლთა მიერ მიღებული ზომების შემდეგ, განზრახულის შესრულება ვერ შეძლო /12.53-56; 11.734/. ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ვიდრე მესხეთი მისი განუყოფელი ნაწილი იყო, იქ ქართული ეთნიკური ელემენტი დომინირებდა. "ქართველობას" საფრთხე შეექმნა როდესაც სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა დაიპყრო.

ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, სამცხის მთავართა პატრიკულარული ქმედებები ჯეროვან წინააღმდეგობას ვეღარ აწყდებოდა. ამას ხელს უწყობდა მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი საერთაშორისო კონიუნქტურაც. XVI-XVII საუკუნეებში ირანსა და თურქეთს შორის მიმდინარე პერმანენტული ომების ფონზე სამცხე საათაბაგოს მესვეურებს პოლიტიკური წონა შეემატათ და ლავირების საშუალება მიეცათ, რადგან ეს ორი დიდი სახელმწიფო რეგიონში გაბატონებისათვის ერთმანეთს ეცილებოდა. XVI საუკუნის ბოლოსათვის ამ ბრძოლაში ოსმალეთის უპირატესობა გამოიკვეთა. მართალია, 1555 წ. ამასიის ზავით მესხეთი მეომარმა მხარეებმა შუაზე გაიყვეს, მაგრამ 1578 წელს ოსმალეთმა ზავი დაარღვია. ჩილდირთან ომში ირანის არმია დამარცხდა და მთელს ამიერკავკასიას თურქები დაეუფლნენ. 1590 წ. ირანი იძულებული გახდა ოსმალეთის უფლება ეცნო ამიერკავკასიაზე და, მათ შორის, მესხეთზეც /13.240; 14.233-273/.

ამგვარ პირობებში ჯაყელთა სახლის წარმომადგენლები (მაგ. მანუჩარი) ცდილობდნენ ირანს დაკავშირებოდნენ და სამცხე საათა-

ბაგო თურქთა სრული ინკორპორაციისაგან ეხსნათ, მაგრამ 1612 წ. დადებული ზავის პირობებით მესხეთის ე.წ. ირანული ზონა შაჰ აბასმა ბაღდადის ვილაიეთის რამდენიმე ოლქში გაუცვალა სულთანს. მესხები დარწმუნდნენ, რომ ირანი არასაიმედო მოკავშირე იყო და 1626 წ., როცა შაჰ აბასმა კვლავ სცადა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა, ადგილობრივმა მოსახლეობამ მას მხარი აღარ დაუჭირა. 1636 წ. ზოპაბის ზავით მესხეთი დიდი ხნით გადავიდა თურქეთის გამგებლობაში /15.371/ და ყოფილი სამცხე-საათაბაგო, თურქული ადმინისტრაციულ სტრუქტურაში, ახალციხის საფაშოს სახით შევიდა. ახალციხის საფაშოს ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა ქ. ახალციხე (თურქ. ახისკა).

ქართველი მეფეები არ შეგუებიან ძირძველი სამფლობელოების დაკარგვას და ყოველნაირად ცდილობდნენ მესხეთის დაბრუნებას. განსაკუთრებით აქტიურობდა ერეკლე II, რომელიც ამის გამო 1768-74 წწ. რუსეთ-თურქეთის ომშიც კი ჩაება. გეორგიევსკის ტრაქტატის ერთერთ მუხლშიც შეტანილი იყო ვალდებულება, რომ რუსეთის იმპერიამ საქართველოს ადრე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში დაეხმარებოდა /23.322/.

თურქთა ბატონობის პირველი ხანებიდანვე მესხეთის მესვეურთა შორის პროთურქული ორიენტაცია გაჩნდა. სამცხის რენეგატ დიდებულებს გზა გაეხსნათ ოსმალთა სამსახურში დაწინაურებისაკენ. 1628 წ. მუსლიმანობაზე მიქცეული ჯაყელი, საფარ ფაშა, ჩილდირის ვილაიეთის ბეგლარ-ბეგად დანიშნეს. იმ ხანებში არსებული ეთნოკულტურული სიტუაციის შესახებ ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი,” საბევრო დავთარი, რომელიც 1595 წ. ოსმალთა ხელისუფლების ბრძანებითაა შედგენილი /21/. “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის” ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თურქების გაბატონებამდე მესხეთში მხოლოდ მცირერიცხოვანი არაქართველი მოსახლეობა (სომხური, თურქული და ქურთული წარმომავლობის) ცხოვრობდა და ქართული ეთნიკური ერთეულის აბსოლუტური უმრავლესობა ეჭვს არ იწვევს /18.284/.

თურქების ეროვნულმა, რელიგიურმა და სოციალ-ეკონომიკურმა ძალადობამ ამ მხარის ქართულ მოსახლეობაში ძლიერი მიგრაციული პროცესები გამოიწვია. ზემო ქართლი ნასოფლარებით გა-

იესო. XVI საუკუნის ბოლოსათვის ჯავახეთში 153 სოფელი და 102 ნასოფლარია დაფიქსირებული (16.9). ისტორიულ წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის შედეგად რ. თოფჩიშვილმა დაადგინა, რომ სამცხიდან გადასახლება მიმართული იყო ძირითადად დასავლეთ საქართველოსაკენ (გურია, იმერეთი), ჯავახეთიდან კი აღმოსავლეთ საქართველოსაკენ /16.10/. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 1800 წლისათვის დაახლოებით 37000 სული იყო /17.68/.

ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მკვიდრდებოდნენ, თურქეთის შიგა რეგიონებიდან შემოყვანილი მუსულმანი ღეთისმსახურები, ოსმალური ადმინისტრაციის მოხელეები, ჩრდილო კავკასიელი მთიელები და თურქმანული მოდგმის მომთაბარე ელები, თუმცა ისინი კვლავ უმცირესობაში რჩებოდნენ და XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე სულ მოსახლეობის 10% შეადგენდნენ /17.67/.

არაქართველი მოსახლეობის ერთ-ერთი პირველი ჯგუფები, ქურთების სახით, სამცხე საათაბაგოში ჯერ კიდევ ოსმალთა გაბატონებამდე შემოვიდნენ. ქურთული ტომები (იურუქი და იუზედეჯი) მოხსენიებული არიან გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში. ისინი მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ, "არ გააჩნიათ განსახლვრული საცხოვრებელი ადგილი" /20.3/. სავარაუდოდ ქურთთა ის ნაწილი, რომელიც მოგვიანებით ვარძიის ხეობაში ცხოვრობდა, თემურ ლენგის დაპყრობების შემდეგ შემოვიდა. ესენი, როგორც ჩანს ეგიაზაროვთან ნახსენები ქურთი ისმაილები არიან (ისმაილიტები — ლ.ჯ.) /14.24-20/. სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდნენ ასევე თურქეთიდან გადმოსახლებული ქურთი ჯუნუკები (ძირითადად ურაველის ხეობაში) /14.335/. XIX ს-ის ბოლოსათვის სამცხე-ჯავახეთში სულ ქურთების 7 სოფელი იყო, თითოეულში 3-4 პატრიარქალური ოჯახი ცხოვრობდა. მათ შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი ადათები და მეურნეობის ფორმა. მესხეთის სოფლები მათთვის ზამთრის საძოვრებს წარმოადგენდნენ ხერთვისის სანჯაყში ქურთების 7 "ქოჩი" ანუ მომთაბარე ჯგუფი შედიოდა, ისინი მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ და ძირითადად საჩალვადრო ცხენებისა და ვირების მომრავლებას ეწეოდნენ /14. 336,483/.

სამცხე-ჯავახეთის ცალკეულ ადგილებში დამკვირდნენ ასევე თარაქამებიც (იგივე ყარაფაფახები). სამხრეთ საქართველოში თარაქამას მომთაბარე ელები ჯერ კიდევ რუსთა მპყრობელობის დამყა-

რებამდე გამოჩნდნენ. როგორც ჩანს მესხეთში ისინი თავდაპირველად XVIII ს-ის ბოლოს ქვემო ქართლიდან გადავიდნენ. XIX ს-ის პირველ ნახევარში მესხეთში თარაქამების კიდევ ერთი ჯგუფი შევიდა. ახალციხის ფაშა ხელს უწყობდა მათ საკუთარ სამფლობელოში დამაგრებას, რადგან ყარაფაფახები მთელს კავკასიაში განთქმული მხედრები იყვნენ და მათგან საუკეთესო მებრძოლების გამოყვანა შეიძლებოდა. მომთაბარე ელების გამო მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-სა და ახალციხისა და ყარსის ფაშებს ცილობაც კი ჰქონიათ გამართული /14.332/.

უფრო ძნელია განისაზღვროს ჩრდილო კავკასიელ მთიელთა (ე.წ. ლეკების) ჩამოსახლების ეტაპები. ცნობილია, რომ ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, ადრე ქართველთა მოკავშირე კავკასიელები ქვეყანას მოუშორებელ ჭირად ექცნენ. ისინი ხშირად შემოიჭრებოდნენ ხოლმე საქართველოს ბარში სამეკობროდ, არ ერიდებოდნენ მოსახლეობის დატყვევებასაც. ამ საქმეში ლეკებს ხელს უწყობდა ახალციხის ფაშა. მეკობრეები ტყვეების გასაღებას სწორედ ახალციხეში ახერხებდნენ. ახალციხის ფაშები სისტემატურად ეპატიჟებოდნენ ჩრდილო კავკასიელებს დაქირავებულ მოლაშქრეებადაც. განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ მათ რუსეთის საქართველოში გაბატონების შემდეგ. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ახალციხის საფაშოს ცალკეულ პუნქტებში მთიელთა ბელადები ფაშასთან შეუთანხმებლადაც აწარმოებდნენ საქმეებს. საუკუნეების მანძილზე ამგვარი ურთიერთობის პირობებში ზოგიერთი ჩრდ. კავკასიელი მესხეთში რჩებოდა. შ. ლომსაძის ვარაუდით ისინი, ძირითადად, ქართლ-იმერეთის საზღვრის გაყოლებით გაუღაბურებულ სოფლებში და ზოგიერთ ქალაქში მკვიდრობდნენ /19.411; 14.341/.

ზოგი ცნობის თანახმად მესხეთში ჩამოსახლებული კავკასიელი მთიელების ზუსტი რაოდენობის დადგენა რუსთა ახალციხის საფაშოში შემოსვლის პირველსავე წლებში შეუძლებელი გამხდარა, რადგანაც ისინი მთლიანად ათქვეფილიყვნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და თავიანთი ენისა და ზნე-ჩვეულებების თითქმის აღარაფერი შემორჩინოდან /14.341/. უნდა ვივარაუდოთ, რომ კავკასიელთა ის ნაწილი, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემოვიდა მესხეთში, ასე მალე ვერ ასიმილირდებოდა. უფრო საფიქრებელია,

მათ თავი თურქეთს შეაფარეს, ან ისევ უკან დაბრუნდნენ და უკვე სამშობლოში ებრძოდნენ რუსებს.

თურქული მმართველობის დამყარების შემდეგ დაიწყო მესხეთში მუსლიმანობის გავრცელება და თურქული ცხოვრების წესის დამკვიდრება. ამ მიზნით ხელისუფლება იყენებდა როგორც იძულებას ასევე ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ბერკეტებს. ქრისტიანებს ეკრძალებოდათ იარაღის ტარება, ზარების დარეკვა და ა.შ. /14.293; 225.142-149/.

მუსლიმანობის მიღება “გათათრებას”, ქართველობის დაკარგვას, ნიშნავდა. თავდაპირველად ახალციხის საფაშოს ანუ ყოფილი სამცხე საათაბაგოს დიდგვაროვან-აზნაურნი გამუსლიმანდნენ, გლეხები კი კვლავაც ქრისტიანებად რჩებოდნენ. უფრო შორს იყო წასული თურქიზაციის პროცესი კლარჯეთში, სადაც წარჩინებულთა სასაუბრო ენა თავყრილობების დროს თათრული/ოსმალური გამზდარა, თუმცა ოჯახსა და მეგობრებთან ისინი კვლავ ქართულად ლაპარაკობდნენ. შეიცვალა მატერიალური კულტურის ზოგიერთი ელემენტიც. მუსულმანი დიდებულები უკვე ოსმალურ ტანსაცმელში იმოსებოდნენ, ხოლო ქრისტიანები ბერძნულის მსგავსში /1.660-661/.

ოსმალური მმართველობისა და ცხოვრების წესის დანერგვის პროცესი ადვილად არ მიმდინარეობდა. XVIII საუკუნის დასაწყისამდე ქრისტიანი მოსახლეობა როგორც ჩანს გარკვეულ გავლენას საქალაქო მმართველობაზეც კი ინარჩუნებდა. ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მეყანთრის თანამდებობის პირის ოსმანის მიერ “მუსლიმთა მიმართ ვერაგობასა და ძალმომრეობას დასასრული არ უჩანდა, ... პატრიოსანი შარიათის მიერ იგი რამდენჯერმე იყო გაფრთხილებული, მაინც... მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ საზიზღრობას ჩადიოდა, ვილაიეთის მოსახლეობის მეშვეობით მუთასარიფი გახდა და, ამრიგად, ველარ მოხერხდა მისი დათრგუნვა მუსლიმ მორწმუნეთა მიერ” /99.95-96/.

ოსმალთა მოხელეებმა დაიანგარიშეს თითოეული დასახლებული პუნქტის შემოსავალი, გადაიყვანეს იგი ფულად ერთეულებში, ახჩებში, და ამის მიხედვით გააწერეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გადასახადები. ირკვევა, რომ სამცხე-ჯავახეთში გლეხების უმრავლესობას საკომლო (ჩიფლიკი) მიწა ჰქონდა, რომელიც ამასთანავე საგადასახადო ერთეულიც იყო /105.11-34/.

თურქულ სამეურნეო სისტემაზე გადასვლას თან სდევდა თურქული ლექსიკის დამკვიდრება. XVI საუკუნის ბოლოსათვის, "გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში", დასახელებულია მიწის მფლობელობის თურქული ტერმინები: თიმარი, ზეამათი, ვაკუფი, ჩიფლიქი, მულქი მოურის (სამკვიდრო მულქი), ზეამი (ზეამათის მფლობელი), საპიბი თიმარ ან ერბაბი თიმარ (თიმარის მფლობელი), მერდი თიმარ (თიმარის კაცი) /104.328/. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში დამკვიდრდა თურქული ნათესაობის ტერმინებიც.

თურქულმა მმართველობამ ერთბაშად არ მოსპო ქართული მიწათსარგებლობის წესი, ქართველ ფეოდალთა მიმხრობის მიზნით იგი მხოლოდ ნაწილობრივ შეიცვალა ოსმალურით. ისლამის შზარდი გავლენით, მიწაზე საკუთრების უფლება ქართული ბატონყმობის გაქრობასთან ერთად ნელ-ნელა ისპობოდა, თუმცა შემამულეთა მიწები კვლავ მათი წინანდელი მფლობელების ხელში რჩებოდა /106.29-30/.

მუსლიმანობამიღებულ დიდებულებს ოსმალები მრავალ შეღავათს ანიჭებდნენ, იმის უფლებასაც კი უტოვებდნენ ძველებური, ქართული წესით ემართათ თავიანთი მამულები /14.293/.

საგადასახადო ერთეულად ითვლებოდა გლეხთა სარგებლობაში არსებული ნაკვეთები, ე.წ. ჩიფლიქი ან ჩიფთი, მისი დანაწილება ოსმალეთში კატეგორიულად იყო აკრძალული. იმ შემთხვევაში თუ გარდაცვლილს რამდენიმე ვაჟიშვილი რჩებოდა ისინი ერთდროულად ფლობდნენ მიწას და არ შეეძლოთ თავისი წილი ვინმესთვის გადაეცათ. ჩიფლიქის ზომა განისაზღვრებოდა მიწის ნაყოფიერების მიხედვით /107.328-329/. ოსმალურმა მმართველობამ ბოლომდე ვერ შეცვალა ქართული მეურნეობის ფორმები და ზონალურობის მიხედვით ტრადიციულად ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები /110/.

შუა საუკუნეებში მართლმადიდებლობა ქართველობის განმსაზღვრელ მთავარ ნიშნად იქცა. ადგილობრივი მოსახლეობა მესხეთის მუსულმანებს, ადგილობრივსაც და ჩამოსახლებულსაც, "თათრებს" ეძახდა. ასევე მოიხსენიებდნენ საქართველოში საერთოდ ყველა მუსლიმს, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად (ქართველებს, თურქებს, ირანელებს და ა.შ.). მართალია, XIX საუკუნიდან ანუ ქართულ ეთნიკურ სივრცეში აჭარელთა და მესხთა ეთნოგრაფიული ჯგუფების დაბრუნების შემდეგ სარწმუნოების წამყვანი

როლი ეთნიკურობის განსაზღვრაში თანდათან შესუსტდა, მაგრამ ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი მთლიანად არ დასრულებულა და რელიგია ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვან მაიდენტიფიცირებელ ფაქტორად. დამახასიათებელია ეთნიკური და კონფესიური იდენტიფიკაციის აღრევა, რაც შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ტრადიციას ემყარება. მრავალი რიგითი ადამიანისათვის თურქი, ადგილობრივი მუსლიმი და გარდაბნელი, დღესაც "თათარია" /95.134/. ამ შეხედულების თანახმად, ქართველი მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანი, ყველა გრიგორიანი სომეხია, მუსულმანი – თათარი, ხოლო კათოლიკე – ფრანგი და ა.შ. ამგვარი მიდგომა ხშირად ჩვენს თანამედროვე ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებშიც გვხვდება /96.13; 90.169/.

რელიგიური იდენტურობის წინა პლანზე დაყენება დამახასიათებელია მუსულმანებისთვისაც. ისლამის ერთ-ერთი მთავარი დებულების თანახმად კაცობრიობა იყოფა არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ნიშნით. ერთ მხარეს არიან მუსლიმები (უმა), მეორე მხარეს კი სხვა სარწმუნოების მიმდევარნი. ეს დებულება, მართალია, ისტორიის მანძილზე ერთგვარად გაფერმკრთალდა, ისლამში გაჩნდა ეროვნული იდეოლოგიები: ჯემშიდიანობა, პანთურქიზმი და სხვ. მაგრამ სარწმუნოებრივი ერთიანობა მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუსლიმური სამყაროს სოლიდარობაში და დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობაში.

ამრიგად, სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ბერკეტების გამოყენებით თურქებმა შეძლეს მესხეთის ქრისტიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გამუსულმანება, მაგრამ მათ XIX საუკუნის დასაწყისამდე ძირითადად შემოინახეს ეთნიკური თვითშეგნება და ხსოვნა თავიანთი ქართული წარმომავლობის შესახებ. 1832 წ. სამცხე-ჯავახეთში რუსების გაბატონების დროისათვის სტატისტიკური აღწერის ოფიციალურ მონაცემებში ეწერა რომ, "ახალციხელი თურქების ძირითადი ნაწილი, რომელთაც მიღებული აქვთ ომარის სექტის მუსლიმანობა, წარმოშობით მთლიანად ქართველები არიან" /27.80/.

## §2. სამცხე-ჯავახეთი რუსეთის მპყრობელობაში

რუსეთის იმპერიის გაძლიერება და კავკასიაში წინსვლა თავისებურად აისახა სამხრეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზეც. ცარიზმს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებში აქტიურად ჩაიყვანა ადრიდანვე ჰქონდა დაგეგმილი. კავკასიის ეთნოგრაფიული, გეოლოგიური, ბოტანიკური და გეოგრაფიული შესწავლისათვის XVIII ს-ში რუსულმა ექსპედიციებმა დაიწყეს ინტენსიური სამეცნიერო კვლევა-ძიება. დიდძალი ეთნოგრაფიული მასალის მოძიებამ, ანალიზმა და სოლიდური სამეცნიერო ბაზის ჩამოყალიბებამ ჯერ ცარიზმს, შემდგომ კი საბჭოთა კავშირს ეთნიკური ვითარების მართვის საშუალება მისცა. ამ მიზნით ეფექტურად იყენებდნენ როგორც გარე (ეთნოტერიტორიულ ერთეულებს შორის მიმდინარე), ისე შიდა მიგრაციებს.

ახალი ტერიტორიების შეერთება, წარმატებულ სამხედრო ოპერაციებთან ერთად, ამ ადგილებში მომგებიანი სოციოპოლიტიკური ვითარების ფორმირებას და სასურველი ეთნიკური მოზაიკის შექმნას მოითხოვდა. დაპყრობილი მიწების დაცვა და საბოლოოდ დაუფლება რუსული "დერჟავისათვის" საიმედო ეთნიკური ჯგუფების ჩასახლებითა და ნაკლებად სანდოდ მიჩნეული ადგილობრივი მოსახლეობის საზღვრებს გარეთ ან იმპერიის შორეულ ადგილებში გადასახლებით შეიძლებოდა. ცარიზმი სტრატეგიულ მოკავშირედ მოიაზრებდა არა ერთმორწმუნე ქართველებს, არამედ სომხებს, რაც სხვათა შორის, ამ რეგიონში სომხური მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდასაც გულისხმობდა /28.150/.

XVIII-XIX სს. მიჯნაზე თურქეთთან და ირანთან წარმოებული ომების შედეგად, რუსეთის იმპერიამ კავკასიის სამხრეთით და აღმოსავლეთით დიდი ტერიტორიები შეიერთა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმ ზანებში თითქმის დაუსახლებელი იყო და მომთაბარეთა სათარეშოს წარმოადგენდა. ცარისტული მმართველობის სურვილი იყო ეს მიწები ეთნიკური რუსებით შეევსო, მაგრამ საამისოდ იმ ზანებში არც პირობები (ეკოგეგრაფიული) არსებობდა, და არც ადამიანური რესურსები იყო საკმარისი, რასაც რამდენიმე წარუმატებელი ცდაც მოწმობს. ამის გამო, ხელისუფლების ყურადღების არეში მოექცა დაპყრობილი რეგიონების საზღვარგარეთიდან მიგრირებული



ქრისტიანების ხარჯზე "კოლონიზაციის" შესაძლებლობა. უცხოელი "კოლონისტების" ამიერკავკასიაში ჩამოსახლების აზრი ჯერ კიდევ 1801 წელს გამოთქვა გრაფმა მუსინ-პუშკინმა, თუმცა იმ ხანებში ამ პროცესის დაწყება შეუძლებელი აღმოჩნდა /29.435/.

მასობრივი მიგრაცია მრავალ ასპექტთანაა დაკავშირებული. იმისათვის რომ უმტკივნეულოდ მოხდეს გადასახლებულთა ადაპტირება ახალ საცხოვრებელ ადგილას. პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებასთან ერთად, აუცილებელია მოსალოდნელი ეთნოსოციალური პროცესების გრძელვადიანი პროგნოზირება და მართვა. ჯგუფის ადაპტაცია ახალ ეთნიკურ, სოციალურ და გეოგრაფიულ გარემოსთან მეტად რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელშიც მონაწილეობს მატერიალური და სულიერი კულტურის თითქმის ყველა ელემენტი /30.163-171/. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ასეთ ღონისძიებათა რიგს, უპირველესად, განეკუთნება სათანადო ეთნოკულტურული გარემოს შერჩევა და სოციალ-ეკონომიკური ხასიათის შეღავათები. ე.ი. ისეთი ეთნოეკოსისტემის ფორმირება რომელშიც გადასახლებულებს სიცოცხლისათვის და სოციალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობები ექნებათ.

მიგრანტთათვის სასურველი სიტუაციის შესაქმნელად პრაქტიკული ღონისძიებების გატარების მიზნით საქართველოში გაბატონების შემდეგ, რუსებმა მიიღეს საგანგებო ღებულება, რომლითაც გადმოსახლების მსურველებს, ე.წ. "კოლონისტებს", მთელი რიგი შეღავათები ენიჭებოდათ /31.94; 32.39-53/. სწორედ ამ შეღავათებით სარგებლობდნენ XIX ს-ის პირველ ნახევარში ცარისტული რეჟიმის ძალისხმევით გადმოსახლებული მრავალრიცხოვანი ჯგუფები (სომხები, ბერძნები, რუსი სექტანტები, გერმანელები, და ა.შ.).

XIX ს-ის 20-იანი წლების ბოლოს, მახლობელ აღმოსავლეთში წარმოებული ომების შემდეგ, რუსებმა ირანიდან და თურქეთიდან გადმოსახლეს სომხები. ირანიდან შემოყვანილი სომხები ქვემო ქართლში დასახლეს, თურქეთიდან – კი ძირითადად სამცხე-ჯავახეთში.

რუსეთმა XIX საუკუნის დასაწყისში, რამდენჯერმე სცადა ახალციხის საფაშოს დაპყრობა, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად შეძლეს მიეღწიათ

წარმატებისათვის. მართალია, რუსულ სარდლობას ძირითადი ყურადღება ამ ომში იყო დუნაის ფრონტისაკენ ჰქონდა მიპყრობილი და კავკასიას მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდა, მაგრამ ბრძოლისათვის მაინც საგულდაგულოდ მოეძადა. წინასწარ აღწერეს ახალციხისა და ყარსის საფაშოები და შეადგინეს რუკები /24.43/.

1828 წ. ივნის-აგვისტოში რუსეთის ჯარის გამარჯვებით დასრულდა ყარსზე, ახალქალაქსა და ახალციხეზე შეტევა. გენერალ პასკევიჩის არმია ოსმალეთის სიღრმეში შეიჭრა. ამგვარი წარმატება იმითაც იყო განპირობებული, რომ რუსებმა ახალციხის აღებისას არნახული ბარბაროსობა გამოიჩინეს. მათ გამოიყენეს ე.წ. "ბრანდე-კუგელი", რაც მთელი ქალაქის მიზანმიმართულ გადაწვას გულისხმობდა. გამძვინვარებულმა ხანძარმა ქალაქის შუა რაიონს მიაღწია, აღმოდებული სახლებიდან გამორბოდნენ შეშინებული ქალები და ბავშვები. ისინი რუსების მხარეს ეძებდნენ ხსნას, მაგრამ იქაც ტყვეების ნაკადი ხვდებოდათ /24.46/. ამგვარი სისასტიკით გაოგნებული მოსახლეობა მასიურად ტოვებდა სამშობლოს და ოსმალეთში გარბოდა, რასაც ყოველნაირად უწყობდა ხელს რუსული სარდლობაც.

ახალციხის აღების შემდეგ პასკევიჩის ჯარმა შეძლო ანატოლიის სიღრმეში შეეღწია, თუმცა 1829 წ. აგვისტოში დადებული ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით, რუსეთის იმპერიას სამხრეთ კავკასიაში გადაეცა მხოლოდ ახალციხის საფაშოს 10 სანჯაყი.

დაპყრობილ ტერიტორიაზე შეიქმნა "ახალციხის საფაშოს დროებითი მმართველობა", რომელიც 1840 წლამდე არსებობდა. 1840 წლის 10 აპრილის დადგენილებით, საქართველო-იმერეთის გუბერნიის წარმოქმნასთან დაკავშირებით, ახალციხის პროვინციის დროებითი მმართველობა გაუქმდა, შეიქმნა ახალციხის მაზრა და იგი საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა. ახალციხის მაზრა აბასთუმნის, ხერთვისის და ახალქალაქის უბნებად დაიყო. 1846 წელს ახალციხის მაზრა ახლად შექმნილ ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს, ხოლო ახალქალაქის უბანი მას ჩამოაშორეს და თბილისის გუბერნიას მიაკუთვნეს. ეს სამეურნეო-ადმინისტრაციული გათიშვა 1850 წ. დასრულდა, როდესაც ახალქალაქის უბანი ისევ ახალციხის მაზრაში დააბრუნეს. 1867 წ. ახალი ადმინისტრაციული ცვლილებები მოხდა — სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ორ, ახალციხის და ახალქალაქის, მაზრად გაყვეს და თბილისის გუბერნიაში შეიყვანეს. ამ-

რიგად, ისტორიული სამცხის ძირითადი ნაწილი ახალციხის მაზრაში მოექცა, ხოლო ჯავახეთი – ახალქალაქის მაზრაში /25.84-85/. შემდგომი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები სამცხე-ჯავახეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა. სამცხე დაიყო ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის, ხოლო ჯავახეთი ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებად /26.16-20/. გასული საუკუნის 90-იან წლებში ბოგდანოვკას ნინოწმინდა უწოდეს.

შემოერთებულ სანჯაყებში 1832 წლისათვის 60-65 ათასი სული ცხოვრობდა /17.67/ (აქედან 25-30 ათასი თურქეთიდან მიგრირებული სომეხი იყო – ლ.ჯ.). დემოგრაფთა გამოთვლით ამ ხანებში სამცხე-ჯავახეთში 6 ათასამდე არაქართველი მუსულმანი და 26 ათასი ქართველი მკვიდრობდა, ქართველთა დიდ ნაწილს მიღებული ჰქონდა მუსულმანური სარწმუნოება /17.80/.

ახალციხის აღებისთანავე საზოგადოებაში გაჩნდა იმედი, რომ ისტორიული მესხეთში ქართული ცხოვრების წესი აღსდგებოდა. გენერალ პასკევიჩთან გამოცხადდნენ XVI-XVII საუკუნეებში მესხეთიდან გაქცეულ დიდებულ საგვარეულოთა შთამომავლები, წარუდგინეს ქართველ მეფეთა მიერ გაცემული სიგელები და წინაპართა მამულების დაბრუნება სთხოვეს. პასკევიჩმა მათი თხოვნა არ შეიწყალა და გარკვეული გულისწყრომაც კი გამოთქვა, რომ ქართველი თავად-აზნაურობა ანგარიშს არ უწევდა განვიღო საუკუნეებს, არც რუსეთის არმიის აქ დაღვრილ სისხლს და ოდესღაც გაცემული სიგელებით, უსირცხვილოდ, მოითხოვდა ძველი მამულების დაბრუნებას /14.329/. უფრო მეტიც, რუსული ხელისუფლება ხელს უშლიდა ადგილობრივ მუსულმან ქართველთა მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე გადმოსვლას. XIX საუკუნის შუა ხანებში მესხ დიდებულთა ერთმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა, მართლმადიდებლობას დაბრუნდებოდა რაზეც სასტიკი უარი მიიღო /27.78/.

აღრიანოპოლის ხელშეკრულების მე-13 მუხლი ნებას აძლევდა მუსლიმანებს დაეტოვებინათ რუსებისათვის გადაცემული ტერიტორია და თურქეთში გადასახლებულიყვნენ, ამისათვის მათ 18 თვის ვადა ჰქონდათ მიცემული. სამცხე-ჯავახეთიდან მუსლიმანთა გასახლებას აქეზებდნენ ოსმალეთის მთავრობა, მუსლიმი ღვთისმსახურები და თავის მხრივ რუსული მმართველობაც. შედეგად თითქმის მთლიანად დაცალა ჯავახეთი (ახალქალაქისა და ხერთვისის სან-

ჯაყები). სულ სამცხე-ჯავახეთი დატოვა მოსახლეობის ნახევარზე მეტმა /24.49-50/.

საზაფო ხელშეკრულებით რუსეთის იმპერიაში გამოსახლების უფლება მიეცათ თურქეთში მცხოვრებ ქრისტიანებს (ძირითადად სომხებს და ბერძნებს). ამ პროცესის ხელმძღვანელობა და ორგანიზაცია დაეწავლა საგანგებოდ შექმნილ „გადმოსახლებულთა კომიტეტს“, რომელმაც შეიმუშავა 13 მუხლიანი დებულება მიგრაციის მიმდინარეობისა და მოახალშენეთა განსახლების თაობაზე. დებულებით ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ადაპტაციის პერსპექტივაზე. გათვალისწინებული იყო მიგრანტთა ტრადიციული დასახლების სტრუქტურა და გეოგრაფია, საცხოვრებელი და სამეურნეო თავისებურებები და ა.შ. ისე რომ, ცდილობდნენ ერთმანეთის გვერდით მოეხვედრებინათ არა მარტო თურქეთში მეზობლად მცხოვრები კომლები, არამედ სოფლებიც, მთის მოსახლეობა დაე-სახლებინათ მთიან რეგიონში, ბარის მოსახლეობა – ბარში, ხოლო ვაჭარ-ხელოსნები ქალაქებში /33.17; 34.832/.

დებულების თანახმად მიგრანტები უნდა დაემკვიდრებინათ საზაფინო, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში საეკლესიო ან საბატონო მიწებზე /34.832/. ძირითადად მოახალშენებებს აფუძნდებოდნენ ომის მსვლელობისას გაუკაცრიელებულ ქართულ სოფლებში, რომელებიც ძალზე იაფად ჰქონდა შეძენილი რუსეთის ზაზინას, სომხურ ეკლესიას, სახელმწიფო მოხელეებსა და კერძო პირებს. მაგალითად ზაზინამ მუთი ბეგ ახალქალაქელისაგან (ფალავანდიშვილი) 3600 მანეთად შეიძინა 29 სოფელი ახალქალაქის მაზრაში; გრიგორიანმა ეპისკოპოსმა კარაპეტმა რამდენიმე სოფელი იყიდა ჩალის ფასად, ამ სოფლებისაგან აკრეფილი გადასახადის (წლიური 8000 მან.) ნახევარი შემდეგში ახალციხეში გახსნილი სომხური სასწავლებლის შენახვას ხმარდებოდა /35.22/.

XIX ს-ის პირველ ნახევარში თბილისში, ქვემო ქართლსა (ბორჩალოს მაზრაში) და სამცხე-ჯავახეთში შემოსული მიგრანტების ხარჯზე რადიკალურად შეიცვალა ამ მხარეების ეთნიკური შემადგენლობა. თურქეთთან მოსაზღვრე რეგიონში რუსული არმიის მიერ დროებით ოკუპირებული აღმოსავლეთ თურქეთის სომხური მოსახლეობის, დამკვიდრება სავსებით შეესაბამებოდა ცარიზმის პოლიტიკურ ინტერესებს. ვარაუდობდნენ, რომ თურქეთიდან შემოყვა-

ნილი მიგრანტები რუსეთის იმპერიის ერთგული იქნებოდნენ. როგორც ზემოთ ითქვა, სამცხე-ჯავახეთში 1828-29 წწ. თურქეთ-რუსეთის ომამდე მოსახლეობის უმრავლესობა ქართველი მუსულმანები იყვნენ. 1832 წლის აღწერით კი 60-65 ათასი მაცხოვრებელიდან, ამ რეგიონში, თითქმის ნახევარს მიგრანტი სომხები შეადგენდნენ /17.67/.

სომეხი მიგრანტების მიწებით დაკმაყოფილების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვნად შეეზღუდა სახანაე-სათესი ფართობები /1.29.135; 2.94.57-60/. ამ პერიოდში მკვეთრად შემცირდა არა მარტო მუსულმანი არამედ ქრისტიანი გლეხების სახანაე-სათესი ფართობები. ჯავახეთში გავრცელებული ერთ თქმულებაში ნათქვამია: “გენერალი ყოფილა (იგულისხმება გრაფი პასკევიჩი – ლ.ჯ.) და იმ გენერალმა უთხრა ხალხსაო... ჩქარა მოშორდით აქადანაო. თუ მოვიდა ჯარი უკნიდანაო, კაი დღე თქვენ დაგადგებათო ერთს არ გაგიშვან ცოცხალსაო! ისინებმა რო ე შიში გაიგენენ, გაცვინდეს ორმოებში და მალაროებში დაიმაღესო, რო გაიგნეს გამოიარა ჯარმა. ვიდრე ისინები გაიგენენ ი, ჯარის ამბავს, ვიდრე ი გენერალმა სომხები გადმორეკა არზრუმიდანაო. აქაურ სომხებს არზრუმის წესწყობილება აქ. ნამდვილია ეს. სუ არზრუმიდან არიან გადმოსული. ჩვენ რო გამოვედითო ტყიებიდანო, სომხებს დაკავებული ქონდათ მამულები და შევრჩით ამ გლახა მიწა-წყალსაო” /2.91.104/.

მეურნეობის მრავალი საიდუმლო, რომელიც ადგილობრივ გარემოზე საუკუნოვანი დაკვირვების შედეგად იყო შექმნილი 1829 წლის შემდეგ ოსმალეთში გადასახლებულმა მესხებმა გაიყოლეს თან. ნიშანდობლივია სოფ ჯიგრაშენის მაგალითი (ნინოწმინდის რ-ნში), სადაც უნიკალური ბაქან-ტერასების სისტემა არსებობდა. ტერასები მათ თავზე განლაგებული კლდეში გამოკვეთილი პატარა წყალსაცავების საშუალებით ირწყვებოდა. ტერასების სარწყავი წყალსაცავები ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკვირვების შედეგად გამოთუშავებული პრაქტიკული ცოდნის რეალიზაციის ნიმუშს წარმოადგენდნენ. ისინი წვიმის წყლით ივსებოდნენ მინიატურული წყალშემკრები არხებით, ამ მიზნით გამოიყენებოდა იქვე ახლოს მდებარე ორი წყაროც. ჯიგრაშენში გადმოსახლებულმა სომხებმა ნაწილობრივ ათთვისეს მხოლოდ ტერასების ზემო წყება მოგვიანებით კი ისიც მიატოვეს და ეს უნიკალური ტერასული სისტემა მთლიანად განადგურდა /109.38-39; 124.27-35/.

XIX საუკუნის ბოლოსათვის ახალციხის მაზრაში კომლზე საშუალოდ მოდიოდა 13,75 დესეტინა მიწა (სულზე - 1,55), ახალ-ქალაქის მაზრაში - 20,9 დესეტინა (სულზე - 2,35) /140.56/.

როგორც ითქვა, საქართველოში რუსული მთავრობა სხვა ქრისტიანულ ჯგუფებსაც ასახლებდა. ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა ქვემო ქართლში გერმანელების ჩამოსახლებას. 1817 წ. ვენის კონგრესიდან მომავალ ალექსანდრე I-ს შტუდგარტში შეხვდნენ ერთ-ერთი სექტის (სკეპტიკოსების) წარმომადგენლები და კავკასიაში გადმოსახლება სთხოვეს. სკეპტიკოსთა იდეოლოგიები (ბენგელი, იუნგ-შილინგი) უარყოფდნენ ლუთერანულ ეკლესიასთან ყოველგვარ კავშირს, წინასწარმეტყველებდნენ მოახლოებულ წარღვნას და თავიანთ მრევლს მოუწოდებდნენ ხსნა ამიერკავკასიაში არარატის მთის მაზლობლად ეძებნათ /36.10/. არარატის მთა და მისი მიმდებარე ტერიტორია XIX საუკუნის დასაწყისში ირანს ეკუთვნოდა ამიტომ სკეპტიკოსთა ლიდერებისათვის გადასახლებლად საუკეთესო ადგილს მისი მეზობელი საქართველო წარმოადგენდა. ამ მხრივ სექტანტებისა და რუსეთის ხელისუფლების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, ამიტომ რუსეთის იმპერატორმა შემოთავაზებულ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. გადმოსახლების სურვილს გამოთქვამდნენ ბირითადად ვიურტემბერგისა და ბადენის მხარეთა მკვიდრი სექტანტები, რომელთა პირველი ნაკადი იმავე 1817 წ. შემოვიდა ოდესაში /37.149/.

რუსეთის ხელისუფლება გადმოსახლების მსურველებს რწმენის ხელშეუხებლობასა და საცხოვრებელი ადგილებით დაკმაყოფილებას დაჰპირდა /36.26/. აპირებდნენ გერმანელები მესხეთშიც ჩამოესახლებინათ. 1872 წ. აბასთუმანში ჩამოიყვანეს ვიტემბერგელ გერმანელთა 10-მდე ოჯახი, რომელთაც აქ 6 წელი იცხოვრეს და მას ფრაიდენტალი უწოდეს. დაგეგმილი იყო სამცხეში კიდევ 70 კომლაძე გერმანელი ჩამოესახლებინათ, მაგრამ ისინი მთავრობის მიერ გამოყოფილმა მიწამ არ დააკმაყოფილა. უკვე ჩამოსული კოლონისტებიც აიყარნენ და ჯერ თბილისში, შემდეგ კი სართიჭალაში გადავიდნენ საცხოვრებლად /14.340/.

XIX ს-ის დასაწყისამდე ე.ი. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამდე საქართველოში თითქმის არ არსებობდა რუსული მოსახლეობა. თავდაპირველად, 1800-იანი წლების დასაწყისში რუ-

სული მმართველობა წარმოდგენილი იყო მცირერიცხოვანი ჯარითა და სამოხელეო აპარატით, მაგრამ დროთა განმავლობაში დერჟაველი პოლიტიკის სრულყოფილი რეალიზაციისათვის აუცილებელი გახდა რუსული ახალშენების შექმნა. ახალშენები იქმნებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით და მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც.

1835 წ. ნიკოლოზ I-ის ბრძანებით ამიერკავკასიაში უნდა ჩაესახლებინათ ცოლიანი რიგითი ჯარისკაცები, რომელთაც 15 წელი ჰქონდათ ჯარში ნაშსახურები. მალე შეიქმნა 10 ასეთი დასახლება, რომელთაც სპეციალური ბრძანებით გამოუყვეს თავისუფალი მიწები /37.126/.

საქართველოში დამკვიდრებულ მართლმადიდებელ რუსთა უმეტესობა “ნიკოლაევსკის დროინდელ” ჯარისკაცთა შთამომავლები იყვნენ, რომელთაც მამული 1835 წ. ნიკოლოზ I-ის ბრძანების საფუძველზე მიიღეს. თუმცა ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ კონტინგენტს არც თვითნებურად მიწების დაკავებას უშლიდა. 1897 წლის მონაცემებით ბორჩალოს მაზრაში იყო 447 კომლი (3365 სული) მართლმადიდებელი რუსი. ისინი ცხოვრობდნენ მანგლისში, გოლიცინის სლობოდაში, ნოვოპოკროვსკოეში, ჯალალ-ოდლში, პრიკოლნოეში, გერგერში. მართლმადიდებელი რუსებით დასახლებულ თითოეულ სოფელში იყო ეკლესია, სკოლა და ა.შ. /37.126-139/. სამცხე-ჯავახეთში რუსები ძირითადად ქ. ახალციხეში ცხოვრობდნენ. 1870 წლისათვის აქაურ სოფლებში სულ რამდენიმე კომლია აღნუსხული მაგ. სოფ. კოპაძე (1 კომლი), სოფ. ოპრცევში (1 კომლი) /146/. ოდნავ მოუმატია რუსების რიცხვს 1886 წლისათვის: სოფ. ეშტია (1 კომლი), ვალეში (1 კომლი), ცხუთაჯვარში (1 კომლი), უდეში, (2 კომლი), აწყურში (5 კომლი), იდუმალაში (1 კომლი), კლდეში (1 კომლი) და ა.შ. /147/.

ზემოხსენებულს გარდა საქართველოში, და მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც, მრავლად ასახლებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ამბოხებულ სხვადასხვა ჯგუფებს (დეკაბრისტებს, პოლონეთის აჯანყების მონაწილეებს და ა.შ.). ახალი მმართველობა საქართველოში არაქართულ ეთნიკურ ელემენტებს საერთოდ უწყობდა ხელს, მაგრამ რუსების ჩასახლებით თავისათვის, ყველაზე ერთგულ დასაყრდენს იქმნიდა. სწორედ მათი საშუალებით სურდა თვითმპყრობელობას შეექმნა სასაზღვრო რეგიონის საიმედო დაცვა და კულტურული თვალსაზრისით ახალი იმპულსების შეტანა.

XIX ს-ის 20-30-იან წლებში დაიწყო რუსეთის შიგა გუბერნიებიდან ე.წ. ერეტიკოსების გადმოსახლება საქართველოში. სექტანტები მოდიოდნენ როგორც საკუთარი ნებით, ისე იძულებითაც. ერთ-ერთი პირველი ტალღა იყო დუხობორები, რომლებიც ალექსანდრე I-მა ჩაასახლა თავრიდის გუბერნიასა და მელიტოპოლის მაზრაში, შემდგომში კი ახალციხის მაზრის ახალქალაქის უბანში გადმოსახლეს. გადმოსახლებულებს ერთი სასოფლო თემი ჰქონდათ. მათი 6 სოფელი გუმბრისაკენ მიმავალ გზაზე იყო განთავსებული, 2 — კი ფარავნის ტბის ნაპირებზე, ბორჩალოს მაზრის საზღვართან /37.128/.

1841-45 წლებში ჯავახეთში ჩაასახლდა 4097 სექტანტი. იმის გამო, რომ დუხობორებს პირველ ხანებში თავს ესხმოდნენ ყაჩაღები და ძარცვავდნენ, მთავრობამ მათ მუსლიმი ცხენოსნებისაგან შექმნილი რაზმიც კი მიუჩინა დასაცავად /14.338-339/. დუხობორებისათვის ახალქალაქის მკაცრი ჰავა ძნელად შესაგუებელი აღმოჩნდა და 1844-45 წ. მთავრობამ გადაწყვიტა, ისინი ქვემო ქართლში, ორბელიანის მამულში გადაესახლებინათ, როგორც მოიჯარე გლეხები. /38.39/ XIX ს-ის ბოლოსათვის დუხობორები ქვემო ქართლის სამ სოფელში ცხოვრობდნენ: ბაშკიჩეთში, ოროზმანში და ჯარაფლში. ისინი მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას, ნაკლებ მიდრეკილებას ამუღავნებდნენ კომერციისადმი. დუხობორთა ეს ნაწილი შემდგომში კანადაში გადასახლდა /37.130/.

სექტანტთა შემდეგი ნაკადი იყო მოლოკნები. მთავრობა ცდილობდა გადასახლებისას არ დაერღვია რელიგიური თემის ერთიანობა და როგორც წესი მათ ცალკე საცხოვრებელ ადგილს უყოფდა. გამონაკლისი იყო სოფ. ვორონცოვკა, სადაც მოლოკნები და სუბოტნიკები ერთად ცხოვრობდნენ. ვორონცოვკის მოლოკნების თემი ყველაზე გამორჩეულ და კულტურულ თემად ითვლებოდა, მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას, მეფუტკრეობას, იყვნენ საუცხოო კომერსანტები, მათი სოფელი მთელს ბორჩალოს მაზრაში უმდიდრესი სოფელი იყო /38.36-38/.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ რუსულ ხელისუფლებას ანატოლიიდან და თურქეთის სხვა პროვინციებიდან სისტემატიურად შემოჰყავდა სუნიტი ღვთისმსახურნი, რომელთა მოღვაწეობა, სამცხის მუსლიმური მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმის გაღვივებას და ქართული თვითშეგნების ტრანსფორმაციას უწ-



ყობდა ხელს. ერთხანს ასეთ ვითარებას ადრიანოპოლის ხელშეკრულებით ამართლებდნენ, სადაც ნათქვამი იყო, რომ მხარეები თავიანთ ტერიტორიებზე არ მოახდენდნენ რელიგიურ ცვლილებებს და ხელს შეუშლიდნენ ნებისმიერ გადაადგილებებს /27.79/.

რუსთა მმართველობის შემოსვლას არ მოჰყოლია ტრადიციული ქართული მიწათმფლობელობის წესის აღდგენა, კერძო მიწათა ფლობის წესი უცვლელად დატოვეს. რეეოლუციამდელ სპეციალურ ლიტერატურაში, სამცხე-ჯავახეთში თურქული მიწათმფლობელობის ორი ფორმა, ახჩური და თაფური, ისევ მოიხსენიება. ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ახჩურის კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ მიწები, რომლებიც პირობით სარგებლობაში ჰქონდათ და რომელთა ფლობის უფლებას სულთნისაგან ბოძებული საგანგებო ბარათებით იმტკიცებდნენ. თაფუს წესით კი საშუალო ფენის წარმომადგენლები მიწას იჯარით იღებდნენ და იჯარითვე გასცემდნენ გლეხებზე, რაც დიდ არეულობას იწვევდა და ხშირად უკმაყოფილების მიზეზიც ხდებოდა /136.21; 137.64; 138.330-334/.

სახელმწიფო მიწების სამიწათმოქმედო ფონდის ძირითადი ნაწილი სისტემატურად გადანაწილდებოდა ხოლმე მიწათმოქმედებს შორის. მიწის გადანაწილების რამდენიმე წესი არსებობდა – 1. ნაკვეთების განაწილება კომლში შემავალ წევრთა რაოდენობის მიხედვით; 2. კომლის ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით; 3. ნაკვეთებს მიტაცებით ეუფლებოდნენ /140.88; 139.399-400/. გადანაწილებას ყველა კატეგორიის მიწა ექვემდებარებოდა, გარდა საბაღე ნაკვეთებისა. ითვლებოდა, რომ ბაღების გაშენებაში მნიშვნელოვანი შრომა იყო ჩადებული და მისი მფლობელისათვის წართმევა უსამართლობა იქნებოდა. ნიშანდობლივია, რომ ბაღებს ანაწილებდნენ მხოლოდ მომთაბარე ქურთების სოფელ ვერტოხნში. ამ სოფლის მცხოვრებთ ჩამოსახლებისას ბაღები უკვე გაშენებული დახვდათ, ამიტომ არც მათი მოვლის ტრადიცია გააჩნდათ და არც დახარჯული შრომის გათვალისწინება უხდებოდათ /138.88/.

ამგვარი მიწების გადანაწილება გავრცელებული იყო ყველგან, სადაც თემს რაღაც მიწის ფონდი მაინც გააჩნდა. გ. ჯალაბაძე ამუაჩარექობის ანალოგიას ხედავდა ფშავე-ხევსურეთში სათემო მიწების აღლუმებად და ქიზიყში ოცეულებად დანაწილების წესში /141.11/.

რუსეთის მიერ XIX საუკუნის 60-იან წლებში გატარებული სასოფლო რეფორმა მიზნად ისახავდა სათემო მმართველობის უფლებათა გაზრდას. სასოფლო თემებში უნდა გაერთიანებულიყვნენ ყველა კატეგორიის გლეხები. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლესი ორგანო იქნებოდა გლეხების კრება.

აღმასრულებელი ხელისუფლება თავს იყრიდა სოფლის მამასახლისის, ხოლო სასამართლო სოფლის მოსამართლის ხელში. საქართველოში იმ ხანებში სასოფლო თემს მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეულის როლის შესრულება შეეძლო, რადგანაც რუსეთისაგან განსხვავებით სათემო მიწათმფლობელობა სუსტად იყო შემორჩენილი /142.225-226/.

მესხეთში შეიმჩნეოდა ცალკეული მეკომურების მისწრაფება დაესაკუთრებინა სათემო მფლობელობაში არსებული მიწა, სხვადასხვა გზით (საბაღედ შემოღობვა, ნაგებობების აშენება და ა.შ.), რაც თემის მხრიდან ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაგრამ ხშირად თემი ობიექტურად მიმდინარე პროცესების წინაშე უკან იხევდა. მაგალითად სოფ. ვალეში თემმა შეცვალა სასოფლო სავარგულების დატაცების ძველი წესი კომლობრივი გადანაწილებით, მაგრამ რადგანაც ამ ზონაში მებაღეობა ძალზე შემოსავლიანი იყო, მრავალი მეთემე, აკრძალვის მიუხედავად, მიღებულ ნაკვეთზე ბაღებს აშენებდა. ამის გამო, თემი იძულებული გახდა ბაღების გაშენების ნება სათემო მიწების ფონდის ერთ ნაწილზე სხვებისთვისაც დაერთო (ე.ი. მუდმივ სარგებლობაში მიეცა) /140.75/.

საგლეხო რეფორმა სამუსლიმანო საქართველოში (ასეთად ითვლებოდა სამცხე-ჯავახეთიც), მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლების დებულებით ამოქმედდა. ამიერიდან შესაძლებელი გახდა საგლეხო კომლებს კერძო საკუთრებაში ჰქონოდათ მიწა. არაპრივილეგირებულ მიწათმფლობელთა მიწების ნაწილი მათ უსასყიდლოდ მიიღეს. გახშირდა გლეხთა მიერ მიწების შეძენის ფაქტებიც /143.25/.

XIX საუკუნის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ბუნებრივი მატებისა და მიგრაციების ხარჯზე რიცხობრივად გაიზარდა, მაგრამ ქართველობაზე ორიენტირებულთა ხვედრითი წილი პირიქით, მცირდებოდა. 1897 წ. საყოველთაო აღწერით იქ 141 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ამ აღწერის დროს ეროვნების განმსაზღვრელ ძირითად ნიშნად ენა იყო მიჩნეული, ამიტომ თურქებს მია-

წერეს ყველა, ვინც მშობლიურ ენად თურქული მიუთითა. აღწერეს 24443 თურქი, 18924 თათარი, 18664 ქართველი და 67683 სომეხი /17.92; 39.39/. რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიღებულია დებულება, რომ ახალციხის მხარის მუსულმანებში თურქულენოვანი ჯგუფის წილი XIX (ამ ჯგუფის 1/3-დან) საუკუნიდან XX საუკუნის პირველ მესამედისათვის თანდათანობით უმრავლესობამდე გაიზარდა /20.13/.

მეფისდროინდელი რუსული პოლიტიკის ძირითადი აქცენტები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ცარიზმის სამსახურში მდგომ სომხური წარმოშობის ჩინოვნიკებს. მათ ისარგებლეს არსებული ტენდენციით და გადაწყვიტეს ქართულ ტერიტორიებზე სომეხი მიგრანტების მასობრივი შემოყვანა თურქეთიდან. კერძოდ ივ. ხატისოვმა რუსეთის ხელისუფლებას წარუდგინა ლიხთიქეთი (დასავლეთი) საქართველოს ათვისების გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ორი ეტაპისაგან შედგებოდა. ხატისოვი სლავური წარმოშობის მიგრანტების ადაპტაციისათვის საჭირო ეკონისტიტუტის შექმნის მიზნით ხელისუფლებას სთავაზობდა საქართველოს შავიზღვისპირეთში თავდაპირველად თურქეთიდან ჩამოყვანილი სომხები ჩაესახლებინათ, რომლებიც უფრო ადვილად შეეგუებოდნენ ადგილობრივ ნესტიან და ციებიან ჰავას, დააშრობდნენ ჭაობებს და შექმნიდნენ რუსი კოლონისტების ჩამოსახლებისათვის შესაფერის პირობებს /37. 146/. უნდა ითქვას რომ ამ პროგრამამ გარკვეული როლი ითამაშა XIX ს-ის II ნახევარში საქართველოში განვითარებულ ეთნომიგრაციულ პროცესებში.

ეთნოკონფესიური სიტუაციის ცვალებადობა თავისებურად აისახებოდა პოლიტიკურ ტენდენციებზეც. სომხური მოსახლეობის მომრავლებამ სამცხე-ჯავახეთში გააცხოველა, ამ კუთხის (უფრო ჯავახეთის) საქართველოდან (თბილისის გუბერნიიდან) ჩამოშორებისა და სომხეთთან (გუმბრთან, ერევნის გუბერნიასთან) მიერთების სურვილი /40.49/. 1913 წ. ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიიდან ჩამოშორებისა და სხვა სომხურ მაზრებთან მიერთების თხოვნა სომხებმა მეფისნაცვალს გრაფ ილ. ვორონცოვ-დაშკოვს მიართვეს. თხოვნას იმით ასაბუთებდნენ, რომ ახალქალაქის მაზრა, თითქოსდა, გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) უფრო იყო დაკავშირებული. ამ საკითხის გარკვევისათვის საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ, ერთხმად უარყო ჯავახეთის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშო-

რების ეკონომიკური სარგებლიანობა და სრულიად საპირისპირო დასკვნამდე მივიდა /40.49-51/.

ზემოხსენებული კომისიის დასკვნა, ბუნებრივია, მხოლოდ ეკონომიკურ სარგებლიანობაზე იყო დამყარებული და ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული ადგილობრივი, ქართული, მოსახლეობის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. თუმცა ეს გარემოება შეუძნეველი არ დარჩენიათ ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს. ზაქარია ჭიჭინაძემ მესხეთის თბილისის გუბერნიისადმი ჩამოჭრას და ერევანთან მიწერას, შემდეგი არგუმენტები დაუპირისპირა: — 1. მესხეთი უფრო ახლოსაა ბათუმთან (სულ 170 ვერსია) ვიდრე ერევანთან, გზატკეცილიც გაყვანილია და აქაური მცხოვრებნიც “მუდამდღე ხშირად დაიარებიან ბათუმში... საქონელსაც კი ზიდავენ გასაყიდად. ერევანში კი აქედამ წელიწადში ერთი კაციც არ წავა საქმეზე ან სავაჭროდ, რადგანაც ერევანი ამ კუთხეებზე შორს არის.” 2. “ამ კუთხის მცხოვრებნი ქართველი მაჰმადიანები თავს გურჯებად ცნობენ, თავიანთი ქვეყანაც გურჯისტანად მიაჩნიათ. გურჯისტანს ახლა ესენი ცხარეს თვალთ უმზერენ, ამიტომ ამათთვის ძნელი დასათმობი იქნება ამ კუთხის ერევანზე მიკერება” ამ გარემოების წინააღმდეგნი არიან ადგილობრივი მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველებიც. 3. “მთელს მესხეთ-ჯავახეთის ქართველნი არიან სუნის სჯულის მალიარებელნი” — აქ შიიტები არ არიან, ამიტომ ექვემდებარებიან ბათუმის მუფტს, ხოლო შიიტები ძალიან სქულთ /41.65-66/.

1914 წ. კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა რუსული მთავრობის, განზრახვა მუსულმანი და ქრისტიანი ქართველები ერთმანეთისათვის დაპირისპირებინა და მესხების დიდი ნაწილის ქართული ეთნოსისაგან ჩამოშორება დაესრულებინა. ამ მიზნით პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, როდესაც სამხრეთ საქართველოდან თურქეთზე შეტევა განახორციელდა, რუსეთის ჯარის სარდლობამ ქართველ დიდებულებს რეკომენდაცია მისცა მუსლიმი მესხები საქართველოდან თურქეთში გაერეკათ, ხოლო მათ მიწებზე დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი გლეხები ჩავსახლებინათ /44.11/. იმჟამად რუსეთის ხელისუფლებამ ამ გეგმის განხორციელება ვერ მოახერხა, ქართველი თავად-აზნაურობა ხსენებულ პროვოკაციას არ წამოეგო.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისათვის პირველი მსოფლიო ომი და მის შემდეგ განვითარე-

ბული მოვლენები. ომის პერიოდში მოსახლეობა მესხეთში 200 ათასიდან (1914 წ.), 1917 წლისათვის 176 ათასამდე შემცირდა /17.95/.

მსოფლიო ომმა, რუსეთის რევოლუციებმა და ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების გამოცხადებამ კიდევ უფრო გაართულა სამხრეთ საქართველოს მდგომარეობა. ერთმანეთს გადაეხლართა ქართული, სომხური, თურქული და რუსული ინტერესები. ახალქალაქის სამაზრო კომიტეტში მოკალათებულმა დაშნაკებმა საგანგებოდ გამართულ სხდომაზე, 1918 წ. გაზაფხულზე, დადგენილება გამოიტანეს, რომ ახალქალაქის მაზრა გამოსულიყო თბილისის გუბერნიიდან და ერევნის გუბერნიაში შესულიყო. ჯავახეთის ერთი ნაწილი, დღევანდელი ნინოწმინდის მხარე, 1918 წ. 8 დეკემბერს სომხეთის ცხენოსანმა რაზმებმა კიდევ დაიკავეს, მაგრამ 14 დეკემბერს იძულებული გახდნენ დაპყრობილი ადგილები მიეტოვებინათ და უკან გაბრუნებულიყვნენ /25.120/.

სომხების ერთი ნაწილის სეპარატისტული განწყობილება არც საბჭოთა პერიოდში დამცხრალა. ამ დროისათვის, მათ უკვე შეძლეს ლორის რაიონის სომხეთთან მიერთება და 1922 წ. ახალი პროექტი წარმოადგინეს, რომლის მიხედვითაც ჯავახეთის ბორჩალოს მაზრასთან მიერთებით ერთი სომხური ადმინისტრაციული ერთეული უნდა შექმნილიყო. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს იყო ორივე ამ მაზრის საქართველოსათვის მოგლეჯისა და სომხეთთან მიერთების ოსტატურად მოფიქრებული პროექტის პირველი საფეხური. ამ ნაბიჯს აუცილებლად მოჰყვებოდა მეორეც, ჯავახეთისათვის ავტონომიის მინიჭებისა და საქართველოსაგან გამოყოფის მსგავსი პროექტი /45.6/. სიპტომატურია, რომ უკანასკნელ ხანებში ჯავახეთის ავტონომიზაციის იდეის გააქტიურება გათვლილია ქართული სახელმწიფოს სისუსტეზე.

რუსული იმპერიული პოლიტიკა მესხეთში მდგომარეობდა ადგილობრივ მუსლიმების გაოსმალება-გათურქებისათვის ხელის შეწყობაში, ამ მიზნით აქეზებდნენ თურქეთში მიგრაციას, მუსულმანურ სოფლებში სკოლებში სწავლება და სამართალწარმოება რუსულ ან ოსმალურ ენებზე მიმდინარეობდა, ოსმალეთიდან საგანგებოდ შემოყვანილი მოღვაწეები სკოლებთან ხსნიდნენ თურქულენოვან მედრესებს. ეთნიკურ ტენდენციებზე ღიდი გავლენა იქონია იმან, რომ რუსეთის იმპერიის კეთილშობილთა სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებ-

ბებში სამცხე-ჯავახეთის დიდებულებს არ ლებულობდნენ, ისინი სასწავლებლად მიდიოდნენ ან ბაქოში კავკასიის მუსულმანთა ცენტრში, ან ოსმალეთში. ყოველივე ამის შედეგად XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე-ჯავახეთში ჩამოყალიბდა პროთურქული ორიენტაციის ადგილობრივი ინტელიგენცია /42.56-57; 46.154/. ამის გამო XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა და არც XX საუკუნის დასაწყისში შემწყდარა ქართული მუსულმანების მიგრაცია თურქეთში /42.53,130; 43.95/.

XX საუკუნის პირველ მეოთხედში მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა (პირველი მსოფლიო ომი, რუსეთის რევოლუციები და სხვა) კიდევ ერთხელ მისცა ქვეყნებს პოლიტიკური რუკის გადასინჯვის შესაძლებლობა. თურქეთი ცდილობდა ისევ დაეპყრო ადრე რუსეთთან ომში დაკარგული ქართული ტერიტორიები და ამ მიზნით იქ იდეოლოგიურ საფუძველს ამზადებდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთის არმიამ დატოვა კავკასიის ფრონტი. იმ დროისათვის უკვე ცხადი იყო მესხეთის მუსულმანთა შორის პროთურქულად ორიენტირებული ადამიანების მოღვაწეობის შედეგი. ბევრად აღარებს მარქსისტულ (ბოლშევიკურ ან თუნდ მენშევიკურ) საქართველოზე უფრო თურქეთი იზიდავდა, რადგანაც ისტორიული გამოცდილება კარნახობდა, რომ იქ მიწებს მაინც შეინარჩუნებდნენ. თანდათანობით გამოიკვეთა თურქეთზე ორიენტირებულ “ბაირახტართა” გუნდი: ზია-ბეგ-ავალიშვილი, აგრონომი, მას რუსული განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ მთელი არსებით თურქი იყო; ომარ ფაიკი (ყიფიანი) რომელიც ჯერ პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა (თბილისში გამოსცემდა “მოლა ნასრედინს”), შემდეგ აწყურში გადავიდა საცხოვრებლად. მას თავისი აგენტები ჰყავდა დაგზავნილი სოფლის მასწავლებლებად და აჯანყებისათვის ემზადებოდა; ომარ ფაიკის დისწული ახმედ-ბეგ ფეფინოვი (ფეფინაშვილი); სერვერ ბეგ ათაბაგი (ჯაყელი) იგივე პრინცი ქობლთანსკი /47.19-29; 149.43; 27.174,259/.

სწორედ მათი ინციატივით ჩატარდა აბასთუმანში მუსულმანთა ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ახალციხის და ახალქალაქის მაზრა თბილისის გუბერნიისაგან გამოეყოთ და ყარსის მხარესთან გაეერთიანებინათ აჭარასა და ფოცხოვთან ერთად. იმ ხანებში მხარის რწმუნებულის შ. მაღლაკელიძის ენერგიული მოქმედების გამო პანთურქისტულად განწყობილმა ბეგებმა განაზრა-

ხის შესრულება ვერ მოახერხეს, მაგრამ ქრისტიანული და მუსულმანი მოსახლეობის დაპირისპირების პრეცედენტის შექმნა მაინც შეძლეს /47.15; 27.259; 150.243-245/.

დაპირისპირების პროვოცირებას ხელი შეუწყო ამიერკავკასიის კომისარიატის გაუაზრებელმა პოლიტიკამ. შ. მაღლაკელიძეს აქვს ერთი საინტერესო მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ გადაიმტერეს სერვერ ბექ ქობლანსკი (შემდგომში ყარსის მთავრობის თავმჯდომარე). "პირველი რაც გააკეთეს ჩვენებმა.. სახლები ჩამოართვეს. ე.ი. ქონება. სერვერ ბეგი ოსმალეთის აგენტად ჩათვალეს... სერვერ ბეგმა შემატყობინა, რომ ყარსში მივიღივარო და იცოდე, არ დავზოგავო, არც ერთი ქართველის ფეხი არ იქნება ჩემ ბაღშიო, რაიმე დიდი პოლიტიკაზე კი არ ამბობს, ჩემი ბენაარისთვისო, ბაღისთვისო... ბენაარის ბაღს ართმევ სადაც თვითონ ძინავს, ყმებს არ ენდობა, არ გამიფუჭონ ვაშლიო და თითოეულ ვაშლს ცალკე ქალაქში ახვევს, რომ არ გაუფუჭდეს. გადააქვს ხულოს გზით და მარსელში გზავნის" /149.46-47/. უეჭველია, ეკონომიკური ინტერესები მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამხრეთ საქართველოში იმ ხანებში განვითარებულ დრამატულ მოვლენებში.

რუსეთის და თურქეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკში დადებული საზავო ხელშეკრულებით თურქებს მიაკუთვნეს ყარსი, არღვანი და ბათუმი, თუმცა ოსმალეთის მთავრობა იმედოვნებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში უფრო მეტს მიიღებდა /48. 49-50/.

მართლაც, ოსმალეთს მიეცა ამის საშუალება, ბათუმის საზავო ხელშეკრულების ძალით, 1918 წლის ივნისში დაიკავა მთელი მესხეთი, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით. თუმცა, მალე მუდროსის ზავის (დაიდო 1918 წლის 30 ოქტომბერს) პირობების თანახმად თურქეთი იძულებული გახდა დაეტოვებინა ეს ტერიტორია. ოსმალები არ აპირებდნენ რეგიონი საბოლოოდ დაეტოვებინა, სამხედრო ოპერაციებს, რომლებსაც მათი რეგულარული ჯარები ახორციელებდნენ, ხშირად ადგილობრივ მცხოვრებლებს მიაწერდნენ /48.50/.

მესხეთის თურქეთის შემადგენლობაში შენარჩუნება ჰქონდა მიზნად ე.წ. სამხრეთ-დასავლეთის რესპუბლიკის შექმნასაც. "სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის" იდეა თურქეთში მომზადდა. ყარსის რესპუბლიკას მხარს უჭერდა და ყოველნაირად ეხმარებოდა

ოსმალეთი. სასაზღვრო დეკლარაცია და საგანგებო განკარგულება, რომლის ტექსტი “ყარსის მთავრობის” წარმომადგენლებს უნდა წარედგინათ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დადასტურებული იყო თურქეთის სახელმწიფო მდივნის მიერ. აქედან ნათლად ჩანს, რომ ბათუმის, არტანის და ყარსის მხარეების მიერთება თურქეთს აღრიდანვე ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ, ცდილობდა მიღწეულით არ დაკმაყოფილებულიყო და ხელში ჩაეგდო საქართველოსა და სომხეთის ის ტერიტორიები, რომლებიც ბრესტის ზავში საერთოდ არ იყო ნახსენები /49.88/.

სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ანუ ყარსის სახელმწიფომ სულ 1919 წლის 14 იანვრიდან 20 აპრილამდე იარსება. სერვარ ბეგის და ომარ ფაიკის არაორგანიზებულმა რაზმებმა გენერალ გ. კვინიტაძის არმიის შემოტევას ვერ გაუძლეს და ეფემერულმა ყარსის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა /48.115-159/.

ისტორიული წყაროების და მემუარული ლიტერატურის ანალიზი გვარწმუნებს, რომ მუსულმანთა გამოსვლები საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ინსპირირებული იყო თურქეთის მთავრობის მიერ. თურქეთი ქმნიდა საფუძველს ქართველი ქრისტიანებისა და მუსულმანების ეთნოკულტურული განშორებისათვის, ამარაგებდა მუსულმან მოსახლეობას იარაღით, სამხედრო კადრებით და ა.შ. /48.125; 47.106/. ახალციხელმა დიმიტრი ყალაიჯიშვილმა სამცხე-ჯავახეთში მომხდარი მღელვარებების შემსწავლელ კომისიას უამბო, როგორ აქეზებდნენ პანისლამიზის მქადაგებელი აგენტები ქართველი მუსულმანების თურქეთში გადასახლებას ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში /47.90/.

უნდა ითქვას, რომ მუსულმანთა მნიშვნელოვანი ნაწილი თანაუგრძობდა საქართველოს სახელმწიფოს და ფარულად თუ ღიად უჭერდა მხარს ქართულ მთავრობას /48.119,132/. ბევრი მუსულმანი საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობდა, ხშირად კი თურქებს ისინი იძულებით გაჰყავდა ჯარში /27.428/.

1921 წელს როდესაც წითელი არმია ახალციხეს უტევდა, მათ, საქართველოს რესპუბლიკის სახელით მებრძოლი, ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული, რაზმები დაუპირისპირდნენ. ამ რაზმებს ბანშიბეგ მაჩაბელი სარდლობდა. მესხები გმირულად იბრძოდნენ და ერთხანს რუსის ჯარს ბორჯომის ხეობისაკენაც კი დაახვეინეს. სიმბოლუ-



რია, რომ როდესაც რუსი ბოლშევიკები ახალციხეს იღებდნენ ამ დროს თურქები არტაანში შედიოდნენ /27.305/.

მთავრობის ეთნოდემოგრაფიული პოლიტიკა მესხეთში არც საბჭოთა პერიოდში შეცვლილა. ამ პერიოდის ოფიციალურ დოკუმენტებში მოცემულ სტატისტიკაში ცდომილებები აშკარაა. განსხვავებული მონაცემები გვხვდება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ოდენობისა და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალების თანახმად 1926 წ. აღწერის მიხედვით ჯავახეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან (78937), ქართველთა რაოდენობა იყო 7565, სომხების – 57791, თურქების – 6910, ქურთების – 930, რუსების – 2492, უკრაინელების – 2679 /50.24/. სამცხეში 96973-დან ქართველი იყო 24357, თურქი – 49170, სომეხი – 15565, რუსი – 1678, ქურთი – 3094 /50.25/ სხვაგან კი ჯავახეთში 1926 წლისათვის აღნუსხულია 71794 პირი, სამცხეში კი – 102321 /17.126/.

1928 წლისათვის ოფიციალური მონაცემებით სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 56,7 ათასი "თურქი" და "ოსმალთა თურქი", ასევე 11,6 ათასი ქართველი მშობლიური "თურქული" ენით /20.13/. ცხადია სსრკ სტატისტიკა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის დადგენისათვის მაინცა და მაინც სანდო არ არის.

1926 წ. აღწერის მიხედვით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მკვეთრად შემცირდა ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილი, მუსულმანი ქართველების თურქებზე მიწერის ხარჯზე. შემდგომი 1939 წ. აღწერის მონაცემები სავსებით განსხვავებულ სურათს იძლევა. აქ თურქები საერთოდ აღარ ჩანან და მათ ადგილას აზერბაიჯანელები ფიგურირებენ /50.24-26/. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ომის წინა წლებისათვის სამცხე-ჯავახეთის მთელი მოსახლეობა 228678 ადამიანს შეადგენდა /17.126/.

1944 წლისათვის კი, როდესაც ამ რეგიონიდან მოსახლეობის დეპორტაციისათვის ემზადებოდნენ, ოფიციალურ დოკუმენტებში აზერბაიჯანელთა ადგილი ისევ თურქებმა დაიჭირეს.

უკანასკნელ ხანებში ნათლად გამოიკვეთა, რომ ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა იდეოლოგია მიერ ნაქადაგები ხალხთა კონსოლიდაციისა და ერთა შორის ძმობა-სიყვარული, მხოლოდ პოლიტიკურ დემაგოგიას წარმოადგენდა და რეალობასთან საერთო არა-

ფერი ჰქონდა. პოსტსაბჭოურ სივრცეში ეთნიკურ სფეროში არსებული დაპირისპირებები სწორედ კომუნისტურ ეპოქაში არსებული იძულებითი სტაბილურობის ნიადაგზეა წარმოქმნილი.

საბჭოთა ჩინოვნიკური აპარატისათვის ბოლომდე შეუცნობელი დარჩა (უფრო სწორედ არც აინტერესებდა) გასახლებულთა ეთნიკური ვინაობა. ასე მაგალითად, 1946 წლის მონაცემებში ყაზახეთში დეპორტირებულთა აბსოლუტური უმრავლესობა (24304 ადამიანი 26044-დან) აზერბაიჯანელად არის აღრიცხული. ამასთან ცალკე ეთნიკურ ერთეულებად არიან დარეგისტრირებული – თურქები 676 ადამიანი, აჭარლები – 411 და ქართველები – 229 /52.26/. სრულიად სხვაგვარ ეთნიკურ პროპორციას ვხედავთ 1949 წლის მონაცემებში, თურქების რაოდენობა 13290-მდეა გაზრდილი, აზერბაიჯანელების კი 10340-მდე შემცირებული /53.5/.

ქართველი ინტელიგენცია გრძნობდა საბჭოთა ხელისუფლების მზაკვრულ ჩანაფიქრს და ცდილობდა მისი თავიდან აცილების წინაპირობა შეექმნა. ამ მიზნით XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს ს. ჯანაშიას და პ. ინგოროყვას ინიციატივით მუშავდებოდა პროგრამა, რომლის მიხედვითაც ქართველ მუსლიმთა შვილებს აზერბაიჯანულის ნაცვლად ქართულ სკოლებში უნდა ესწავლათ /54.140-141; 85.62/.

2002 წლის აღწერის თანახმად სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს 207598 ადამიანი, ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ძირითადად სომხები (113347) და ქართველები (89995).

### §3. 1944 წლის დეპორტაცია სამხრეთ საქართველოდან

საბჭოთა ხელისუფლებამ მე-XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დაიწყო ეთნოკულტურული ნიშნით ადამიანთა ჯგუფების გასახლება. ქვეყნის 40-იანი წლების ბოლომდე სსრკ-ს ევროპული ნაწილიდან რამდენიმე ეთნიკური და კონფესიური ჯგუფის დეპორტაცია განახორციელა ციმბირსა და შუა აზიაში.

პირველი ეთნიკური გადასახლება კორეელებს შეეხოთ. 1937 წელს რამდენიმე ათასი კორეელი გადაასახლეს შორეული აღმოსავ-

ლეთიდან ყაზახეთში; 1940 წელს ლენინგრადის მიდამოებში მცხოვრები ფინელები და ესტონელები — ახლად დაპყრობილ კარელია ფინეთის რესპუბლიკაში /55.354-355/. გერმანიასთან დაწყებული ომის შემდეგ ამ მოვლენებმა უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო. შორეულ აღმოსავლეთში მთლიანად გაასახლეს ვოლგისპირელი გერმანელები, მათ მიაყოლეს გერმანელები მთელი სსრკ-ს მასშტაბით. 1944 წელს უკვე ყირიმელი თათრების, ჩრდილო კავკასიის ხალხების და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მუსულმანების რიგი დადგა.

1944 წლის 15 ნოემბერს საქართველოს სამხრეთის სასაზღვრო ზოლიდან — ადიგენის ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, მაშინდელი ბოგდანოვკის (ამჟამინდელი ნინოწმინდა) და აჭარის რაიონებიდან, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასაიმედო, ათეულობით ათასი ადამიანი გადაასახლეს შუა აზიის რესპუბლიკებში — უზბეკეთში ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში.

საარქივო მასალა სამხრეთ საქართველოს მუსულმანი მოსახლეობის გასახლებისათვის მზადების შესახებ, გვხვდება 1944 წ. გაზაფხულიდან. მ. ნათელაძემ მიაკვლია 1944 წ. მაისით დათარიღებულ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე, სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაბუთებდნენ საზღვრისპირა ზონიდან მოსახლეობის ერთი ნაწილის გასახლების მიზანშეწონილობას. აქვე მოცემულია გასახლებისა და ამ რაიონებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ქართული მოსახლეობის ჩასახლების დეტალური გეგმა /50.27-28/. ჩანს ადგილობრივი ხელმძღვანელობა ემზადებოდა სამცხე-ჯავახეთიდან მუსულმანთა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში ჩასახლებლად. გეგმის თანახმად 77500 ადამიანი უნდა გადაესახლებინათ შიდა ქართლისა და კახეთის მიწით კარგად უზრუნველყოფილ კოლმეურნეობებში (ჩაესახლებინათ თითოეულში 50-60 კომლამდე): რა თქმა უნდა ამგვარ ინციატივას რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სათანადო დირექტივების გარეშე ვერ გამოიჩინდა. საგულისხმოა, რომ საქართველოს ცკ-ში აზრადაც არავის მოსვლია რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ ამ ხალხის გაყვანა /50.28-29/.

1944 წ. 24 ივლისს №7895 წერილით ლ. ბერია სტალინს ატყობინებდა, რომ სახელმწიფო საზღვრების დაცვის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნდა ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებიდან და აჭარის ზოგიერთი სოფსაბჭოდან გაესახლებინათ — თურქების, ქურთებისა და ხემშინების 16700 კომლი. უკვე 1944 წლის 31 ივლისს სახელმწიფო დაცვის კომიტეტმა მიიღო დადგენილება №6279 (ზოგან გეხვდება №5279) რომლის თანახმადაც საქართველოს სსრ-დან ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში უნდა გაესახლებინათ 45516 თურქი და მათთან ერთად 29505 სხვა ეროვნების ადამიანი, რომლებიც ადრე თურქებად იწოდებოდნენ (იგულისხმება იმ ხანებში აზერბაიჯანელებს მიკუთვნებული მესხები — ლ.ჯ.) /44.13/.

გადასახლებელი კონტინგენტის შერჩევა შეძღვეი კრიტერიუმებით მოხდა: "გადასახლებას ექვემდებარება საქართველოს სსრ ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების ყველა მცხოვრები — ეროვნებით თურქი, ქურთი და ხემშინი.

სკ(ბ)-ს და ალკკ-ს წევრები — ეროვნებით თურქები, ქურთები და ხემშილები — მათი სამსახუროებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ასევე ექვემდებარებიან გასახლებას.

შენიშვნა: ა) არ გასახლდებიან სხვა ეროვნების პირთან ქორწინებაში მყოფი, ეროვნებით თურქი, ქურთი და ხემშინი, ქალები;

ბ) გასახლების მომენტში ოჯახების ცალკეული წევრები რომლებიც ადგილზე არ იმყოფებიან (სამსახუროებრივი მივლინება, შვებულება, არყოფნა პირადი საქმეების გამო და ა.შ.) იქნებიან აყვანილი აღრიცხვაზე და დამატებით დაექვემდებარებიან გადასახლებას" /44.12/.

დებორტაცია უნდა განხორციელებულიყო ჩრდილო კავკასიასა და ყირიმში უკვე გამოცდილი სცენარით. გასახლებულთაგან ქონების ჩასაბარებლად შეიქმნა ერთი საოლქო (აჭარაში) და ცხრა რაიონული (სამცხე-ჯავახეთში) კომისია, რომელთაც ექვემდებარებოდნენ სოფლებში შექმნილი და საბჭოთა ჩინოვნიკებისაგან დაკომპლექტებული კომისიები. ადგილობრივი 259 კომისია დაკომპლექტებული იყო 589 ჩინოვნიკისაგან, რომელთაც დაუმატეს 300 ადგილობრივი მასწავლებელი. კომისიის მოვალეობა იყო ზუსტად აღერიცხა გადასახლებულთა უძრავ-მოძრავი ქონება და გასახლებულები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ხილის ბაღების სანაც-

ვლოდ გაცვლითი ქვითრებით (обменные квитанции) უზრუნველ-  
ყოფო /56.13/.

დეპორტაცია ოფიციალურად შეძღვევი მოტივაციით იყო ახ-  
სნილი — "მრავალი წლის მანძილზე ამ მოსახლეობის მნიშვნელო-  
ვანი ნაწილი ნათესაური ურთიერთობით დაკავშირებული იყო თურ-  
ქეთის საზღვრისპირა რაიონების მაცხოვრებლებთან. ისინი ამჟღა-  
ვებენ ემიგრაციულ განწყობილებებს, ეწვეიან კონტრაბანდას, თურ-  
ქეთის დაზვერვის ორგანიზაციებისათვის ჯამუშური ელემენტების  
გადმობირებას და ბანდიტური ჯგუფების დამკვიდრებას." /57.11/ ე.ი.  
მესხეთის მოსახლეობას ბრალი ედებოდა თურქეთში გადასვლასა და  
იქაურ მოსახლეობასთან კონტაქტში. თუმცა, ჯავახისათვის ან სამ-  
ცხელისათვის არტაანში წასვლა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო,  
როგორც ახალციხეში სტუმრობა. ტრადიციულად, სამხრეთ საქარ-  
თველო განუყოფელი იყო, მექანიკურად დაშორებულმა მესხეთის  
პროვინციებმა არალეგარულად გააგრძელეს კავშირი /58.8-11/.

ახალციხელი მოხუცი სომხის ქალი იხსენებს "ჩვენები ამბობ-  
დნენ — ფოცხოვი, რომ ჩამოდის (ნახევარი ჩვენია ნახევარი მაგათი)  
მის ქვეშ ტუნელი ჰქონიათ, გადადიოდნენ და გადმოდდიოდნენ, ქორ-  
წილში წავიდოდნენ და მოვიდოდნენ (თურქეთში — ლ.ჯ.). ორი თვე  
იყვნენ პაგრანიჩნიკები, ჩემი ამხანაგის ბინაში იცხოვრეს, დაამუშა-  
ვეს ყველაფერი და მერე ერთ ღამეში გაასახლეს" /214/.

მუსლიმი მოსახლეობის გასახლების მიზეზების გარკვევის  
მცდელობა გვხვდება ცალკეულ ნაშრომებში. ზოგიერთი მოსახრების  
თანახმად დეპორტაცია გამოწვეული იყო მსოფლიო ომში თურქების  
გერმანელებთან კავშირით. თურქეთს საბჭოთა საზღვრებთან დის-  
ლოცირებული ჰყავდა სამ ათეულამდე დივიზია. ეს გარემოება აუ-  
ცილებელს ხდიდა საბჭოთა კავშირის საზღვრის დაცვის ღონისძიე-  
ბათა შემუშავება-განხორციელებას /50.42; 25.152/.

ზოგი ვარაუდით გასახლება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო  
საბჭოთა ხელისუფალთა ჩანაფიქრთან, ელვისებური დარტყმა მიეყე-  
ნებინა თურქეთისათვის აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, რათა  
დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებზე კონტროლი დაემყარებინა.  
ასეთი ოპერაციის განხორციელებისას სასურველი იქნებოდა კონ-  
ტინგენტი, სადაც ერთი ნაწილი პროთურქულად იყო განწყობილი,  
თურქეთთან საზღვრებიდან შორს, შუა აზიაში გადაესახლებინათ

/59.19; 60.4-6/. როგორც ჩანს, სსრკ ხელისუფლება მართლაც ემზადებოდა თურქეთზე თავდასხმისა და ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული ტერიტორიების შემოსაერთებლად, რისთვისაც საზოგადოებრივ აზრსაც ამზადებდა. ქართველი ისტორიკოსების ცნობილი წერილი თურქეთის საქართველოს შესახებ, რომელიც სწორედ იმ ხანებში გამოქვეყნდა, ამ მოსაზრებას უმაგრებს მხარს. დეპორტირებულთა შორის გვხვდება სხვა არგუმენტებიც მაგალითად, ეკონომიკური მოტივაცია. მესხეთის მუსლიმი გლეხები ითვლებოდნენ ძალზე შრომისმოყვარე და უნარიან მეურნეებად და მათი შუა აზიის ნაკლებგანვითარებულ რეგიონებში დასახლებას შეიძლება ეკონომიკური საფუძვლებიც ჰქონოდა.

გადასახლებას კარგად იხსენებენ თავად დეპორტირებულები, თუმცა მიზეზს, რისთვის გადაასახლეს ვერ ამბობენ. უკრაინაში მცხოვრები მესხის ნაამბობი: "1944 წლის 14 ნოემბერს სოფელს ალყა შემოარტყა [ჯარმა] ერთ ოჯახზე მოდიოდა ერთი ჯარისკაცი, მცველად. მე მაშინ 17 წლის ვიყავი, მე-9 კლასში ვსწავლობდი აწყურში. (საუბრობს ძალიან მძიმედ, გაუგებრად, ახსენებს ვაგონიდან გადაყრილ მიცვალებულებს). ჩემს ოჯახში ხუთი სული იყო, ორი დაერჩით, სამი გზაში დაიღუპა. ეს რკინიგზა ჩვენმა ხალხმა გაიყვანა, აქ პირველი მატარებელი შემოვიდა და ჩვენი ხალხი წაიყვანა გადასახლებაში. ჩვენ გვითხრეს, რომ 7 წლით გეასახლებდნენ, მიზეზად გვითხრეს თურქეთთან სიახლოვე."

ახალციხის რაიონში 13 ნოემბერს, ხოლო ადიგენისა და ასპინძის რაიონებში 14 ნოემბერს ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ ადგილობრივი კომისიების თავმჯდომარეებსა და კომისიის წევრებს. აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრებს აუხსნეს საქონლის მიღებისა და ქვითრების გაცემის წესი, მაგრამ არ გაუმხილეს, რომ მუსლიმანთა გადასახლება იგეგმებოდა /56.13/.

1945 წლის 5 იანვრით დათარიღებულ წერილში ს. ქანთარია ლ. ბერიას ატყობინებს, რომ კომისიის წევრები 15 ნოემბრის დღეს, როდესაც გადასახლების პროცესი დაიწყო უკვე ადგილებზე იყვნენ, მაგრამ სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებმა ისინი არ მიუშვეს ქონების აღწერისათვის. ასე მაგალითად, სოფ. ორჭოშანში და ხონაში კომისიამ მხოლოდ შუადღისათვის შეძლო შესვლა, როცა სოფლები უკვე მცხოვრებთაგან დაცარიელებული იყო. ახალცი-

ხის რ-ნის სოფ. წინუბანში კი კომისია სამხედროებმა მთელი დღით დააკავეს და მხოლოდ 16 ნოემბერს მისცეს მუშაობის დაწყების საშუალება. ანალოგიური ვითარება იყო ბევრ სხვა დასახლებულ პუნქტში. ოპერატიული სამსახურების არაეფექტური ქმედებების გამო, სამეურნეო კომისიებმა (ჯაყისმანში, აბასთუმანში, ზონაში, წახანში, ვარხანში, გომაროში, საყუნეთში და სხვანაირი) ვერ შეძლეს დაედგინათ დატოვებული ქონების მეპატრონეები. ასევე ვერ ახერხებდნენ უკვე საძოვრებზე გასული პირუტყვის შესაკუთრეთა ვინაობის დადგენას, ამის გამო უსახელო გაცვლით ქვითრებს იძლეოდნენ მთელს სოფლებზე /56.13/.

ამგვარ სიტუაციაში რასაკვირველია მრავალ ადამიანს სრულიად დაუკარგავს წლების მანძილზე ნაგროვები ქონება. პირუტყვზე გამოწერილი 10330 "კვიტანციიდან" გადასახლებულებს მისცეს მხოლოდ 4062, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გამოწერილი 7189 ქვითრიდან – გადაეცათ 2419, საჭაპანო პირუტყვზე გამოიწერა 1651 – გადაეცათ 176, ხილის ბალებზე გამოწერილი 5584 – გადაეცათ 1002 /58.13/.

ყველაზე უარესი მდგომარეობა ამ მხრივ აჭარაში იყო. გასახლებული ხემშინებისათვის გამოწერილი 995 ქვითრიდან, არც ერთი მათ არ გადასცემიათ /56.15/.

მაინც რამ გამოიწვია ასეთი დამოკიდებულება ადგილობრივი კომისიების მიმართ?! დეპორტირებული ნაზირა ვაჩნაძის გადმოცემით ქონების აღწერას აწარმოებდნენ თავად სამხედროების წარმომადგენლები. "კაპიტანი დაძრწოდა ოთახებში და ყვიროდა "სადაა თქვენი ოქრო?" დაიწყო ზანდუკის ჩხრეკა, ყველაფერი გადააბრუნა და გადააქოთა, უცებ გაყუჩდა. ზანდუკის კუთხეში იპოვა პატარა ყუთი, გახსნა იგი და ამოიღო სამი ორმოცდაათმანეთიანი... უცებ მისმა მახვილმა თვალმა სადაფისტარიანი დანა შენიშნა მაგიდაზე. ლამაზი დანა იყო... თითქოს სხვათა შორის ჩაიჭურთა დანა ჩექმაში" /61.24)/. რა თქმა უნდა მორადიორ სამხედროებს სრულიადაც არ სურდათ ამ "კონფისკაციას", ადგილობრივი კომისიების წარმომადგენლები დასწრებოდნენ.

საბჭოთა სახელმწიფომ თითქმის ყოველგვარი საზღაურის გარეშე მიიღო 8252 ტ. მარცვალი, 3948 ტ. კარტოფილი, 4537 ბოსტნეული, 312 ტ. ხილი, 13,5 ტ. მატყლი, 23777 – ძროხა, 18205 – კა-

მეჩი, 80049 – წერილფება პირუტყვი, 2817 ფრთა ფრინველი და 1 ღორი /56.15-16/.

სპეციალურსა თუ პოპულარულ ლიტერატურაში დეპორტირებულითა რაოდენობა მერყეობს 69869-დან /52.39/ 125000-მდე /57.12; 62.71/.

განსხვავებული მონაცემები გვხვდება ქართულ (ვ. ჯაოშვილი, მ. ნათმელაძე, ვ. ლორთქიფანიძე) და უცხოურ (ნ. ბუგაი, ა. იუნუ-სოვი და სხვ.) სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ვ. ლორთქიფანიძე 1939 წლის აღწერის საფუძველზე (აღწერის თანახმად სამცხე-ჯავახეთში ამ დროისათვის 88 ათასამდე აზერბაიჯანელი//თურქი და 4 ათასამდე ქურთი ცხოვრობდა) ვარაუდობს, რომ დაახლოებით 85 ათასი კაცი გაასახლეს /39.91/. მ. ნათმელაძე ამტკიცებს, რომ სულ 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან გაასახლეს 69869 კაცი, იგი ეყრდნობა 1950-იანი წლების წყაროს, სადაც მოცემულია გასახლებული ოჯახების რაოდენობა /50.38-39/. ამ მოსაზრებას იზიარებს უ. ბლუაშვილიც /180.33/. გ. მამულიას თვალსაზრისით 1944 წ. საქართველოდან 110 ათასი ადამიანი გადაასახლეს (90 ათასი საქართველოდან წაიყვანეს, 20 ათასი კი იმ დროს ფრონტზე იმყოფებოდა) /46.157/. სამეცნიერო ლიტერატურაში დაუზუსტებელია მესხეთის მუსულმანთაგან ომში გაწვეულთა რაოდენობაც, რომელიც 20 ათასიდან 40 ათასამდე მერყეობს /63.83/.

გასახლებულთა საერთო რაოდენობა ნ. ბუგაის ნაშრომშიც გვხვდება. კუზნეცოვისა და ჩერნიშევის პატაკის თანახმად დეპორტირებული იყო – 92307 ადამიანი, აქედან მამაკაცი – 18923, ქალი – 27399, 16 წლამდე ასაკის ბავშვი – 45985 /44.18/.

რუსეთის ისტორიულ არქივში დაცულ ერთ დოკუმენტში 1945 წ. I კვარტლისათვის გასახლების ადგილებში, სულ აღწერილი იყო საქართველოდან გასახლებული 90512 ადამიანი, 19991 ოჯახი. აქედან 17655 კაცი, 25914 ქალი და 16 წლამდე ასაკის 46993 ბავშვი /64.37/.

ომში გაწვეულთა რაოდენობის შესახებ საარქივო მასალის მოძიება ვერ შევძელით, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოთ მოტანილი ციფრები გადაჭარბებულია. ზრდასრული მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა მშვიდობიან პერიოდში თითქმის თანაბარია. გასახლებულ ქალებსა და მამაკაცებს შორის სხვაობა კი 8 ათასამ-



დეა, ამდენად ომში გაწვეული კაცების რაოდენობა 8-10 ათასზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს ამაგრებს ისიც, რომ საქართველოდან ომში გაიწვიეს მოსახლეობის დაახლოებით 19-20%.

სულ სამხრეთ საქართველოდან 1944 წლის ნოემბერში გადასახლეს 92 ათასამდე ადამიანი, რომელთაც მოგვიანებით შეუერთდნენ არმიიდან დემობილიზებული ოჯახის წევრები. დეპორტირებულთა საერთო რაოდენობა კი დაახლოებით 100-105 ათას ადამიანს არ აღემატებოდა.

გადასახლების დრამატული სურათი დღემდე ახსოვთ ადამიანებს, რომელთაც სრულიად მოულოდნელად მოუხდათ მშობლიური კერის მიტოვება /65.23-38; 66.128-134/. ქვემოთ მომაქვს ერთი რესპონდენტის მონათხრობი. — «გადასახლების წინა დღეს, 14 ნოემბერს ჩვენს სოფელში (სოფ აბასთუმანში), საღამოთი ფილმი გვიჩვენეს, ომზე იყო. დედა (მთხრობელი ბებიასთან ცხოვრობდა, რადგან დედა მეორედ იყო გათხოვილი) კინოში წავიდა და მეც წამიყვანა. ხეზე ჩამოკიდეს პლაკატი (ეკრანი) და გაუშვეს ფილმი. მახსოვს, რომ ეკრანზე ჯარისკაცები დარბოდნენ. ალბათ დოკუმენტური კინო იყო, ომზე. მე, როგორც ჩანს, დედის მუხლებზე დაემძინა და სახლში მან მიმიყვანა, მძინარე. კარზე კაკუნმა გამომაღვიძა. ბებია ადგა, ის უკვე 75-80 წლის იყო. გაალო კარი. უეცრად სამხედრო ფორმიანი ჯარისკაცები დავინახეთ და მანქანების გუგუნის ხმა შემოიჭრა. ჩვენ, ეს მანქანები დღისითაც ვნახეთ, კურორტ აბასთუმანის მხარეს — პალატიანი სამხედრო მანქანები, სტუდენტეკერები იყვნენ. ეს რომ ამერიკული სტუდენტეკერი იყო მოგვიანებით, არმიაში სამსახურისას გავიგე. სოფლებში, სადაც მანქანებს შესვლა შეეძლოთ მანქანებით შევიდნენ, სადაც მანქანების შესვლა შეუძლებელი იყო ხარებით და ცხენებით. და, აი ამ კომმარში გამომელვიძა. დავინტერესდი რა ხდებოდა და დედასთან გავიქეცი. აღმოჩნდა, რომ თითოეულ ოჯახზე მიამაგრეს მანქანა. დედასაც გამოუყვეს, ჩვენ კი არა. ამ ჯარისკაცებმა ჩვენ გაგვალევიძეს, გვითხრეს გასამგზავრებლად გაემზადებულიყავით, თვითონ კი წავიდნენ. მე დედას ვუთხარი, რომ ჩვენზე მანქანა არ იყო მომარებული. იგი უფროსთან წავიდა და ჩვენთვისაც გამოაყოფინა მანქანა. დედამ იცოდა, რისი წაღება სჯობდა, ლოგინები შევკრიბეთ, მანქანაზე მოვთავსდით და დავიძარი. მაშინ არ ვიცოდი საით, ახლა კი ვხვდები — ახალციხისა-

კენ. ადამიანებს მანქანებზე სვამდნენ და იქ ყოველი მხრიდან მიჰყავდათ. ბებიჩემი რელიგიურად განათლებული ქალი იყო, ჯარისკაცებს სთხოვა მანქანიდან, იქ, ზანდუკში წიგნები მაქვს და თუ შეიძლება მომაწოდეთო. ერთმა მეზობლის კაცმა მოუტანა ეს ყუთი, მაგრამ ჯარისკაცმა დაინახა და ისეთი დაარტყა წიხლი იმ ყუთს, რომ წიგნები მიწაზე გაიფანტა. ბებია მსოფლიო მხოლოდ ყურანი მომეცითო. ამ კაცმა (ჩვენი მეზობელი ქრისტიანი იყო) ყურანი მიაწოდა და ბებია მხოლოდ ეს ერთი წიგნი წამოიღო.

ადამიანებმა ნივთების წამოღება ვერ შეძლეს, რადგან ოჯახებში მამაკაცები არ იყვნენ, ყველა ომში იყო, დედაჩემის ქმარიც. იმ ოჯახებმა, ვისაც 15-16 წლის ბიჭები ჰყავდა, კიდევ შესძლეს რაღაც ნივთების წამოღება, ჩვენ კი ვერაფერი წავიდეთ. ძროხები დარჩნენ დაბმული, ჭირნახული დარჩა ამბარებში. ის წელი მესხეთში ძალიან მოსაყვანი იყო. მახსოვს, ბებია 5 ასკილოიანი ტომარა (თხის ბეწვისაგან შეკერილი ტომრები იყო) ლობიო დატოვა, ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ აწყვიდა ისინი ამბართან.

ზორბალი ბევრი არ იყო, გვექონდა უფრო სიმინდი, ხილიც იყო, ყველაფერი იქ დარჩა, კარაქი და ყველაფერი, რაც ბებიას ზამთრისათვის ჰქონდა გადანახული. ძროხები მიბმული დარჩნენ. არავინ იცოდა რა დაგვემართებოდა. მანქანები დაიძრენ და მე ავტირდი. ვერაინ გაიგო რა მატირებდა. სხვა ბავშვებიც ტიროდნენ. ძლივს დაგვაწყნარეს. დაგვსვეს მატარებელზე და გაგვიშვეს. საქართველოს ვიდრე გავცდებოდით კიდევ შედარებით სითბო იყო. მახჩკალის შემდეგ აცივდა. ურალს რომ მიუახლოვდით, ასტარახანს, იქ უკვე ყინვაა. ზოგიერთი იყინებოდა და კედებოდა. ზოგს შიმშილი კლავდა, თუმცა, მართალია, გზაზე მცირეოდენ ცხელ საჭმელს გვაძლევდნენ. ზოგი მატარებლიდან ჩამოდიოდა, ხალხმა არ იცოდა რა იყო მატარებელი, ტუალეტში გადიოდნენ და გზაზე რჩებოდნენ. ტირილი, გნასი, ენით აუწერელი კომპარი იყო. ყველაფერს ვერ იტყვი. მთელი თვე გზაზე ვიყავით. მივედით ტაშკენტამდე და ტაშკენტიდან დაიწყო ეშელონზე ვაგონების ჩამოხსნა. გაუშვეს ზოგი სამარყანდის, ზოგი ფერღანის, ზოგი ალმა-ათის (ჯამბულის) მიმართულეებით. თითოეულ სადგურზე 2-3 ვაგონს ხსნიდნენ. ძალიან მძიმე რეჟიმი იყო. არავის შეეძლო განძრეულიყო, იარაღიანი სამხედროები დარაჯობნენ. როგორც კი მატარებლიდან ჩამოგვიყვანეს, შეგვყარეს

აბანოში, დაეიბანეთ და შემდეგ დაგვანაწილეს "ბრიჩკებით" კოლმეურნეობებზე. თითოეულ კოლმეურნეობას განაწილებული ჰქონდა ხალხი – შენ წაიყვან ამდენს, შენ ამდენსო.

პირველ ხანებში რაღაც კლუბში შეგვყარეს, შემდეგ აქედან დაგვანაწილეს, როდესაც უზბეკეთის სოფლები ენახეთ კიდევ უფრო შეეშინდით. ადგილობრივ ხალხს უჭირდა. იქ, ბაბბა იზრდებოდა, რომელსაც ვერ შეჭამ და მხოლოდ ტანსაცმლისათვის თუ გამოიყენება. თანაც ბაბბაზე სახელმწიფო მონოპოლია იყო. მშვიერი ადამიანები ჭამდნენ ყველაფერს რასაც პოულობდნენ» /129/

საინტერესოა, როგორ დანაწილდნენ ეთნიკური ჯგუფები ჩასახლების ადგილებში. საარქივო მასალებში თარაქამა (ყარაფაფახი) და დეპორტირებულთა ძირითადი კონტინგენტი დიფერენცირებული არ არის. რაც შეეხება სხვა ჯგუფებს, უზბეკეთში აღმოჩნდა რამდენიმე ასეული ქურთი, ხოლო დანარჩენი ქურთებისა და ხეშმინების აბსოლუტური უმრავლესობა ყირგიზეთში ჩაასახლეს /67.142/.

ჩასახლების ადგილებში წინასწარ ამზადებდნენ, სადგურებს დეპორტირებულთა მისაღებად, ასევე ბინებსა და რამდენიმე დღის საკვებს /56.1/.

დეპორტირებულ მოსახლეობას შუა აზიის ბუნებრივ გეოგრაფიულ და სამეურნეო გარემოში აკლიმატიზაცია ძალიან გაუჭირდა. გზას გადარჩენილი გადასახლებულები კი სრულიად განსხვავებულ კლიმატურ ზონაში ადაპტაციის პროცესს ველარ უძლებდნენ და იხოცებოდნენ. ხ. გოზალიშვილი იმოწმებს სსრკ შინსახკომის ცნობას, რომ მუსლიმ მესხთა, ქურთთა და ხეშმინთა შორის დალუპულთა რიცხვმა 14 895 ადამიანი შეადგინა. ლ ბარათაშვილსა და კ. ბარათაშვილის მონაცემებით კი გადასახლებულთა ერთი მესამედი მათ შორის 17 000 -ზე მეტი ბავშვი დაიღუპა /63.83/, ეს მონაცემები გაზვიადებული ჩანს, მაგრამ ასახავს იმ ადამიანების თვალით დანახულ გადასახლების სურათს, რომელთაც საკუთარ თავზე იწვნიეს ეს ყოველივე.

არქივში დაცული ცალკეული დოკუმენტების მიხედვით 40-იანი წლების ბოლოსათვის დეპორტირებულები მთლიანად იყვნენ უზრუნველყოფილნი საცხოვრებლითა და შემოსავლით, მაგრამ ირკვევა, რომ ადაპტირება ძალიან რთული იყო. 1949 წლისათვის ყაზახეთის ჩრდ. ოლქებში პროდუქტების უკმარისობას განიცდიდნენ,

ამის გამო, 1029 ადამიანი დისტროფიით იყო დაავადებული. ამ ოლქებისათვის 100000 ტ. ხორბალი იყო გამოყოფილი, მაგრამ რადგანაც კოლმეურნეობებში მომუშავეთა შორის შრომადღეზე ძალიან ცოტა ფული განაწილდა, მათ ვერ შეძლეს გამოყოფილი ხორბლის ყიდვა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობებში ძალზე უგვიანებდნენ ხელფასებს და გასახლებულებს არ შეეძლოთ პროდუქტის შექენა /78.40/.

ერთი რეპატრირებული მოხუცი ასე იხსენებს შუა აზიაში მათი ხალხის ჩაყვანის ისტორიას: “ამ პერიოდში (1945-დან 1947 წლამდე – ლ.ჯ.) მრავალი ადამიანი დაიღუპა. ძალიან ბევრი კლიმატმა შეიწირა. შეადარე, ჩვენი მესხეთის ჰავა და შუა აზია. გაზაფხული ადრე მოვიდა და მალე ასიცხდა. საღდა იყო მესხეთის ცივი წყლები, იქ წყალი ფაქტიურად სულ არაა. მხოლოდ არხში მიედინება, ამღვრეული წყალი, როგორც აქ წვიმიან ამინდში მოდის ხოლმე მდინარეში. უნდა ვთქვა, რომ პირველ ორ წელს მძიმე რეჟიმი არ იყო, მხოლოდ შემდეგ გამკაცრდა. უმეტესობა ბავშვები და მოხუცები ვიყავით. ამ დროს გარდაიცვალა ჩემი უმცროსი და, შიმშილით მოკვდა იგი (ტირის). დაიხოცნენ ნათესაეები. მამაჩემის ბიძა – მან დაინახა, წყალი წმინდა იყო და კოლექტორის წყალი დალია. კოლექტორი კი გათხრილია იმისათვის, რომ მიწა მარილისაგან გარეცხოს და ეს წყალი მასში მიედინება. როდესაც წყალი დალია, მუცელი გაუსივდა, კინალამ გასკდა. ექიმიც არსად იყო. ადამიანი ერთი დღის მერე მოკვდა. ტანჯვით დალია სული. ამრიგად, 1-2 წელიწადში ძალიან ბევრი დაიხოცა. მამაკაცები არ გვყავდა, რომ გარდაცვლილებისათვის ეპატრონათ (ოშში იბრძოდნენ). მიცვალებულს ქალები მარხავდნენ. ჩვენთან კი, მუსლიმანებთან, მიუღებელია ქალმა დაკრძალოს მიცვალებული. მაგრამ როცა შესაძლებლობა არაა, რას იზამ. ერთი ქალი იყო – ჩემი ნათესავი – იგი კითხულობდა ლოცვას და მარხავდნენ. არა ისლამის კანონით, მაგრამ რა გვექნა. ასე მიდიოდა ცხოვრება. ადგილობრივი ხალხიც არ გვეკარებოდა. დააშინეს, ჩვენზე უთხეს კაციჭამიები არიანო» (სტილი დაცულია – ლ.ჯ.)

1945 წლის დასაწყისისათვის ყაზახეთში ცხოვრობდა საქართველოდან გადასახლებული 27859 ადამიანი, ყირგიზეთში – 9712, უზბეკეთში – 52991 /66.48/. აღსანიშნავია, რომ გადასახლებულთა შრო-

მისუნარიანი ნაწილის აბსოლუტური უმრავლესობა, 99,2%, უკვე დასაქმებული იყო, რაც სხვა რეგიონებიდან დეპორტირებულთა საერთო მასაში დასაქმების ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელი იყო (64.48).

დეპორტირებულთა შუა აზიაში გადანაწილების თაობაზეც განსხვავებული მონაცემები არსებობს. მაგალითად ხ. უმაროვ-გოზალიშვილის ნაშრომში, "შინსახკომის" სპეცგადასახლებათა განყოფილების მიერ გაცემულ ცნობაზე დაყრდნობით, ნათქვამია, რომ ოპერაციის უშუალო მიმდინარეობისას საქართველოდან გადასახლებულნი ასე გადანაწილდნენ: უზბეკეთის სსრ-ში – 55500 ადამიანი, ყაზახეთში – 29500, ყირგიზეთში კი 11000. ამ სამივე რესპუბლიკაში კი მთლიანად 96000 ადამიანი იქნა გადანაწილებული /63.82/.

1949 წ. ჩატარდა დეპორტირებულთა ანკეტირება, საქართველოდან დეპორტირებულთა რაოდენობა უზბეკეთში 1949 წლამდე შეადგენდა 42272 (აქედან ზრდასრული 23100, 16 წლამდე 19172), ხსენებული ანკეტირების შედეგად კი დაფიქსირდა 41760 ადამიანი. საბჭოთა ჩინოვნიკები ამ კონტინგენტის შემცირებას შემდეგი გარემოებებით ხსნიან: 1. 1948 წ. გარდაცვლილთა ნაწილის აღრიცხვიდან მოხსნა დაიგვიანეს 2. ამ კონტინგენტზე შეცდომით იყვნენ მიწერილი სხვა დეპორტირებულები (ჩრდ. კავკასიიდან და ყირიმიდან), 3. გაიზარდა გაქცეულთა ოდენობა /68.30/; ყირგიზეთში 1949 წლის ანკეტირებისას დაფიქსირდა 9090 ადამიანი, აქედან 4175 ბავშვი /68.59/.

პირველ ხანებში, სპეცჩასახლებულებს გარკვეულ დახმარებას უწევდნენ. მაგ. 1946 წლისათვის "სოვნარკომის" დადგენილებით ყირიმიდან, საქართველოდან და ჩრდ. კავკასიიდან გადასახლებულთათვის გამოიყო: ყაზახეთში – 2880 ტ. ფქვილი და 720 ტ. ბურღული; უზბეკეთში – 900 ტ. ფქვილი და 225 ტ. ბურღული; ყირგიზეთში – 720 ტ. ფქვილი და 180 ტ. ბურღული /69.4/. ასევე – პირადი მოხმარების ნივთები, ტყავის ფეხსაცმელი: ყაზახეთში – 180000, უზბეკეთში – 60000, ყირგიზეთში – 50000, ბავშვის ტანსაცმელი ყაზახეთში გადასახლებულთათვის: 50000, უზბეკეთში – 30000, ყირგიზეთში – 20000; ქსოვილები: ყაზახეთში – 1000000 მ., უზბეკეთში – 300000 მ., ყირგიზეთში – 250 მ /69.5/. გამოყოფილი იყო საშენი მასალები, ბენზინი (საშენი მასალების გადასაზიდად) და ა.შ. /69.7/.

სახელმწიფო ორგანოები "სპეცგადსახლებულებს", მუდმივად უთვალთვლებდნენ, რათა საფუძველშივე აღმოეფხვრათ რაიმე უკმაყოფილება. ინფორმაციის მოპოვების ოფიციალური მეთოდების გარდა ფართოდ იყენებდნენ საიდუმლო არხებს. საარქივო მონაცემების თანახმად საბჭოთა ხელისუფლებასთან და უშიშროების ორგანოებთან დეპორტირებულთა გარკვეული ნაწილი თანამშრომლობდა. უზბეკეთში გასახლებულთა შორის აგენტად ირიცხებოდა 149 ადამიანი, რეზიდენტად – 269, ცნობების მიმწოდებლად (Осведомитель) – 3659 /70.25/.

სამცხე-ჯავახეთიდან მუსლიმანთა დეპორტაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს სხვა რაიონებიდან (ძირითადად იმერეთიდან და ბორჯომის ხეობიდან) ჩამოსახლა ხალხი. ჩამოსახლებულები ძირითადად დეპორტირებულთა ნასახლარებზე დამკვიდრდნენ. საცხოვრებლის ტიპი, რომელიც მათ დახვდათ, სავსებით შეესაბამებოდა ადგილობრივ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოსა და ყოფილი მოსახლეობის მოთხოვნილებებს, მაგრამ რადიკალურად განსხვავდებოდა ახალმოსულთა ყოფილ ადგილებში არსებული პირობებისაგან. ამის გამო, ჩამოსახლებულთა ერთ ნაწილს, ძირითადად ბორჯომის ხეობიდან მოსულს, თავიანთი საცხოვრებელი ხის ნაგებობები თან ჩამოუტანია, ხოლო დანარჩენები იძულებული გახდნენ ადგილობრივი მიწურების ნაცვლად ახალი სახლების აგება დაეწყოთ.

ჩამოსახლებულებს ძალზე გაუჭირდათ ადგილობრივ სამეურნეო პირობებთან შეგუება. ყოფილ საცხოვრებელ ადგილებში ისინი მევენახეობასა და ურწყავ მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მესხეთში კი იძულებული გახდნენ შეეცვალათ მეურნეობის დარგი და აეთვისებინათ ახალი ტექნიკური ხერხები. ისე ცუდ მოსავალს ღებულობდნენ, რომ ბევრი უკან დაბრუნდა. ახალ ადგილებში მევენახეობის განვითარებისათვის არახელსაყრელმა პირობებმა აიძულა ისინი მებოსტნეობა-მებაღეობისათვის მოექიდათ ხელი. ტრადიციული მეურნეობის ნაწილობრივი შეცვლა მოუხდათ ბორჯომის ხეობიდან ჩამოსულებსაც, რომლებიც ადრე ხე-ტყის დამზადებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. ტყეების სიმწირის გამო ისინი იძულებული გახდნენ ხე-ტყის დამზადებაზე უარი ეთქვათ /152.23/.

ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც იმ ხანებში სამცხეში იმოგზაურა, ყურადღება გაამახვილა დასავლეთ საქართველოდან გადმოსული

მოსახლეობისათვის გართულებული ადაპტაციის პრობლემაზე. “(აწყურის ციხესთან) ვიღაც ახალ მოსახლეს დაუდვია ბინა. ახალგაზრდა იმერელი ზრდილობიანად მოგვესალმა. მძიმე სანახავია ეს ახალი ეზო. ბალახი და ბოსტნეული სულ გადამხმარია, ხეხილიც კი ისე შეუწუხებია უწყლობას, რომ დღეს თუ ხვალ სულ ერთიანად დაილუქება. აქვე ჩანს, რომ მის წინა მოადგილეს აყვავებულ ტერასებად (ოროკა) ჰქონია გაშენებული ეს ეზო... მივუთითე, შევეკითხე, გავიკვირე, შევარცხვინე... იღიმება, — ამისათვის ვისა სცხელა, სიმინდისათვის ვერ მოგვიცლიათ, თანაც არაინ ზრუნავს წყლის გამოსაყვანადო.. უნდა აღინიშნოს: სამცხის ძველი ქართული კულტურული მეურნეობა საფრთხეშია.. უეჭველია ეს ახლად ჩამოსული მოსახლეობა ოდესმე აღადგენს ამ მეურნეობას, მაგრამ მძიმე მარცხისა და მწარე გამოცდილების გზით. აქი XIX საუკუნის იმერელმა მოახალშენებმა აღადგინეს მესხური მეურნეობა დვირში, ქვაბისხევში და სხვაგან” /151.256/.

უფრო ადვილად შეეგუენ ახალ გარემოს ის ჯგუფები, რომლებიც წარმომავლობას საქართველოს მთას უკავშირებენ, რადგან სამცხეში საკმაოდ კარგი პირობები არსებობდა მათთვის ტრადიციული მესაქონლეობის განვითარებისათვის. დეპორტაციის შემდეგ განთავისუფლდა ალპური საძოვრების “იაილების”. მნიშვნელოვანი ნაწილი, საძოვრების ფონდს შეემატა ასევე ნასოფლარები. იმერლებისათვის უცხო იყო ადგილობრივი მესაქონლეობის მთა-ბარული ე.წ. “ქოჩად მავლობის”. წესი, ამიტომ ისინი საძოვრების ათვისებაში კონკურენციას არ უწევდნენ, არც აღმ. საქართველოს მთიდან გამოსულ მიგრანტებს და არც აჭარლებს, რომლებმაც ნელ-ნელა დაიწყეს ადიგენის მხარის საძოვრების, ათვისება და ხულოს რაიონიდან ჩამოსახლება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები სამცხის რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ (ხეოთი, ფერსა და ა.შ.). ხეოთში გასული საუკუნის შუა ხანებში ჩამოსახლებული მთიელები დღემდე ინარჩუნებენ კავშირებს წინაპრების სალოცავებთან. ასეთივე მდგომარეობაა სოფ. ფერსაში. აქ კასპის რაიონიდან გადმოსული მთიულების ზოგიერთი გვარი, მაგ. ჩოხელები და აფციაურები, რომლებიც წარმოშობით გულამაყრიდან არიან, ამჟამადც დადინ თაეიანთ საგვარეულო სალოცავში ჩოხსა და დუმატხომი. სხვა გვარებმა სალოცავი

ახალ ადგილას გაიკეთეს. სალოცავი ნიშის გაკეთების ასეთი წესი არსებობს – ძველი სალოცავიდან წამოიღებენ ქვას, შეასახელებენ კურატს, როდესაც კურატი სამი ან ხუთი წლის გახდება, გაუშვებენ და სადაც გაჩერდება იქ დაკლავენ, იქვე გააკეთებენ ახალ სალოცავ ნიშს და დადებენ ძველი ნიშიდან წამოღებულ ქვას. ეს ქვა გვარის ფიზიკური და სულიერი მემკვიდრეობის ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენს /126.28/.

ახალ ადგილას სალოცავის მოწყობა და ადგილობრივი სულიერი კულტურის ძეგლების გათავისება ადაპტაციის უკვე ბოლო საფეხურია. ნიშანდობლივია, რომ სამცხეში ჩასახლებული აჭარლები (მუსულმანები), სინანულს გამოთქამენ მათ სოფლებში შემონახული ქრისტიანული ძეგლების სავალალო მდგომარეობის გამო, უკმაყოფილონი არიან, რომ მთავრობა ყურადღებას არ იჩენს ამ ძეგლების მიმართ, სურთ უფრო მეტი რამ გაიგონ და მზად არიან მონაწილეობა მიიღონ რესტავრაციაში /153/.

ამრიგად, დეპორტაციის შემდეგ სამცხე-ჯავახეთის მეურნეობამ გარკვეული კულტურულ-სამეურნეო ტრანსფორმაცია განიცადა, რაც ცალკეული დარგების, მაგ. მესაქონლეობის (განსაკუთრებით მეცხვარეობის) და მებაღეობის ხვედრითი წილის შემცირებაში გამოიხატა.

1956 წლამდე დეპორტირებულებს ჩამორთმეული ჰქონდათ გადაადგილების უფლება, ისინი საკომენდანტო ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდნენ შუა აზიის რესპუბლიკებში. ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო ე.წ. "დათბობის პერიოდი". პიროვნების კულტის გამოცხადებისა და სტალინის მიერ დაშვებული შეცდომების აღიარების მერე დაიწყო ეთნიკური დეპორტაციების საკითხის გადახედვაც. 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით მესხეთიდან დეპორტირებულებს მოეხსნათ სპეცგადასახლებულთა სტატუსი, მიეცათ თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. ეს ბრძანებულება არ ითვალისწინებდა დეპორტირებულთათვის გადასახლების დროს ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. აღნიშნული იყო ისიც, რომ მათ ეკრძალებოდათ დაბრუნებულიყვნენ პირვანდელ საცხოვრებელ ადგილებში /71/. ეს აკრძალვა 1974 წელს მოიხსნა /72/. გადასახლებულთა შორის მოძრაობა სამშობლოში დაბრუნებისათვის 1956 წლიდან დაიწყო (საკომენდანტო ზედამხედველობის პირობებში ეს შეუძლებელი



იყო). სამშობლოში დაბრუნებისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ ლატიფშაჰ ბარათაშვილი და მეკლუდ ბაიარახტაროვი /73.91-100/.

გადმოსახლებისათვის ბრძოლის პირველ ეტაპად შეიძლება განვიხილოთ 1956-57 წწ. დეპორტირებულთა ლიდერებმა იგრბნეს, რომ მათი ხალხის საქართველოში დაბრუნებას ხელს უშლიდა საბჭოთა ხელისუფლება, მათ გადაწყვიტეს მიეღოთ აზერბაიჯანის ხელისუფლების შემოთავაზება და გადასახლებულიყვნენ აზერბაიჯანის სსრ-ში. 1958 წ. დეპორტირებულთა ერთი ნაწილი აზერბაიჯანში, ძირითადად მულანის ველზე, საათლისა და საბირაბადის რეგიონებში ჩასახლდა.

უკვე იმ ხანებში დაიწყო განხეთქილება დეპორტირებულთა ლიდერებს შორის, მათი ერთი ნაწილი ლ. ბარათაშვილი, აზერბაიჯანში გადასახლებას დროებით მოვლენად მიიჩნევდა და იმედოვნებდა, რომ იქედან უფრო ადვილად შეძლებდნენ მესხეთში დაბრუნებას. მ. ბაიარახტაროვი პირიქით, თვლიდა, რომ აზერბაიჯანში გადასახლებით მათი მიზანი მიღწეული იყო და, როგორც საბჭოთა ფუნქციონერი, სათავეში ჩაუდგა მულანის ველის ათვისებას /73.103/.

1962 წ. თბილისში სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა რამდენიმე მოღვაწემ დაარსა ე.წ. "დროებითი კომიტეტი", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლატიფშაჰ ბარათაშვილი. მის მოადგილეებად ამიერკავკასიაში ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, ხოლო შუა აზიაში ენვერ ოღობაშევ-ხოზრევანიძე აირჩიეს /63.102/. ამ ადამიანებმა დაიწყეს აქტიური საქმიანობა, ისინი დადიოდნენ მოსკოვისა და თბილისის პარტიულ წრეებში, ცდილობდნენ მიეღწიათ თავიანთი ხალხის სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებისათვის.

1980-იან წლებამდე მესხეთიდან გასახლებულთა 200-ზე მეტი დელეგაცია იმყოფებოდა მოსკოვისა და თბილისის უმაღლეს ორგანოებში რეპატრიაციის მოთხოვნით, მაგრამ თანხმობას ვერ მიღწიეს. დაბრუნებას ხელს უშლიდა, როგორც ოფიციალური ხელისუფლება, ასევე ცალკეული ჩინოვნიკებიც. "სანამ ცოცხალი ვარ, თქვენი საქართველოში დაბრუნება არ მოხდება" – განუცხადა გენ. ინაურმა დეპორტირებულთა ლიდერებს /63.112/.

დაბრუნების მოძრაობას თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები (გ. ჩიტაია, ვ. ჯაფარიძე, შ. ლომსაძე, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, ლ. გუდიაშვილი და სხვები) /65.105/. 60-იან წლებში მესხებმა რამდენჯერმე სცადეს

საქართველოს მთავრობის ყურადღება მიეპყროთ და დაბრუნების უფლებისათვის მიეღწიათ, მაგრამ ამაოდ /63.108/.

აღსანიშნავია რომ, უშიშროების ორგანოები კარგად იყენებდნენ გადმობირებულ ადამიანებს. ხ. გოზალიშვილი იხსენებს, რომ 1968 წ. 25 ივნისს, თბილისში მათ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართეს, მაგრამ შენობაში არ შეუშვეს. ჩამოსულ მესხთა შორის იყვნენ ფანატიკურად განწყობილი მუსლიმი მესხები, პანისლამური პროპაგანდის მიერ დამუშავებული ელემენტები, რომლებიც ხალხში დემაგოგიური საუბრების ტალღას აზვირთებდნენ და პროვოკაციულ ლოზუნგებს ისროდნენ /63.111/.

პარალელურად მიმდინარეობდა დეპორტირებულთა სტიქიური შემოდინება საქართველოში, მაგრამ ხელისუფლების ორგანოები ფხიზლად იყვნენ და მათ უკანვე აბრუნებდნენ /63.102,109,113-116/. აზერბაიჯანში დაბრუნებულ მესხებს უკვე იქაური ხელისუფლებაც უნდოდ უყურებდა და მათი ერთი ნაწილი იძულებული გახდა ჩრდილო კავკასიაში, ყაბარდო-ბალყარეთში გასახლებულიყო. ასე შეიქმნა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე პირველი მესხთა დასახლება.

მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ბუნდოვანი იყო ამ კონტინგენტის ეთნიკური ორიენტაცია. დეპორტირებულთა ლიდერები გრძნობდნენ თუ რა როლს ანიჭებდნენ საქართველოში მათ მიერ ქართული წარმომავლობის აღიარებასა და ქართული გვარების დაბრუნებას, ამის გამო დაიწყეს თავიანთი წარმომავლობის შესწავლა და ქართული ისტორიული ძირების მოძიება /66; 73; 75; 76; 77; 46; 57; 63/. ამ მიმართულებას დაუპირისპირდნენ თურქული ორიენტაციის ჯგუფები. როგორც ჩანს, ამ მიმდინარეობის ჩამოყალიბება-გაძლიერებაშიც ერია საბჭოთა უშიშროების ხელი. პროთურქულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ადრე ქართულ ორიენტაციაზე მდგომი ენვერ ოდობაშეე-ხოზრეანიძე. 1964 წლიდან მან "აღიარა", რომ თურქი იყო და საქართველოში დეპორტირებულები უნდა დაბრუნებულიყვნენ, როგორც ეთნიკური თურქები. განსაკუთრებით გააქტიურდა ოდობაშეევი საპყრობილეში მოხვედრისა და იქიდან გამოსვლის შემდეგ /63.116-119/.

ეროვნული კუთვნილების საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით დეპორტირებულებმა 1988 წ. მოიწვიეს ყრილობა ყაბარდო-ბალყარეთში (ფსკოდში), სადაც ორიენტაციის საკითხი ცხარე დავის საგნად იქცა. ზოგიერთი ცნობის თანახმად დელეგატთა უმრავლესო-

ბამ განაცხადა, რომ ისინი თურქები არიან და საქართველოში უნდა დაბრუნდნენ როგორც თურქული ეთნიკური ჯგუფი /78/. ამ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პოლარულად განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან საქართველოდან იქ მყოფი დელეგატები. მათი გადმოცემით, პირიქით, წარმატებას მიაღწია ქართულმა ორიენტაციამ, მაგრამ იუსუფ სარვაროვმა (პროთურქული ფრთის წარმომადგენელმა) შეძლო მიეღწია, რომ შემაჯამებელი დოკუმენტი მისთვის გადაეცათ და საერთაშორისო საზოგადოებას იგი წარუდგინა გაყალბებული სახით /79/.

პროქართული მიმართულების დაჯგუფებათა ერთგვარ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს გასული საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ცალკეულ სოფლებში (ძირითადად საბჭოთა მეურნეობებში) განხორციელებული რეპატრიაცია. რეპატრიანტთა საქართველოში დაფუძნების ისტორია სწორედ ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მიერ 1977 წ. მუშახელის მოთხოვნას უკავშირდება რეპატრიანტები თავდაპირველად ე.წ. პირველ რაიონში ჩაასახლეს, დაიწყო მათთვის კერძო სახლების მშენებლობა. მშენებლობისათვის ადგილი "მესხების" ლიდერებს სოფლის განაპირას, განკერძოებით შეურჩევიათ.

80-იან წლების ბოლომდე დაახლოებით 1300-მდე დეპორტირებულმა მაჰმადიანმა ისარგებლა 1979 წ. გამოსული საქ. ცკ. კპ-ს დადგენილებით. მართალია, ამ რეპატრიანტთა ერთმა ნაწილმა 1989-91 წწ. განვითარებული მოვლენების გამო კვლავ დატოვა საქართველო, მაგრამ რამდენიმე სოფელში (იანეთი, ნასაკირალი, ნარუჯა...) ე.წ. მესხური კომპაქტური დასახლებები, "კუნძულები," დარჩა, ხოლო 1992 წლიდან რეპატრიაციის პროცესი გარკვეული ინტენსიურობით ისევ გაგრძელდა /80.48/.

ეთნოკონფენსიური შემადგენლობის თვალსაზრისით სოფელი ნასაკირალი და იანეთი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ნასაკირალი ამ თვალსაზრისით ჭრელი დასახლებაა, აქ ცხოვრობენ: მუსულმანები (რეპატრიანტები, აჭარლები), ქრისტიანები (ქართველები, რუსები, სომხები). რიცხობრივად ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს მუსულმანნი (სუნიტური ისლამის მიმდევარი) ქართველები – აჭარლები, წარმოადგენენ. მესხების უბანი „კუნძული“ მიუხედავად იმისა, რომ ცალკე უბანია, სოფელთან უშუალოდაა მიბმული. იანეთის მე-9 უბანი სოფლის ცენტრიდან დაახლოებით 5-6 კმ-ის მოშორებით მდებარეობს და

დასახლებულია მხოლოდ მუსულმანი მესხებით, თუ არ ჩავთვლით 1944 წელს ახალციხის რაიონიდან დეპორტირებული ქართი კუქშიანის ოჯახს, რომელიც ამჟამად მამედოვად იწერება და იანეთში 1996 წელს ჩამოვიდა რუსეთიდან.

სოფ. ნასაკირალში მცხოვრები რეპატრიანტების ძირითადი ნაწილი განსახლებულია “მესხეთის ქუჩაზე” (ე.წ. კუნძულზე), გზის ორივე მხარეს”, 7 ოჯახი კი ე.წ. პირველ რაიონში, ან როგორც თავად ეძახიან “ბირინჯი (თურქ. - პირველი) რაიონში”. ტრადიციული ქართული ყოფისგან აშკარა სოციოკულტურული განსხვავების მიუხედავად მათი აბსოლუტური უმრავლესობა თავს ეთნიკურ ქართველად აღიარებს და თურქად მოხსენიება არაკორექტულად მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ მესხებმა ნასაკირალში ქართული გვარებიც აღიდგინეს. თავისი ქართული გვარები იანეთში რეპატრირებულთა უმეტესობასაც ახსოვს, მაგრამ ყველამ ვერ მოახერხა მათი ოფიციალურად აღდგენა. ეს მხოლოდ რამდენიმემ შესძლო. ქართული გვარები უმთავრესად ახალგაზრდა თაობას აქვს, ე.ი. ვინც უკვე საქართველოშია დაბადებული. არიან ოჯახები, სადაც უფროსი თაობა არაქართულ გვარს ატარებს, უმცროსი კი ქართულს.

როგორც ნასაკირალში, ისე იანეთში სახელმწიფომ სპეციალურად დეპორტირებული მესხებისათვის ეტაპობრივად ააშენა კაპიტალური საცხოვრებელი სახლები. იანეთში ეს სახლები მე-9 უბანში ააგეს. სახლების დასრულებამდე მესხები, დიდ ჯიხაიში, საერთო საცხოვრებელში იყვნენ მოთავსებული, ისე რომ, სოფლის დასახლებაც ეტაპობრივად მიმდინარეობდა. თავდაპირველად, მუსულმანი მესხები და ფერმაში მომუშავე ქართველები გვერდიგვერდ სახლობდნენ. 90-იან წლებში საერთო არეულობის გამო ფერმამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ქართველებმა სახლები გაყიდეს და იანეთის მე-9 უბანი დატოვეს. ხოლო მათი სახლები მუსულმანმა მესხებმა (ძირითადად ახლად შექმნილმა ოჯახებმა) შეისყიდეს. სოფელში 9 სახლი არატიპურია, ამათგან 6 ძველი ფინური კოტეჯია.

“მესხეთის ქუჩის” დღევანდელი განსახლების სტრუქტურა, ნასაკირალში, გარკვეულწილად ასახავს მესხების ჩამოსახლების ისტორიას. ქუჩის ერთ მხარეს კაპიტალური, ორსართულიანი, ერთნაირი ტიპის სახლებია, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს ნასაკირა-

ლის მეურნეობამ ააგო. ქუჩის მეორე მხარეს რეპატრიანტებმა საკუთარი ხარჯებით ააშენეს საცხოვრებელი ნაგებობები, ამის გამო ისინი მეპატრონეთა მატერიალურ შესაძლებლობებსა და გემოვნებას შეესაბამება და კონსტრუქციულადაც არაერთგვაროვანია.

საქართველოში (ნასაკირალსა და იანეთში) სახელმწიფოს მიერ აშენებული სახლები ორსართულიანია, თითო სართულზე 4 ოთახია, აქვს ფართო აივანი და გარე კიბე. ყველა ოჯახს საცხოვრებელი სახლის უკან აქვს დამხმარე სამეურნეო სათავსოები — სასიძინდე, ფურნე, სახელოსნო, ცხვრის ფარეხი, საქონლის ბაკი, საქათმე, საკუჭნაო, საპირფარეშო და სხვ.

ფერღანას მოვლენების შემდეგ დეპორტირებულთა რიცხვი გაიზარდა რუსეთშიც. საბჭოთა ხელისუფლებამ დაახლოებით 17 ათასი ადამიანი ორგანიზებულად გადაასახლა რუსეთის ცენტრალურ რაიონებში /85.96/.

არსებობს ვარაუდი, რომ ფერღანას მოვლენები პროვოცირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ, რომელსაც სურდა სსრკ-ს დაშლის წინ რამდენიმე პრობლემა ერთი დარტყმით გადაეჭრა. I. მუშახელით შეევსო ცენტრალური რუსეთის რეგიონები, II. უზბეკი ნაციონალისტების ყურადღება სლაეური მოსახლეობიდან მესხებზე გადაეტანა, III. არეულობა შეეტანა ამიერკავკასიის ეროვნულ მოძრაობებში, რადგანაც მრავალათასიანი მუსულმანური მასის შესვლის პერსპექტივა კიდევ უფრო დაძაბავდა ამ რეგიონის ისედაც რთულ ეთნორელიგიურ სიტუაციას. ამის დასამტკიცებლად დეპორტირებულებს გარკვეული არგუმენტებიც მოაქვთ. “როდესაც ჩვენები ფერღანადან რუსეთში ჩავიდნენ, სმოლენსკის ერთ-ერთ სოფელში უთხრეს, უკვე ერთი კვირა გავიდა აქა ხართ, რამდენი უნდა იდარდოთ, თქვენ აქ სამუდამოდ ხართ ჩამოსულები, გეყოფათ ჯავრი და ახლა ერთი კარგი სუფრა გავაკეთოთ და დრო გავატაროთო. შემდეგ საღამოთი ღვინი მოაწყვეს, სადაც ადგილობრივებმა ჩვენებს უთხრეს — კი მაგრამ სადამდე უნდა გელოდოთ თქვენ? თქვენს თურქი მესხები იანვარში მოვლენო, არ მოხვედით, მერე თქვენს თებერვალშიო, ისევ არ გამოჩნდით, მარტი, აპრილი, მაისი ისე გავიდა და მხოლოდ ივნისში ჩამოხვედითო. რამდენი ხანია ძველი სახლები შეგვაკეთებინეს, რათა ჩამოსულები მოგვეთავსებინა, ნ თვის განმავლობაში ყველა პარტიულ კრებაზე განიხილებოდა თქვენი საკითხი.

ამის მერე იმის თქმა, რომ ფერღანაში უბედურება რაღაც ხენდროს ყიდვისას დაიწყო უბრალოდ სისულელეა. როგორც აღმოჩნდა სმოლენსკის რომელიღაც სოფელში ამის შესახებ 6 თვით ადრე ჰქონდათ ინფორმაცია, დასახვედრად ტექნიკას და მეურნეობას ამზადებდნენ. იცოდნენ, რომ მშრომელი ხალხი მოდიოდა, რომელიც მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ააღორძინებდა. როგორც კი მესხები მივიდნენ რუსებმა, რუსული პირდაპირობით ყველაფერი წამოროშეს”.

სავარაუდოდ, სულ რუსეთის 20-ზე მეტ რეგიონში ამჟამად ცხოვრობს 70 ათასამდე დეპორტირებული (დაახლოებით 10 ათასამდე ადამიანი ჯერ კიდევ 1989 წლამდე ცხოვრობდა) /86/.

უკრაინაში ე.წ. “თურქი მესხები” ფერღანას ტრაგედიის შემდეგ გამოჩნდნენ. ამჟამად ისინი უკრაინის 12 ოლქში (ყირიმი, დნეპროპეტროვსკი, დონეცკი, ზაპოროჟიე, კიევი, ლუგანსკი, ნიკოლაევსკი, ოდესა, პოლტავა, ხარკოვი, ხერსონი, სევასტოპოლი) არიან განსახლებული, თუმცა ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ხერსონის, ნიკოლაევის, ხარკოვის ოლქსა და ყირიმის ნახევარკუნძულზე /81.109/.

დეპორტირებულთა საერთო რაოდენობა საკამათოა. ზოგიერთი ავტორის მტკიცებით ამჟამად პოსტაბჭოთა ქვეყნებში ცხოვრობს 500 ათასამდე დეპორტირებული და მათი შთამომავალი /61. 20/.

2005 წ. 5 ივლისს თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე “უმცირესობათა საკითხების კვლევის ევროპული ცენტრის” ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი იყო რაოდენობრივი მარკენებლებიც (თუმცა მათ არ ჰქონდათ აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზია). ცალკეული მკვლევრების მიერ განსხვავებული მეთოდებით და განსხვავებული წყაროებიდან მოპოვებული ციფრების მიხედვით, ყველაზე თამამი გათვლებით, აღნიშნული კონტინენტის შემადგენლობა 400 ათასიდან 450 ათასამდე მერყეობს.

1989 წლის აღწერის მიხედვით (რომელიც რჩება ერთ-ერთ ყველაზე სანდო წყაროდ), ამ დროისათვის საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა 207,5 ათასი თურქი /20.19/, ამას უნდა დაემატოს აზერბაიჯანში მცხოვრები და აზერბაიჯანელად რეგისტრირებული დაახლოებით 30 ათასამდე დეპორტირებული. ამრიგად დღეისათვის დეპორტირებულთა რაოდენობა სავარაუდოდ 250-300 ათასს უნდა შეადგენდეს /180.39; 85.93/.

## თავი 2. მიგრაციული პოლიტიკის იდეოლოგია და ჯგუფთაშორისი ურთიერთობის თავისებურებანი

### §1. მიგრაციული პოლიტიკის იდეოლოგია

ჩვენი საკვლევი კონტინგენტის, სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა, მიგრაციის ინტენსიფიკაცია უკავშირდება 1989 წ. უზბეკეთში განვითარებულ მოვლენებს. მაისის თვეში ფერღანის ოლქში დაიწყო უზბეკი "ისლამისტ-ნაციონალისტების" მიერ იქ ჩასახლებული დეპორტირებულების დარბევა, რომელმაც მალე მასობრივი ხასიათი მიიღო და მთელს უზბეკეთს მოედო. დაპირისპირება ადგილობრივ "ნაციონალისტებსა" და საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1944 წ. საქართველოდან გადასახლებულ კონტინგენტს შორის შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: 1. შეტაკებები მოხდა, სუნიტური ისლამის მიმდევარ ორ ჯგუფს შორის, რეგიონში სადაც ისლამის პოლიტიზაციის დონე ძალზე მაღალია, მაშინ როდესაც ამ ადგილებში მრავლად ცხოვრობდნენ სხვა (ქრისტიანული) რელიგიის წარმომადგენლებიც; 2. მტრად შერაცხული მესხები, ტიტულარული ეთნოსისათვის, პერსპექტივაში, წარმოადგენდნენ მოკავშირეს და არა საფრთხეს; 3. იმ ხანებში, კონფლიქტის მთავარ მაპროვოცირებელ ფაქტორად გამოცხადებული სოციალური პრივილეგიების არათანაბარი განაწილება, როგორც ირკვევა, სინამდვილისგან შორს იდგა (მაგ. კუვასიეში, საიდანაც დაიწყო ფერღანაში ცნობილი მოვლენები, ოფიციალურ ხელმძღვანელობაში და ჯანდაცვის სფეროში არც ერთი დეპორტირებული არ მუშაობდა. ვაჭრობასა და საზღვეების სისტემაში დასაქმებული 1250 ადამიანიდან, მხოლოდ 181 იყო ე.წ. თურქი მესხი) /62.182/; 4. დაპირისპირების ორგანიზებაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც იმ ხანებში მთლიანად ემორჩილებოდნენ მოსკოვს; 5. ფერღანას მოვლენები საეჭვოდ დაემთხვა სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

აღნიშნულ მოვლენებს წინ უსწრებდა ფერღანას ოლქში სალაფიტური მიმდინარეობის ისლამის (ე.წ. ვაჰაბიზმის) გააქტიურება. ვაჰაბიტების საპროგრამო დოკუმენტები შეიცავდნენ მუსულმანური

სახელმწიფოს დაარსების, ისლამის განწმენდის, ქალთა უფლებების შეზღუდვისა და ისლამური არმიის შექმნის გეგმებს /62.173/.

უზბეკ ვაჰაბიტთა გეგმებში ზემოაღნიშნულის გარდა შედიოდა ქვეყნიდან სლავური (რუსული) მოსახლეობის გაძევება. მალე ისინი აქტიურ ქმედებებზე გადავიდნენ და, ერთი ცნობის მიხედვით, ამ საქმეში დახმარებისაკენ უზბეკეთში მცხოვრებ მესხებსაც მოუწოდეს, რაზეც ამ უკანასკნელებმა კატეგორიული უარი განაცხადეს და "ნაციონალისტების" რისხვაც დაიმსახურეს /62.179/.

1988 წლის დეკემბერში ფერღანას ოლქის ქალაქებში ნამან-განსა და უჩკურგანში დაიწყო მრავალრიცხოვანი მიტინგები, რუსების უზბეკეთიდან გაძევების ლოზუნგით. თანდათანობით ეს მოთხოვნა შეიცვალა "თურქი მესხების" განდევნის მოწოდებებით /62.174/.

არსებობს მოსაზრება, რომ მესხების დარბევების მიზეზი იყო 1986-88 წწ. გორბაჩოვის "პერესტროიკას" აყლილი დეპორტირებულითა ლიდერების აქტიურობა. ეს ხალხი კიდევ ერთხელ დასაჯეს სხვების საჩვენებლად /85.82/.

თვითმხილველები გაოგნებული იყვნენ რეგიონში შეყვანილი სამხედრო ძალების, ადგილობრივი საბჭოთა მმართველობის, შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოების მოუქნელობით. ზოგ შემთხვევაში ჩნდებოდა ეჭვი, რომ უმოქმედობით ისინი ექსტრემისტების აქტიურობის პროვოცირებას ახდენდნენ. მაგალითად შეიარაღებულ ექსტრემისტთა წინააღმდეგ (რომლებიც დაუნდობლად ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, აუპატიურებდნენ და ცოცხლად წვაავდნენ ადამიანებს) ცეცხლსასროლი იარაღი გამოყენებული იქნა სულ ოთხჯერ, ცრემლსადენი საშუალება კი — სამჯერ /74.236/. ამგვარი პასიურობა განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდება თუ გავიხსენებთ რომ, რამდენიმე კვირით ადრე, 9 აპრილს, საბჭოთა ჯარებმა უმოწყალოდ დახოცეს მშვიდობიანი მომიტინგეები თბილისში და არც მომწამვლელი გაზი დაუსურებიათ.

სიაპტომატურია, უზბეკი საბჭოთა ფუნქციონერის, ნიშანოვის, გამოსვლა იმ ხანებში მიმდინარე სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ყრილობაზე. მან კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე (ხენდროს გამო) წარმოქმნილ უბრალო გაუგებრობად მონათლა. კომუნისტური ხელისუფლების შეშფოთებას უფრო ის იწვევდა, რომ მიგრაციამ სტიქიური ხასიათი მიიღო და მისი მართვა გართულდა /156.3/.



თუმცა, მდგომარეობის სტაბილიზაციას მაინც არ ჩქარობდნენ. ფერლანას მოვლენების გამოძიება მოგვიანებით დაიწყო. საქმეს იძიებდა 500 გამოძიებელი. სსრკ გენერალური პროკურორის თანაშემწის ა. ფროლოვის განცხადებით, ივლისის თვისათვის აღძრული 50 სისხლის სამართლის საქმე /156.3/. ფერლანას მოვლენებისას 112 ადამიანი დაიღუპა, 1032 სამოქალაქო პირი დაიჭრა, განადგურდა მრავალი შენობა-ნაგებობა და სხვ. /85.81/. 90 ათასი ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა უზბეკეთი. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ფერლანას ოლქიდან 16 ათასზე მეტი ადამიანის ევაკუაცია მოახდინეს ცენტრალურ რუსეთში, სადაც ისინი არსებობისათვის მეტად არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდნენ და ამიტომ მათი ნაწილი შემდგომ სხვა ადგილებში გადავიდა /157/. ლტოლვილები სტიქიურად მიაწყდნენ სხვა რესპუბლიკებსაც (რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, საქართველო).

სტიქიურ მიგრაციებს განსაკუთრებით უარყოფითად შეხვდნენ საქართველოში და რუსეთის სამხრეთ რეგიონებში, სადაც ამ ნიადაგზე შექმნილი სიტუაცია შემდეგ პერიოდში მრავალჯერ გახდა საზოგადოების მღელვარებისა და ურთიერთდაპირისპირების საბაბი /157; 158.5-11/. შეიქნა სპეციფიკური ვითარება, როდესაც ამ ქვეყანათა კონსტიტუციებით აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წინააღმდეგობაში მოვიდა ხელისუფლების მიერ კონიუნქტურული მოსაზრებების გამო გატარებულ (ზოგჯერ არაფორმალურად) პოლიტიკასთან.

დეპორტირებული მოსახლეობის ადაპტირება მნიშვნელოვნად უკავშირდება ამჟამინდელი გამსახლების ადგილებში არსებულ სახელმწიფოთა პოლიტიკას. სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებაზე გარკვეულ ზემოქმედებას სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ. ხელისუფლების ნებას ასრულებენ ცალკეული სახელმწიფო მოხელეები ხოლო ახმოვანებენ, მედიის წარმომადგენლები. მედიაში ეს დებულებები ხშირად არაადეკვატური ფორმით არის გამოთქმული, და მხოლოდ საზოგადოებაში სტერეოტიპების ფორმირებას შეიძლება ემსახურებოდეს. მაგ. ბ. ჯერელიევსკი მიიჩნევს, რომ [მესხებს] “შეუძლიათ არა მარტო მოსწყვიტონ უმსხვილესი შავიზღვისპირა პორტი, ნოვოროსიისკი, ყველა სატრანსპორტო მაგისტრალს, არამედ — მოახდინონ ქვეყნის მთელი ინფრასტრუქტურის პარალი-

ზება" /179/. როგორც წესი, ამგვარი ანალიზი დაფუძნებულია ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა ცალკეულ განცხადებებზე. უზარმაზარი საფრთხის შემცველად მოიაზრება სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებთან სიახლოვეს "თურქი მესხების კომპაქტურ დასახლებები." ამგვარ ობიექტებად მიჩნეულია: რკინიგზის სადგურები, ფედერალური გზები, ნავთობტერმინალები, აეროდრომები, სასმელი წყლის საცავეები, ელექტროსადგურები და სხვ.

საყურადღებოა, რომ მიგრანტებს ხშირად ანიჭებენ მტრული "ერზაც ობიექტების" როლს, ე.ი. ხდება "დამცავი სარქველების" თეორიის პრაქტიკაში გატარება. ამ თეორიის არსი მდგომარეობს კონფლიქტის საშუალებით დაძაბული სიტუაციის განმუხტვაში. დაძაბულობის განმუხტვისათვის შეიძლება გამოყენონ ერზაც ობიექტები (დამცავი სარქველები), რომლებზეც მიიმართება აგრესია. თუ ასეთი ობიექტები არ არსებობს შეიძლება მათი ხელოვნური შექმნაც /164.10-11/. ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ, რომ, სინამდვილეში, საზოგადოებაში სტაბილურობის შენარჩუნება ადვილდება, თუ უმცირესობები სრულფასოვან მონაწილეობას ღებულობენ დომინანტი საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში /160.1/.

ქართული სახელმწიფო პოლიტიკა დეპორტირებულთა მიმართ, ბოლო ხანებამდე, გარკვეული არათანმიმდევრობით ხასიათდებოდა. ჯერ კიდევ კომუნისტურ პერიოდში, ქართული საზოგადო მოღვაწეების დაჟინებული მოთხოვნით, საქართველოს ცკ იძულებული გახდა, 1979 წლის აპრილში გამოეცა დადგენილება, მესხთა საქართველოში მიღების შესახებ. ამ დადგენილებით ისარგებლეს იმ რეპატრირებულებმა, რომლებიც 1989 წლამდე შემოვიდნენ საქართველოში. ჩასახლებულებს ექმნებოდათ ადაპტაციისათვის აუცილებელი პირობები (აკმაყოფილებდნენ საცხოვრებლით, აძლევდნენ სამუშაოს, უხსნიდნენ ქართულის შემსწავლელ კურსებს და ა.შ.).

1987 წელს საქართველოს სსრ-ს მინისტრთა საბჭომ გამოსცა დადაგენილება №600, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ დეპორტირებულთა საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად მიღების თაობაზე /57.18/. გათვალისწინებული იყო 1988 წლისათვის რამდენიმე ასეული ადამიანი სამცხე-ჯავახეთშიც დაებრუნებინათ, შეირჩა სათანადო ადგილები. ოგორც ჩვენი რესპოდენტები გვიამბობენ, გადმოსასახლებელი ოჯახების შერჩევა მესხური ორგანიზაციე-

ბის ლიდერებს დაავალეს. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, მესხებმა უარი განაცხადეს მათთვის შერჩეულ ადგილებში დასახლებაზე და მოისურვეს მხოლოდ თავიანთ სოფლებში დაბრუნებულიყვნენ /79/. ფერლანას მოვლენების შემდეგ, საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობას ოფიციალური დოკუმენტი არ მიუღია რეპატრიაციის აკრძალვის თაობაზე, მაგრამ მოექცა მაშინდელი არაფორმალური ორგანიზაციების (რომელთა დიდი ნაწილი 1991 წ. თავად მოვიდა ხელისუფლებაში) გავლენის ქვეშ, ან ასრულებდა ცენტრალური ხელისუფლების ფარულ ინსტრუქციას და არაფერს აკეთებდა მესხების დასაცავად.

რამდენიმე არაფორმალური ორგანიზაციის ლიდერმა, 80-იანი წლების ბოლოს კონიუნქტურული მოსაზრებებით, შეიცვალა პოზიცია და საქართველოში ლტოლვილი მესხების მრავალრიცხოვანი ჯგუფების შემოსვლა ეროვნული ინტერესების საზიანოდ გამოაცხადა. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამგვარი დამოკიდებულება ნაწილობრივ განაპირობა თავად დეპორტირებულთა პროტურქული ორიენტაციის ორგანიზაციათა მიერ მოწყობილმა მრავალრიცხოვანმა გამოსვლებმა მოსკოვში, სადაც პანთურქისტული შეფერილობის ლოზუნგები ჭარბობდა. ამასთან, 1989 წლამდე ქართული საზოგადოება იცნობდა მხოლოდ იმ დეპორტირებულებს, რომლებიც პროქართული ორიენტაციის იყვნენ, მოულოდნელად კი გაირკვა, რომ გასახლებულთაგან ძალიან ბევრი ადამიანი თავს თურქად მიიჩნევდა.

ხელისუფლების უმოქმედობის ფონზე გაიზარდა არაფორმალურ ორგანიზაციებთან მიტმასნილი კრიმინალების აქტიურობა. ისინი ეროვნული მოძრაობის ლიდერების სახელით დარბევების, ყაჩაღობისა და უდანაშაულო ადამიანების აწიოკებით შოულობდნენ ქონებას. ამის შედეგად, საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში დამკვიდრებული რეპატრიანტების ნაწილი (ხონის რაიონის სოფ ახალშენიდან, ქარელის რა-ნის სოფ ბრეთიდან), ყაჩაღებისაგან მრავალჯერ დარბეულნი, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. სხვები კი პროცესების ამგვარი განვითარებით დაშინებულნი (ზუგდიდის რაიონის სოფ. ნარაზენი და ხეცერა, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლესიჭინე, სენაკის რ-ნის სოფ. გეჯეთი, მარტვილის რაიონის სოფ. ბანბა) გაეტკლუნენ ქვეყანას.

1992-2003 წლებში, ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების მიუხედავად, გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის ბრძანებულებები და დადგენილებები, რომელთაც უნდა დაერეგულირებინათ რეპატრიანტთა ცხოვრება. რამდენჯერმე შეიქმნა ხსენებული პრობლემის შემსწავლელი კომისია, დაარსდა საადაპტაციო ცენტრი, რეპატრიაციის კოორდინირება დაევალა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან არსებული, რეპატრიაციის სამსახურს (მოგვიანებით სამმართველო).

საერთაშორისო საზოგადოების თვალში, დემოკრატიულობის იმიჯის მოსაპოვებლად საქართველოს ხელისუფლება 1991 წლიდან მოყოლებული რეპატრიაციისადმი ლოიალური დამოკიდებულების აფიშირებას ახდენდა, თუმცა ფაქტობრივად საქმე არ გამოირეკა რამდენიმე ათეული ოჯახის ჩამოსახლებას. 1999 წ. საქართველომ ევროსაბჭოში გაწევრიანებისას აიღო 12 წლის განმავლობაში რეპატრიაციის განხორციელებისა და სათანადო საკანონმდებლო საფუძვლების შექმნის ვალდებულება. თავდაპირველად ამ ვალდებულებას საზოგადოებაში არ გამოუწვევია რაიმე ვნებათაღელვა. მოგვიანებით ჩამოყალიბდა უცნაური მდგომარეობა, არსებობს ცალკეულ სახელმწიფო მოხელეთა დისკრიმინაციული დამოკიდებულების შემთხვევები რეპატრიანტთა მიმართ. ამასთანავე, როგორც კი საკითხის შესწავლასა და რეალური სამოქმედო გეგმის მიღებაზე მიდგება საქმე, მყისვე ამოქმედდება სხვადასხვა ბერკეტები პრობლემისადმი მოსახლეობაში არსებული უარყოფითი დამოკიდებულების გასამძაფრებლად.

პოპულისტურ დემაგოგიას ("არ ჩამოსახლონ საქართველოში არაქართული მენტალიტეტის მქონე ჯგუფი") იყენებდნენ ცალკეული პოლიტიკოსებიც. ერთი შეხედვით პატრიოტული მიდგომა, რომ არაფერი ითქვას ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა იგნორირებაზე, წარმოშობს საფრთხეს, ქვეყანას ფორსმაჟორულ პირობებში მოუწიოს ამ აქტის განხორციელება. ცხადია, პრობლემის გადაჭრა უნდა მოხდეს კარგად გააზრებული და მეცნიერულად გაანალიზებული პროგრამის საფუძველზე. უკანასკნელ ხანებში ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები შეინიშნება, რაც უკავშირდება სახელმწიფო კომისიის მუშაობის გააქტიურებას. შეიქმნა რეპატრიაციის პროგრამა, დაბუშავდა კანონპროექტი რეპატრიაციის შესახებ, საბოლოოდ შეთანხმდა ძირითადი პრინციპები (რეპატრიაციის ნებაყოფლობა, მისი

განხორციელება — საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ეტაპობრივად, ქვოტებით). კანონპროექტში ჩაღებულია რეპატრიანტთა ადაპტირებისათვის აუცილებელი მექანიზმები, თუმცა რაიმე კმედითი ღონისძიება პრობლემის გადაჭრის კუთხით ჯერ არ გატარებულა. ამ შემთხვევაში ხელისუფლების ფრთხილ პოლიტიკას განსაზღვრავს, საზოგადოების დიდ ნაწილში არსებული ნეგატიური განწყობა დეპორტირებულთა ჩამოსახლების საკითხისადმი /174.13-16/.

ქართულ საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, ერთის მხრივ, წლების განმავლობაში მიმდინარე პროპაგანდამ დეპორტირებულთა ქართული წარმომავლობის შესახებ, მეორე მხრივ გეგმაზომიერად შექმნილმა სტერიუოტიპებმა ამ კონტინგენტის ანტიქართული, პანთურქისტული და პანისლამისტური განწყობილების თაობაზე. ამიტომ დეპორტაციის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია ეთნიკური ორიენტაცია, რაც გარკვეულ ლოგიკას მოკლებული სრულიადაც არ არის.

შედარებით რთული სიტუაციაა რუსეთის ფედერაციაში. ფერღანადან ლტოლვილ ადამიანებს რუსეთის ცალკეულ რაიონებში (სამხრეთში) თავიდანვე დაბრკოლებებს უქმნიდნენ, ხოლო სხვა რეგიონებში (ცენტრალურ რუსეთში), პირიქით, სიხარულით ხვდებოდნენ.

რუსეთის ცენტრალურ ოლქებში ლტოლვილებს პირდაპირ აეროპორტშივე ახვედრებდნენ საველე სამზარეულოებს, ექიმებსა თუ სახელმწიფო ავტონისპექციის ესკორტიან ავტობუსებს, რომლითაც სტეპებში მიმოფანტულ შავმიწანიადგიან ზონებში კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში გადაჰყავდათ. გამორჩეულად კარგად შეხვდნენ მათ სმოლენსკისა და ორლოვის ოლქში /74.251-252/. უზბეკეთიდან მიგრანტთა ამ რეგიონში გადმოყვანასა და დამკვიდრების საქმეში მონაწილეობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაც (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტი) /159.7/.

განსხვავებული სიტუაცია იყო სამხრეთ რუსეთში, სადაც დევნილები წინააღმდეგობას წააწყდნენ. გამოიკვეთა რამდენიმე ასპექტი: 1. ადგილობრივი მოსახლეობა იყო ჩამოსულების წინააღმდეგი. მაგალითად, ყუბანში ნათესავებთან ჩასული 170 მესხის მიღება იჭაურებმა არ ისურვეს /74.256/. 2. ადგილობრივი ხელმძღვანელობა ლტოლვილ მესხებს სომხურ ეთნიკურ ელემენტს უპირისპირებდა

– რამდენიმე ოჯახი კრასნოდარის მხარეში ჩავიდა და ყირიმელი თათარების სახლები შეიძინა. მილიციის უფროსმა არაქელიანმა ისინი მოტყუებით გაამყვანა. მხარის ხელმძღვანელობა ამას სომხებთან მათი შესაძლო დაპირისპირებით ხსნიდა /74.257/. 3. ლტოლვილებს უპირისპირდებოდნენ სახელმწიფო ორგანოები – აპშერონში რაიონულმა სასამართლომ აიძულა სახლის გამყიდველი მესხისათვის მიყიდული სახლი უკანვე დაებრუნებინა /74.258/.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის სახელმწიფოს იდეოლოგიურმა პარადიგმამ ეთნიკურ ურთიერთობათა სფეროში, ბოლო დროს, გარკვეული ცვლილებები განიცადა. თუ სსრკ-ს დაშლის პირველ წლებში ამ სფეროში ყველა პრობლემას უკავშირებდნენ ე.წ. "ნაციონალისტურ" და განსაკუთრებით "ნაციონალურ სახელმწიფოთა" იდეებს, უკანასკნელ ხანებში ძირითადი ყურადღება გადაიტანეს მიგრაციებსა და მათ შედეგებზე. ამრიგად მიგრაციები მოექცა საზოგადოებრივი ყურადღების ფოკუსში და განიხილება ეთნიკურ რაკურსში /163/.

საზოგადოებრივი სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით ხშირად შეიმუშავენ კულტურათაშორისი თანამშრომლობის პროგრამებს. ამ ტიპის დოკუმენტები, რომელთა შესრულებამაც უნდა უზრუნველყოს ნაციონალური პოლიტიკის რეალიზაცია, შექმნილია – უღმურტეთში, ბაშკირეთში, სახაში (იაკუტია), მორდოვეთში, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, პერმში, კურგანსკში, ტომსკში, ვორონეჟში, ლიპეცკში, იაროსლავსა და რიგ სხვა ოლქებსა თუ რესპუბლიკაში /161.168-169; 162/.

მიგრაციისადმი საზოგადოების დამოკიდებულება და სახელმწიფო "მიგრაციული პოლიტიკა" რუსეთში ბოლო ხანებამდე აქტუალურია. მიგრაციულ პროცესებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზნით მასშედის საშუალებებში გამოიყენება დისკურსიული სტრატეგიები. სიპტომატურია ადმინისტრაციული პოლიტიკის სამართლებრივი ასპექტები. განსაკუთრებით გამოყოფენ ჩეჩნებისა და სამხრეთ საქართველოდან 1944 წ. დეპორტირებულთა (ე. წ. თურქი მესხების) ეთნიკურ დისკრიმინაციას /163/, რომლებიც განსახლებული არიან სამხრეთში, სადაც განსხვავებულ კულტურის წარმომადგენელ მიგრანტთა ადაპტაციასა და სოციალურ გარემოში ჩართვის ხელშეშლელი მრავალი ფაქტორი არსებობს.

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის "მემორიალის" ინფორმაციით რუსეთის სამხრეთ რეგიონებში (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში), ცხოვრობს 15-16 ათასი მესხი, მათ შორის დაახლოებით 12-13,5 ათასი იძულებით მიგრანტია. ისინი დამკვიდრდნენ ძირითადად კრიმსკში (63%), აბინსკში, აპშერონში და ბელორეჩენსკის სოფლის ოლქებში. ყველა მათგანი რეგისტრირებულია სოფლის ადმინისტრაციებში შექმნილ საგანგებო სიებში. 1992 წლისათვის მიგრაციული ნაკადი თითქმის შეწყდა და, პირიქით, იქედან გადინება დაიწყო, რაც მნიშვნელოვნად უკავშირდება ამ მხარეებში შექმნილ სიტუაციას /166/.

არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკვლევების თანახმად რუსეთის სამხრეთში ხშირად ირღვევა ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით მიგრანტებთან მიმართებაში (არ აძლევენ მოქალაქეობას, რეგისტრაციაში არ ატარებენ ახალშობილებს და ა.შ.). აქ ხშირად ვლინდება ე.წ. "რბილი ეთნიკური წმენდის" ელემენტები ამ კატეგორიის ადამიანებისათვის სიძნელებისა და ბარიერების შექმნის გზით /166/. მიგრანტებს მიაწერენ "თავხედობას", "ყველაფერზე წამსვლელობას", "ადგილობრივი ტრადიციების უგულვებელყოფას", "რუსული ენის არცოდნას". ამასთანავე მიგრანტებს ბრალდებათ "ცალკეული სფეროების მონოპოლიზაცია," "დომინირებისაკენ მისწრაფება" და "კლანურობა" /163/. დამახასიათებელია საერთოდ არააღიარებული მიგრაციის პრობლემატიზაცია და ამ სოციალური ჯგუფის კრიმინალის კატეგორიისათვის მიკუთვნება. ჩვეულებრივ არ ხდება "არააღიარებისა" და "მიგრანტის" კრიტიკიუმების განხილვა და "მიგრანტები" ერთიანად მოიაზრებიან სამართალდამრღვევებად რომლებიც იმყოფებიან კანონის იქითა მხარეს და უპირისპირდებიან ჩვეულებრივ, ნორმალურ, მოქალაქეებს. მიგრანტები "ძალიან სწრაფად მრავლდებიან", მათი ბავშვები "ხელს უშლიან ადგილობრივთა შვილებს სწავლაში", ისინი "ართულებენ საბინაო პრობლემებს", "ზრდიან ფასებს", "ახდენენ ბაზრების მონოპოლიზაციას" და ა.შ.

მიგრანტების თემაზე საუბრისას ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე აქედითი მათ დანაშაულებრივ სამყაროსთან კავშირებისა და კრიმინალის ეთნიკურ ხასიათზე. 2002 წლის 18 მარტს, კრასნოდარის

მხარის გუბერნატორმა ა. ტკაჩოვმა განაცხადა: "Опасно то, что мигранты тесно связаны с преступным миром и консолидируются по этническому признаку" /163/.

კრასნოდარის (და ნაწილობრივ სტავროპოლის) მხარეში არსებულ სიტუაციას მკვლევარები ახასიათებენ როგორც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას. ა. ოსიპოვმა დისკრიმინაციის სამი ტიპი განიხილა: ა) პრეტენზიები შეიძლება წარედგინოს ხელისუფლებას (ცენტრალურსა და ადგილობრივს) და მის წარმომადგენლებს. ბ) პრეტენზიების წაყენება შეიძლება ცალკეული კერძო პირებისათვის. გ) პასუხისმგებელი სუბიექტის დადგენა პრინციპში შეუძლებელია /167.100-101/.

მეორე და მესამე კატეგორიის დისკრიმინაციული ელემენტები ძირითადად საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს ეფუძნება, თუმცა ამისაგან მთლიანად არც პირველი კატეგორიაა თავისუფალი.

ეთნიკურ მიგრანტთა დევნის ორგანიზება რუსეთში ცალკეული დაჯგუფებების (კაზაკების, სქინჰედების და ა.შ.) "მოღვაწეობას" უკავშირდება, და რადგანაც ეს დაჯგუფებები როგორც წესი აშკარად მოქმედებენ, შეიძლება ითქვას რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისა და სამთავრობო წრეების სიმპათია მათ მხარესაა.

სახელმწიფო ორგანოებისა და ოფიციალური პირების მიერ, მიგრანტების (მოცემულ შემთხვევაში დეპორტირებულთა) მიმართ, შეგნებულად ირღვევა კანონი რუსეთის მოქალაქეების შესახებ (მიიღეს 1992 წ. თებერვალში). კანონის მიხედვით რუსეთის მოქალაქე ავტომატურად გახდა ყველა, ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, ვინც ამ მომენტისათვის მუდმივად ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და ოფიციალურად არ განაცხადა უარი ამ სტატუსზე. მოქალაქეობა მიანიჭეს რუსეთის მთელს ტერიტორიაზე მცხოვრებ დეპორტირებულ მესხებს (გარდა კრასნოდარის, სტავროპოლის და ყაბარდო-ბალყარეთისა). უფრო მეტიც კრასნოდარში ფერლანას მოვლენების შემდეგ გადასახლებულ ადამიანებს არ ატარებდნენ რეგისტრაციაში, რის გამოც პერმანენტული კონფლიქტები და უთანხმოება სამართალდამცავებთან.

ტიპურია რუსულ ელექტრონულ მედიაში აღწერილი შემთხვევა – კრიმსკში, ქალაქის საპასპორტო-სავიზო სამსახურმა დეპორტირებულებს პასპორტები წაართვა და არსებული წესის დარ-



ღვევით, მოსთხოვა წარედგინათ სურათები, რათა პასპორტები ე.წ. "ფორმა ნომერი ცხრით" შეეცვალათ. ამ სამსახურის ინსპექტორმა ანა კომაროვამ განაცხადა, რომ ამიერიდან რეგისტრაცია მხოლოდ ამგვარად (ე.ი. დარღვევით - ლ.ჯ.) იწარმოებს. ნოვოროსიისკის ადამიანის უფლებათა კომიტეტის დირექტორს მიაჩნია, რომ ესაა "დაკანონებული ძალადობის" კამპანია. ადამიანის უფლებათა დამცველების ცნობების თანახმად ე.წ. "თურქი მესხების" საჩივრები, რეგისტრაციასთან დაკავშირებით, მათთან ყოველდღიურად შედის. კრასნოდარის მხარეში თითქმის ყველა დეპორტირებული რეგისტრაციის გარეშე იმყოფება, რის გამოც მუდმივად ხდება მილიციის ძალადობის მსხვერპლი. ამავე მიზეზით არ შეუძლიათ მათ ზოგიერთ ქალაქებში, მაგალითად ნოვოროსიისკში, შესვლა. აგვისტოს თვეში მომხდარი "სმერჩის" (გრიგალის) შემდეგ ამ ადამიანებს ჰუმანიტარული დახმარების გაწევაზეც კი უარი უთხრეს /168/.

ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერით გულმოდგემული, სამართალდამცავების ქმედებები ხშირად აშკარა ცინიზმით და წრევადასული თავხედობით ხასიათდება. სოფ. კომსამოლსკაიაში (კრასნოდარის ოლქი, ბელორეჩენსკის რ-ნი), მცხოვრებთა ინფორმაციის თანახმად, მათ უარს ეუბნებიან სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობაზე (იმ ახალგაზრდებსაც კი ვინც რუსულ არმიას იჩენების წინააღმდეგ იბრძოდა), შეურაცხყოფენ მხოლოდ გარეგნული (ანთროპოლოგიური) ნიშნების გამო, აჯარიმებენ, ღებულობენ ქრთამს, და სხვ. თუმცა აღნიშნავენ იმასაც, რომ მათ რეგიონში ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა ვიდრე კრიმსკში. ერთმა ახალგაზრდამ მიაბო, რომ მას მოქალაქეობაც აქვს და რუსული პასპორტიც, მაგრამ მილიციონერმა მანც გააჩერა, პასპორტი მოსთხოვა. მერე ეს პასპორტი მიწაზე დააგდო, ფეხით შედგა, პატრონი აიძულა აეღო, შემდგომ კი დააჯარიმა რუსული სახელმწიფო ატრიბუტიკის (მოქალაქის პასპორტის) არასათანადო (ჭუჭყიან) მდგომარეობაში ტარებისა და შეურაცხოფისათვის /169/.

საბაბი, რომლის გამოც კრასნოდარის ოლქის ხელისუფლება, მესხებს რეგისტრაციას არ აძლევს, მეტად ბანალურია. აცხადებენ, რომ ისინი სულ ერთია დროებით არიან ამ ადგილებში და მერე საქართველოში უნდა გადასახლდნენ. ამგვარ დამოკიდებულების პროვოცირება მოახდინა საქართველოს ხელისუფლების მიერ თავდაპირ-

ველად (გასული საუკუნის 90-იან წლებში) დეკლარირებულმა, ხოლო 1999 წლიდან უკვე ევროსაბჭოში აღებულმა ვალდებულებამ ეტაპობრივი რეპატრიაციის შესახებ /170/.

რუსული ხელისუფლების განწყობილება კავკასიელებისადმი კარგად ჩანს გუბერნატორ ტაჩაროვის ცნობილ გამონათქვამში – “Фамилии, оканчивающиеся на -ян, -дзе, -швили, -оглы незаконны также как и их носители”.

ანალიტიკოსები აღიარებენ შეუსაბამობას არსებულ სიტუაცია-სა და მოსალოდნელ პროცესებს შორის. სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკებიდან ჩამოსული ადამიანები უზარმაზარ გავლენას ახდენენ რუსეთის ცხოვრებაზე, მოქალაქეობას კი ვერ ღებულობენ. კიდევ, რომ მიიღონ უკვე გადატანილი დისკრიმინაციის შემდეგ, ძნელია მათგან გულმხურვალე რუსი პატრიოტები ჩამოყალიბდნენ. ამიტომ, ხელისუფლება ამჯობინებს არალეგალური მიგრანტები მარგინალე-ბად და კრიმინალეზად გამოაცხადოს, ქვეყანაში არსებული ყოველ-გვარი პრობლემა მათ გადააბრალოს, “ერზაც ობიექტებად” გამოიყენოს და საზოგადოების ყურადღება მათზე გადაიტანოს.

არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ჩამოყალიბებული ორგანიზაციები, როგორც წესი ნაციისტურ ან უკეთეს შემთხვევაში ნაციონალისტურ (ამ სიტყვის შოვინისტური შინაარსით) პლატფორმაზე დგანან. დეპორტირებულთა წინააღმდეგ მოქმედებენ ძირითადად სქინპელები ან კაზაკური რაზმები, რომლებსაც ჩვეულებრივ მოხალისეთა და ე.წ. სამოქალაქო “დრუჟინიკების” სტატუსი აქვთ და წესრიგის დაცვის საბაბით ახორციელებენ ეთნიკური ნიშნით ადამიანების დევნას. რუსეთში ნაციონალურ-ფაშისტური ორგანიზაციების ზრდის საკმაოდ დიდი რეზერვი არსებობს. “ლევადა ცენტრის” მეცნიერ თანამშრომლის შეფასებით, ლოზუნგს “რუსეთი რუსებისათვის” მხარს აქტიურად უჭერს დაახლოებით 17 მილიონი ადამიანი /173/. თუმცა ექსპერტთა შეფასებით, რომელიც რიგი სოციოლოგიური ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგებს ეყრდნობა, ხსენებული იდეის პასიურ მომხრეთა რიცხვი გაცილებით დიდია. 2002 წლისათვის ამ იდეას მხარს უჭერდა რუსეთის მოსახლეობის 53%, ხოლო ზოგ წლებში მათი ოდენობა 60%-მდე იზრდებოდა /171.22/.

საზოგადოებრივი მხარდაჭერის მიუხედავად, თავდაპირველად სქინპელები კავკასიელების დევნას ვერ ბედავდნენ. აშინებდათ, კლა-

ნური სოლიდარობის, ურთიერთდახმარებისა და შურისძიების მაღალი ხარისხი. ამის გამო, “თავდაპირველი ჭაბუკები” უფრო შუა აზიიდან ჩამოსულებს ეტანებოდნენ და ეთნიკურ შეუთავსებლობას ყოფითი გამორჩენისათვის იყენებდნენ /172/. მოგვიანებით, საზოგადოებრივი მხარდაჭერის ზრდის კვალობაზე იზრდებოდა ამ მიმართულების ორგანიზაციათა აქტიურობა და პოლიტიკური ამბიციები. ყველაზე განმავრულებულ აქციად ითვლება 2004 წლის 19 ივნისს, პეტერბურგში ცნობილი სწავლულის, ნიკოლოზ გირენკოს მკვლელობა. მეორე დღესვე პასუხისმგებლობა აიღო ნაციონალისტურმა ორგანიზაციამ (“რუსეთის რესპუბლიკა”), მკვლელობას აშკარად დაუჭირა მხარი НДПР – ის თანათავმჯდომარემ ალექსანდრე სევასტიანოვმა /171.25/.

სახელმწიფო აპარატის, უკეთეს შემთხვევაში, უმოქმედობა ბუნებრივად იწვევს პროტესტის გრძობას დეპორტირებულთა შორის და ხშირად საპროტესტო აქციების საბაბიც ხდება /175/.

ამრიგად, საქართველოსაგან განსხვავებით რუსული სახელმწიფოს მიგრაციული პოლიტიკა მთლიანად ხელისუფლებისაგან იმართება და ე.წ. არალეგალურ მიგრანტთა საწინააღმდეგოდ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ძირითად მიზანს სხვა პრობლემებისაგან ყურადღების ჩამოშორება წარმოადგენს.

სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის მიმართ სრულიად განსხვავებულ პოლიტიკას ატარებს აზერბაიჯანის ხელისუფლება. 50-იან წლებში აზერბაიჯანის კომუნისტურმა მთავრობამ თავად შესთავაზა შუა აზიაში მცხოვრებ მესხებს მათ ქვეყანაში გადასახლება. იმავე ითვე ჩაფიქრებული იყო მოეზდინათ ამ კონტინგენტის სრული ასიმილაცია, რადგანაც მიგრანტთა დიდ ნაწილს პასპორტებში აზერბაიჯანელი ეროვნება ეწერა. მათთვის კი მეტად მნიშვნელოვანია ეთნიკური კუთვნილების ფორმალისაცია (რაც მიწერია პასპორტში იმ ეროვნების ვარ – ამბობენ ისინი).

აღნიშნულის გამო, აზერბაიჯანში უნდობლად უცქეროდნენ პროქართულად ორიენტირებულ დეპორტირებულებს. ამასთანავე, წინააღმდეგობას უწევდნენ საქართველოში მესხთა გადმოსახლებას. რეპატრიანტთა “ჯგუფის გამომგზავრების შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მეკლულ ბაირახტაროვმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხა კოლმეურნეობა თავზე გვენგრევა, სახელმწიფო გეგმას ჩა-

ვარდნის საფრთხე ემუქრებაო! აზერბაიჯანის მთავრობამ საჩივარი მოსკოვს გააგზავნა: სახელმწიფო გეგმა ვარდება, საქართველო ჩვენს ხალხს იბირებსო" /73.110-111/.

დეპორტირებულთა მიმართ აზერბაიჯანში გატარებული პოლიტიკა ამ ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ერთის მხრივ უჭირთ მათი სრულფასოვნად ინტეგრაცია, რადგან უზბეკეთიდან მიგრანტთა ტალღა დაემთხვა ყარაბახიდან აზერბაიჯანულ ლტოლვილთა მასიურ შემოსვლას. პანთურქისტული სულისკვეთება აიძულებს ხელი შეუწყონ მრავალი საუკუნის წინ დაწყებული ასიმილაციის პროცესის დასრულებას, თანაც არ სურთ მუშახელისაგან დაცალოს მულანის ველი, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში, სწორედ მესხებმა ათვისეს. დღეისათვის აზერბაიჯანი ყოველნაირად უჭერს მხარს თურქეთის მოთხოვნებს საერთაშორისო ორგანიზაციებში. ისინი ცდილობენ, რომ ყველა დოკუმენტში დაფიქსირდეს დეპორტირებული კონტინგენტის ეთნიკური თურქობა. მაგ. 1999 წ. ჰაგაში, დეპორტირებულთა საქართველოში რეპატრაციისადმი მიძღვნილ სამუშაო შეხვედრაზე, აზერბაიჯანის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა, მიღებულ რეზოლუციაში დაფიქსირებულიყო ტერმინი "მესხეთელი თურქები" /85.112/.

უკრაინაში მესხების მდგომარეობა, მოქალაქეობრივი მდგომარეობისა და ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, დამაკმაყოფილებელია. 1990-იან წლებში, როდესაც მწვავედ იდგა პროთურქულად ორიენტირებული ყირიმელი თათრების ყირიმში რეპატრიაციის საკითხი, უკრაინამ შეძლო ღირსეულად დაებრუნებინა ისინი. იმ ხანებში ცალკეული წრეები აქცენტს აკეთებდნენ ყირიმში 5 მილიონიანი თათრულ-თურქული უმრავლესობის შექმნის თაობაზე, ამდენად რეპატრიაციის დასაწყისში იკვეთებოდა პოლიტიკური არასტაბილურობის საშიშროება /204.12/.

მესხები უკრაინაში, ასევე 1989 წლის მოვლენების შემდეგ გამოჩნდნენ, 90-იან წლებში მათ შეუერთდნენ დასავლეთ საქართველოდან განდევნილი რეპატრირებულები. ისინი დისპერსიულად არიან განსახლებული, მაგრამ ზოგიერთ რაიონში, მაგ. ჩაპლინკაში (ხერსონის ოლქი), საკმაოდ მრავლად ცხოვრობენ, ცალკეულ სოფლებში კი კომპაქტურ უბნებსაც ქმნიან. ჩამოსულები თავდაპირველად ჩერნობილის ავარიის დროს დაზარალებულთათვის აგებულ

სახლებში შესახლდნენ, შემდგომში ერთმა ნაწილმა შეძლო თავად აეგო საცხოვრებლები ან უკრაინელებისაგან შეეძინა სახლები. მათი თემი კარგადაა ორგანიზებული და მკვეთრად გამოირჩევა ადგილობრივი მოსახლეობისაგან /81.110/.

განსხვავებული წყაროები აქ დეპორტირებულთა სხვადასხვა რაოდენობას ასახელებენ. უკრაინის დემოგრაფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის თანახმად, 2001 წლის აღწერის მიხედვით უკრაინაში სულ 336 ე.წ. თურქი მესხი ცხოვრობდა. მათ შორის: ვონეცკის ოლქში – 119, კიევის ოლქში – 73, ზარკოვის ოლქში – 14 და ხერსონის ოლქში – 59 /84/.

უფროსად “მიგრაციონში” გამოქვეყნებულ წერილის ავტორთა მიხედვით უკრაინაში სულ მცირე 10000 დეპორტირებულია /85.37; 83.109/. დაახლოებით იგივე რაოდენობას ასახელებს საზოგადოება “ვათანის” ხერსონის განყოფილების ლიდერიც. ჩვენი ვარაუდით რეალურ სურათს უფრო უკანასკნელი ცნობა შეესაბამება, რადგან მარტო ხერსონის ოლქის ჩაპლინკის რაიონში 500-მდე ოჯახი, ანუ დაახლოებით 2000-მდე დეპორტირებული ცხოვრობს.

2001 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით ხერსონის ოლქში 3700 ადამიანი აღნუსხული იყო ეროვნებით თურქად (რაც საეხებით ემთხვევა პოზდნიაკის მონაცემებს – ლ.ჯ.). იქვე მითითებულია, რომ 1989 წლისათვის აქ თურქი ეროვნების მხოლოდ 8 ადამიანი ცხოვრობდა /81.110/. გაუგებარი გვეჩვენება, თუ აღწერისას დეპორტირებულებიც თურქებს მიაწერეს, რატომღა დემოგრაფიის ინსტიტუტში მოპოვებული მონაცემებით, 336 “თურქი მესხი” ცალკე ეროვნებად აღწერილი /81.110/.

უკრაინის მიგრაციული პოლიტიკა ზემოხსენებული ქვეყნებისაგან განსხვავებით ლოიალურია და რაიმე დაბრკოლებები გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციისათვის ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან, მოხსნილია. რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას დეპორტირებულთა მიმართ იგი ხელისუფლებისაგან განსხვავებულია, თუმცა განსაკუთრებული დაძაბულობა არ შეინიშნება.

## §2. დეპორტირებულთა ეთნიკური ვინაობა

ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილებში, დეპორტირებულთა უფლებრივ მდგომარეობას, მათ სტატუსს და სამომავლო ცხოვრების პერსპექტივას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხშირად ეთნიკურ წარმომავლობას უკავშირებენ. ამ კონტინგენტის ეთნიკური ვინაობის გარკვევას არა მარტო მეცნიერული, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. XIX საუკუნიდან მოყოლებული ქართულ და რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ექვს არ იწვევდა დებულება, რომ სარწმუნოებრივი განსხვავების მიუხედავად მესხეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წარმომავლობით ქართული იყო /14; 24; 74; 75; 76; 77; 57; 87; 88 და ა.შ./. ეს განსაზღვრება ეთნოლინგვისტური რეალების და ისტორიის ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე ლოგიკურ დასკვნას წარმოადგენდა. XIX ს-ის ბოლოს სამეცნიერო ლიტერატურაში (ძირითადად უცხოურში), გაჩნდა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ მცირე აზიის დასავლეთში და თვით ევროპაშიც ცალკეულ ტოპონიმთა ეტიმოლოგია შეიძლება აიხსნას არა ბერძნულით ან სომხური, არამედ ქართული ენით /111.326-328/. იმავე საუკუნის 60-იან წლებში მესხეთის მუსულმანი მოსახლეობის უმრავლესობას ქართული ინგილოებზე უკეთ ცოდნით. მკვლევრები აღნიშნავდნენ რომ (ინგილოებმა) "ახალციხის მაზრის მუსულმანი მოსახლეობის მსგავსად კარგად შემოინახეს ბუნებრივი (ქართული - ლ.ჯ.) ენა" /87.85/.

სავარაუდოდ, ქართული თვითშეგნება დეპორტირებულთა მნიშვნელოვან ნაწილს გასახლების დროისთვისაც (1944 წ.) არ კჭონდა მთლიანად დაკარგული. ამ თვალსაზრისის მომხრეები გადასახლებულების ძირითად ნაწილს ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფად, მესხებად, განიხილავენ და მიიჩნევენ, რომ მათ შორის თითქმის 80%, გამუსლიმანებული ქართველების შთამომავალები იყვნენ, ხოლო დანარჩენი - ქურთი, თარაქამა და თურქი /181/. ამ თვალსაზრისის მოწინააღმდეგეები - პირიქით დეპორტირებულებს მთლიანად თურქებად ან გათურქებულებად თვლიან და რეპატრიაციის კატეგორიული წინააღმდეგი არიან.

მესხეთიდან გასახლებულთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ განსხვავებული მოსაზრება გამოთქმული თურქულ და აზერბაიჯანულ

სამეცნიერო წრეებში. სამხრეთ საქართველოს მუსულმან მოსახლეობას ისინი გენეტიკურად თურქული წარმომავლობის ხალხად აცხადებენ, ხოლო ეს ტერიტორია თურქული მოდგმის ხალხების უძველეს სამკვიდროდ მიაჩნიათ /113. 11-40; 91; 92; 93.84-86; 94; 215/.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამეცნიერო წრეებში (გარდა თურქულისა) XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე გაბატონებული იყო აზრი სამცხე-ჯავახეთის მუსულმანური მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ქართული წარმომავლობის შესახებ. ზოგიერთი დღევანდელი მკვლევარი ასეთ ვითარებას იმით ხსნის, რომ რუსეთის იმპერიას სურდა მესხეთის ტიფლისის გუბერნიაში რეინტეგრაცია /112.7/. ზემოთ მოტანილი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირიქით, რუსეთის იმპერია ყოველნაირად უწყობდა ხელს სამცხე-ჯავახეთის მუსულმანი მოსახლეობის დანარჩენი ქართველებისაგან გაუცხოებას, რათა რელიგიურ ნიადაგზე გაჩენილი უფსკრული სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისით კიდევ უფრო გაღრმავებულიყო.

თურქულ და აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში გამოთქმული მოსაზრებები, სრულიად სხვაგვარ მდგომარეობას წარმოაჩენენ /112.7/, რაც გარკვეულ მიზნებს უკავშირდება. თურქულ პოლიტიკურ ორგანიზმში გაერთიანებული ჯგუფების კონსოლიდაციის მიზანმიმართული პოლიტიკა უკვე მე-20 საუკუნის 10-იან წლებში დაიწყო. ახალგაზრდა თურქთა ორგანიზაცია “ითთიჰად ვე თერაკის” პროგრამაში ნათქვამი იყო, რომ ყველა სხვა ერის წარმომადგენელთა ასიმილაცია თურქულ სახელმწიფოში უნდა განხორციელდეს ისლამისა და თურქული ენის გავრცელებით /113.32/. დღევანდელ ეტაპზე პროთურქულად განწყობილ ავტორთა მთავარი მიზანია მეზობელ სახელმწიფოებში თურქებად გამოცხადებული ჯგუფების (თურქებში იგულისხმება ყველა ვისი სალაპარაკო ენაც თურქულია ან ისლამის მიმდევარია – ლ.ჯ.) ავტოქთონობის დასაბუთება.

ამგვარი დამოკიდებულების ტიპური ნიმუშია აზერბაიჯანელი მკვლევრის ა. იუნუსოვის ნაშრომები /85; 90/. ამ ავტორის მტკიცებით “თურქი მესხების” შორეული წინაპრები, თურქები, სამცხე-ჯავახეთში დასახლდნენ ჩვ. წ-ად II ს-ში. მათ შემდგომ ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ხაზარებმა, შემდეგ საქართველოში XI-XII სს. ჩამოსახლებულმა ყივჩაყებმა და ოღუზებმა. XVI

საუკუნის დამლევს კი გადამწყვეტი იყო ოსმალეთის მიერ მესხეთის დაპყრობის ფაქტი. ერთი სიტყვით, იუნუსოვი რეგიონს განიხილავს ახალი ეთნოსის, "თურქი მესხების"; ეთნოგენეზის ადგილად. ხოლო ამ ხალხის ერთიან ეთნოსად ჩამოყალიბების პროცესი დასრულებულად მიაჩნია /90.161-171/.

ა. იუნუსოვი თავისი ჰიპოთეზის დამტკიცებას ქართული ტოპონიმების ანალიზით შეეცადა. ამრიგად "გაირკვევა", რომ თურქული ტოპონიმებია: სარკინე (სარების ციხე), ბაზალეთი, ხონი, ხუნანი, აწყური, სალიეთი, უნაგირა, ტუბა, ტობა, სხალთუბო, აბასთუმანი, ტოლოში, ზედუბანი, ხელთუბანი, კობი, გობიეთი, წყალტუბო, ბალაჯური, ბალაჩაური /90.163-166; 85.24-30/. ასევე თურქული წარმომავლობისაა "აჭარა", ყველა ტოპონიმი სადაც ურევია "ჭალა" და ა.შ. /85.35/.

რა თქმა უნდა თურქულ-თურქმანულ სამყაროსთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ საქართველოს ტოპონიმიკაში გარკვეული ასახვა ჰპოვა, მაგრამ ზემომოყვანილ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტერმინთა ეტიმოლოგიის ელემენტარული კანონების უგულველყოფასა და ქართული სიტყვებში სპეციფიკური კავკასიური ბგერების (წ,ჭ და სხვა), რომლებიც თურქულს არ ახასიათებს, იგნორირებასთან.

რაც შეეხება ქართულ წყაროებში მოხსენიებულ სომხითს, რომელიც მომთაბარე მესაქონლეთათვის საქართველოში ყველაზე მიმზიდველ ადგილს წარმოადგენდა, მკვლევარი მის ლოკალიზებას სამცხე-ჯავახეთში (совр. Месхетия и Джавახети – А.Ю) ახდენს /90.165/.

ქართულ საისტორიო წყაროებში "სომხითი" X ს-დან გამოჩნდა. არსენ საფარელი ამ ტერმინით მოიხსენიებს, როგორც ისტორიულ სომხეთს, ისე ქვემო ქართლის ნაწილსაც, მტკვრის მარჯვენა მხარეს. "ნაწილსა სომხითისასა" (საწმესოს) არსენის დროისათვის შეესაბამებოდა შუშანიკ დედოფლის მიერ დადგენილი ცურტავის ეპისკოპოსის საყდარი, რომელიც ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდა. ეს იყო მცირე საეკლესიო ერთეული სხვა ეპარქიების – დმანისის, მანგლისის, ბოლნისის, ხნანაკერტის – გვერდით /114 გვ?! (ქართლის) სომხითის შემადგენლობაში მოიხსენიებს: გაგს, ქავაზინს, ტერენაჯანს, ნორბელს, მანასტომს, ტაელინჯარს, გაჩიანს, ციხე-ქალაქებს – ლორესა და სამშვილდეს და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ე.ი. მთელ ქვემო ქართლს. "სულთანი მოადგა სამშვილ-



დეს და წარიღო ... მოაოხრა სომხითი და წარვიდა” – მოგვიტ-  
ხრობს იგი /115.318/. “მატიანე ქართლისაის” ავტორი ამავე შემო-  
სვეის აღწერისას ამ ტერიტორიას ქართლს უწოდებს /116.255/.  
ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით ამ შემთხვევაში წყაროები მოგვიტ-  
ხრობენ სულთანის მიერ ქართლის ერთი კუთხის, სომხითის ან  
“ქართლის სომხითის” მოოხრების ამბავს /117.309/. ამ მხარეს სომ-  
ხითი მოგვიანებით შეერქვა, რადგან ადრეფეოდალურ ხანაში აქ  
სომხების უპირატესობა დამყარდა, რაც კერძოდ სომეხ კვირიკიანთა  
სამეფოს დაარსებაში გამოიხატა. თავად სომხები ამ ქვეყანას გუ-  
გარქს, ქართლს, კანგარს, ჩრდილო მხარენს უწოდებდნენ, მაგრამ  
არც ერთხელ არ მოიხსენიებენ არც ქართული “სომხითით” არც  
სომხური “ჰაიასტანით”, იცინ რომ აქ არმენია კი არ არის, არამედ  
ქართლი, ქვემო ქართლი, ან “ქვენა სოფელი”, ხოლო მათთვის  
“ჩრდილო მხარე” /117.304/. ამდენად, აშკარაა, რომ აზერბაიჯანელი  
ავტორი შემცდარია, ქართული საისტორიო წყაროების სომხითის  
ლოკალიზება უნდა მოხდეს ქვემო ქართლში და არა ისტორიულ  
მესხეთში.

მიუტყვებელი ტენდენციურობა და პანთურქისტული განწყობი-  
ლება იგრძნობა “დიდ თურქობაზე” მსჯელობისას. ა. იუნუსოვი  
წერს – “Всего же в XII-XIII вв. в Грузию переселилось не менее  
350 тыс. кыпчаков и в основном в районы, где ныне в Грузии  
живут азербайджанцы и жили до 1944 г. ахыскинские (месхетин-  
ские) турки. Если учесть, что ранее, в XI-XII вв. на юге и востоке  
Грузии осели десятки тысяч огузов, то станет ясно, почему древ-  
негрузинские летописцы того времени делят Грузию на “Картве-  
лоба” (букв. “Собственная Грузия”) и “Диди Туркоба” (букв. “Ве-  
ликий (!) Туркестан”)” /90.167/ და შენიშვნის სახით დასძენს, რომ,  
“Современные грузинские историки, негативно относясь к тюр-  
кам, переводят “Диди Туркоба” как “Великое турецкое засилье”  
или “Великая туретчина”, что конечно же неверно” /90.167/. წყა-  
რო სადაც 350 ათასი ყივჩაყის ჩამოსახლებაზეა საუბარი სამწუხა-  
როდ ციტატის ავტორს მითითებული არა აქვს. თუმცა მის მეცნიე-  
რულ “სინდისიერებაზე” ის ფაქტიც მიუთითებს, რომ თავად ქარ-  
თული ენის არმცოდნე, მშობლიურ ენას “ასწავლის” ქართველ ის-  
ტორიკოსებს.

მომთაბარე თურქების გამეზობლება ქართულ პროვინციებს ძალიან დიდ ზიანს აყენებდა და ამიტომაც თავდაუზოგავად იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში უმეტესად სწორედ მესხეთის მთავრები აქტიურობდნენ /118.51-53/.

1989 წ. ფერღანას ტრაგედიისა და ოფიციალური ხელისუფლების მიერ დეპორტაციის აქტის დაგმობის შემდეგ რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ისევ გამოჩნდა ნაშრომები სამხრეთ საქართველოს მუსულმანურ მოსახლეობაზე. XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული მიდგომა, რომელიც ამ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს გენეტიკურად ქართველად აღიარებდა თანდათანობით შეიცვალა. რუსი მეცნიერები ავითარებენ ჰიპოთეზას, თითქოს მათ ეთნოგენეზს განსაზღვრავდა მესხეთის მოსახლეობის რევერსია, ანუ თურქული სუბსტრატის ე.წ. თურქი მესხების შემადგენელი ძირითადი ელემენტის, ბუნებრივი კონცენტრაცია /119.213/.

სხვათა შორის ამ მოსაზრებას მომხრეები საქართველოშიც ჰყავს. ი. კვესელავა, ვარაუდობს, რომ მომხედურთა შემოსევებით გაუკაცრიელებული სოფელებში თურქები მკვიდრდებოდნენ, რის შედეგადაც მესხეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქული მოდგმის აღმოჩნდა /54.148/.

ეთნოკონფესიურ საკითხებზე მსჯელობისას ციფრებით თავისუფალი მანიპულირება და პანთურქისტებისათვის სასურველი სურათის დახატვის მცდელობა, დეპორტირებულთა ისტორიასა და დღევანდლობაზე ძალზე ხშირია. მოვიტან კიდევ ერთ მაგალითს, ა. იუნუსოვი წერს – “Накануне падения Российской империи, в 1916 г., в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифлисской губернии уже проживало 172 тыс. чел. Из них турок было 59 тыс. чел. (34%), армян – 80 тыс. (46%) и грузин – 29 тыс. (17%). Однако турки по-прежнему составляли абсолютное большинство в Ахалцихском уезде – 52 тыс. чел. (72%), тогда как армяне в Ахалкалакском – 76 тыс. чел. (76%)” /90.169/. ეს მონაცემები ავტორს აუღია მარატ ბარათაშვილის ბროშურიდან /57/. ბარათაშვილი თავის მხრივ ამ ნაკვეთში იმოწმებს პ. ინგოროყვას. მაგრამ, რაც მთავარია, იუნუსოვთან თურქებს მიკუთვნებული 59 ათასი ადამიანი პ. ინგოროყვასთან და მ. ბარათაშვილთანაც მუსლიმ ქართველებადაა მოხსენიებული /121.16-17; 57.8/.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, “გურჯისტანის კილაიეთის დიდი დაეთრის” თანახმად მესხეთის მოსახლეობის უმეტესობაში ქართული ანთროპონიმები იყო გავრცელებული. XVIII ს-ის 30-იან წლებში ახალციხის მაზრის მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობას ისევ ქართული გვარები ჰქონდა /27.80/. ამ წყაროს უგულვებლყოფა ჩვეულებრივი მოვლენაა თურქ და აზერბაიჯანულ მკვლევართა შრომებში. ქართული ანთროპონიმებისათვის თურქული ელერადობის მიცემით ცდილობენ ცალკეული ისტორიული პირების თურქული წარმომავლობის მტკიცებას. ასე იქცა მზეჭაბუკი – მირზა ჩაბუკად, ყვარყვარე – კორკორედ, ბეკა – ბეკად (ბეგად – ლ.ჯ.) და ა.შ. /85.36-39/.

რაც შეეხება ქართულ გვარსახელებს, რომლებიც დღემდე ფიქსირდება დეპორტირებულთა შორის (როგორც წესი პოლიტიკური ლიდერების უმეტესობას ქართული გვარსახელები აქვთ – ლ.ჯ.), პანთურქისტ მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ფენომენი 1918-21 წლებში მენშევიკური საქართველოს ხელისუფალთა იძულების შედეგად არის გაჩენილი, ზოლო მეორე კი, უფრო მოგვიანებით, 1938 წ. კომუნისტური საქართველოს მესვეურთა და ქართველი ინტელიგენციის იძულების კვალს ხედავს /112.18; 85.62/. გვარსახელების საკითხი ამ შემთხვევაში სრულიად გაუკულმართებულადაა წარმოდგენილი. რეალურად კი საპირისპირო ვითარებასთან გვქონდა საქმე. მესხეთში კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით 1923 წლიდან მესხეთის მუსლიმანური მოსახლეობა თურქულენოვან უმცირესობად გამოაცხადეს და ოფიციალურ ენად აზერბაიჯანული (თურქული) და რუსული შემოიღეს. ამ პერიოდიდან ახალციხის რაიონში გაიხსნა თურქული სკოლები, აზერბაიჯანიდან მოიწვიეს პარტიული და სამეურნეო მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და ა.შ. 1926 წელს, ახალციხის რაიადმასკომის თავმჯდომარემ შამანოვმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც მუსულმანი მესხები, როგორც აზერბაიჯანელები (ამ ხანებში აზერბაიჯანელებს გვარსახელები ჯერ არ ჰქონდათ) ვალდებული იყვნენ გვარის გარეშე ჩაწერილიყვნენ /63.69/.

1886 წლის საოჯახო სიების ანალიზით დგინდება, რომ ახალციხის მაზრის 16 სოფელში ამ დროისათვის მუსლიმთა დედანა ქართული იყო, 51 სოფელში კი თურქული. თუმცა საგულისხმოა ის, რომ საოჯახო სიაში ყოველმხრივ თურქად გატარებული

პირებიც კი ხშირად ქართველებს წარმოადგენდნენ, რასაც აღწერისას სხვათა შორის მათზე მიწერილი ქართული გვარი გვაგულისხმებინებს /122.33-35/.

ქართულ და აზერბაიჯანულ სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად განსხვავებულადაა წარმოდგენილი გვარსახელების წარმოქმნის მექანიზმი. აზერბაიჯანული თვალსაზრისით ბევრი გვარსახელი წარმოადგენს მცირედ შეცვლილ თურქულ “გილს”, პირველყოფილ გვარს (род). ასე მაგალითად სარაჯიშვილი წარმომდგარია სარაჯ-გილიდან, ხუციშვილი ხუცი-გილიდან, კოტეძე კოტე-გილიდან /85. 60-61/. მოტანილი მაგალითები გვარწმუნებს გვარსახელის ამგვარი ეტიმოლოგიის სიყალბეში. ფუძეში “ხუცესის” და “სარაჯის” არსებობა სწორედ საპირისპიროს ამტკიცებს, რადგან ორივე გვარსახელი ისეთი პროფესიიდან არის ნაწარმოები, რომელიც მუსულმანურ სამყაროში მათი წარმოშობას გამოირიცხავს. მესხური გვარების წარმოქმნის მექანიზმი მთლიანად ემორჩილება ქართული ანთროპონიმების წარმოების კანონებს /123.273-281; 165.305-332/.

ასევე, ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული ვარაუდი, რომ ქართული გვარსახელები, რომელიც 1886 წლის საოჯახო სიებშია დაფიქსირებული, მესხებს ყოველგვარი სტანდარტის გარეშე მიანიჭეს /85.61/. მაშინ როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ თურქული აღწერის მასალებში XVI საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ სახელებს ატარებდა?! მ.ჯიქიამ გამოიკვლია ამ წყაროში დაფიქსირებული ანთროპონიმები და აღმოჩნდა, რომ 260 სახელი ქართულია, ასამდე — ქრისტიანული, ორმოცდაათამდე სომხური, ათამდე ებრაული. აღმოჩნდა ასევე თურქული მოდგმის ხალხთან და ისლამურ სამყაროსთან კონტაქტების შედეგად შემოსული ანთროპონიმებიც: ოცდაათზე მეტი თურქული, ათიოდე ირანული და ორმოცამდე არაბული სახელი /18.284/.

საველე ეთნოგრაფიული მასალა ნათლად მოწმობს რომ, პირიქით, სამცხე-ჯავახეთში არსებობდა ქართული გვარსახელების თურქულ და რუსულ ყაიდაზე გადაკეთების ტენდენცია. ამრიგად, კაკაბაძეები იქცნენ ათუნოვებად (მათ გვარსახელის ქართული ფორმა მოგვიანებით უკვე ათუნიშვილის სახით დაიბრუნეს); კოჭიბროლაძე გოზალოვად გადააკეთეს (მოგვიანებით გოზალიშვილები); ნებიერიძე თელიევი გახდა (ანლა თელაშვილები); საყვარელიძეები — ხითაროვე-

ბად იქცნენ ახლა ხითარიშვილები); გვარამაძე იანულოვად აქციეს, კიკნაძე — ალღეშოვად, ვარდიძე კი ჩილინგაროვად /125; 126.27/.

კ. ბარათაშვილის დაკვირვებით 1886 წ. საოჯახო სიებში სამცხე-ჯავახეთის მუსულმან მოსახლეობაში სამასზე მეტი გვარია დაფიქსირებული /75.19/, ხოლო გ. მამულიას ერთი ცნობის თანახმად დღეისათვის დეპორტირებულ მოსახლეობაში 1094 ქართული გვარი გვხვდება /181.154/.

არსებობს ვარაუდი, რომ ოსმალთა ბატონობის პირობებში, არა მარტო გათურქება-გაოსმალების, არამედ გაქურთების შემთხვევებიც იყო. შ. ლომსაძე ფიქრობს, რომ ქურთების სოფ. ჯოლღაში XIX ს-ში, ზაგურსკის მიერ მოხსენიებული მოძღვარი ოღლი და კოჯორი ოღლი მესხეთში ფართოდ გავრცელებული ქართული გვარების მოძღვრიშილისა და კოჯორიძის ანალოგიურია. შესაძლებელია, აქ ქურთული მოსახლეობის დამკვიდრების შემდეგ ამ სოფელში მცხოვრები ქართული ოჯახების გაქურთების კვალიც ჩანდეს /14.336/.

ნაკლებად შესწავლილ ჯგუფს დეპორტირებულთა შორის წარმოადგენენ აჭარიდან გასახლებული ჰემშინები, “სომეხი მუსულმანები”. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება ამ ჯგუფის სომხური წარმომავლობის შესახებ /112.13/. ჩრდილო აღმოსავლეთ ანატოლიაში მოსახლე ამ ჯგუფის ეთნიკური ვინაობის გარკვევისას მკვლევრების ყურადღება მიიპყრო, იმ გარემოებამ რომ ჰემშინების მეტყველება სავსეა ლაზურიდან ნასესხები გრამატიკული და ლექსიკური ფორმებით, დასახლებული პუნქტები “ლაზური ხასიათისაა”, მატერიალური კულტურა და ყოფა დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ლაზურთან, ლაზურ ფორმას ატარებდნენ გვარსახელებიც /127.57-61; 128.627-629/.

წ. ბაწაში მიიჩნევს, რომ თურქეთში მცხოვრები ჰემშინების დიდი უმრავლესობა ლაზებისაგან შედგება, დანარჩენი ნაწილი კი წარმოადგენს ნარევ ხალხს. მათ ეთნოგენეზში მთავარი როლი ითამაშა სომხურმა გრიგორიანულმა ეკლესიამ, რომელსაც, როგორც ჩანს, მიეკედლა ლაზთა გარკვეული ნაწილი /127.59/.

კრასნოდარის მხარეში ამჟამად მცხოვრები დეპორტირებული ჰემშინები ეთნოკულტურულ იდენტიფიცირებას ახდენენ თურქებთან /112.13/, თუმცა მათ შორის ვინც საქართველოში დაიბადა ბევრი ადამიანი ქართულად ლაპარაკობს და აქვს ქართული გვარები /112.15/.

მართალია, ბევრ მათგანს მიაჩნია, რომ სომხური წარმომავლობისაა, მაგრამ თურქული ეთნოკულტურული ორიენტაცია ზოგჯერ საკმაოდ რადიკალურ გამოხატულებასაც პოულობს. მაგ. სტივ სვერლოვთან საუბრისას ერთმა ახალგაზრდა ჰემშინმა განაცხადა "თუ ვინმე მეტყვის, რომ წარმოშობით სომხეთიდან ვარ, დანას გამოუუსემ" /112.15/

საკვლევ კონტინენტში ამჟამად არსებული ეთნიკური სიტუაცია ღიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთი ავტორის აზრით, მათ კავკასიიდან შუა აზიაში გადასახლების შემდეგ დაკარგეს ქართველებთან ეთნიკური ნათესაობის შეგრძნება და თანდათანობით დაიწყეს თავიანთი თავის გაიგივება ანატოლიელ თურქებთან /78/. საინტერესოა ა. ოსიპოვის დაკვირვება, რომ მესხების უმეტესობა თავს მიაკუთვნებს თურქებს, მაგრამ თვითშეგნება საკმაოდ ბუნდოვანი აქვთ, რადგან არ არსებობს საკუთარი ჯგუფის მაფორმირებელი სტერეოტიპების კომპლექსი. ფერდანას მოვლენების შემდეგ ამ დანაკლისს სწრაფად ავსებს სხვადასხვა მიმდინარეობის მესხური ორგანიზაციების მიზანმიმართული პანთურქისტული მუშაობა /20.21/.

ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ეთნოისტორიულმა პროცესებმა. ახალციხე ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, სადაც ოსმალთა გარნიზონი, სამოხელეო და რელიგიური აპარატი იყო განთავსებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქულ-თურქმანული წარმომავლობის ცალკეული პირები ამ რეგიონში უფრო მეტად მკვიდრდებოდნენ, ვიდრე შედარებით ღარიბსა და მკაცრკლიმატიან აჭარაში. შესაბამისად გაოსმალეების პროცესიც ამ რეგიონში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ სამცხე თავის ეკოგეოგრაფიული მდგომარეობის გამო შედარებით ადვილად ითვისებდა ახალ ლინგვო-კულტურულ ელემენტებს, ვიდრე მთიანი და ამის გამო შედარებით კონსერვატიული აჭარა.

უნდა ითქვას, რომ აჭარისაგან განსხვავებით სამცხე-ჯავახეთის შემოერთებას ქართული საზოგადოება ვერ შეხვდა მომზადებული. იმ პერიოდში აქცენტი ძირითადად გადატანილი იყო საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან გამოხსნისაკენ. 1832 წლის აჯანყების დამარცხების და შემდგომი რეაქციის ხანაში სათანადო ყურადღება არ მიქცევია რუსების მიერ დაპყრობილ ახალციხის მხარეში

ქართული სულის გამოღვიძების საქმეს. ქართული ენის დაკნინება-დამცრობა დიდად განაპირობა რუსულის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ. ქართულმა ხალხის თვალში დაკარგა ფასი, აღარაა ხმარებაში სკოლაში, სასამართლოსა და პოლიცია-ადმინისტრაციაში — გულისტკივილით აღნიშნავდა ალ. ფრონელი. ამის გამო ზოგიერთ სოფლებში (თოლერთა, თხისუბანი და სხვ.) მოხუცებულები XX საუკუნის დასაწყისამდე ქართულად ლაპარაკობდნენ, ახალგაზრდობა კი არა. მუსლიმი გლეხები სუფთა ქართულად ლაპარაკობდნენ აწყურში, იდუმალასა და კლდის სამამასახლისოებში /42.135/..

ნიკო მარის დაკვირვებით XX საუკუნის ბოლომდე სამცხესა და აჭარაში შემორჩენილი იყო ქართული დამწერლობა და სოჯახო ენადაც ქართულს ხმარობდნენ /88.57/.

გაოსმალების პროცესი XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა და თანდათანობით ყოფისა და კულტურის ყველა ელემენტს ეხებოდა. XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის, როდესაც სამცხე-ჯავახეთი რუსეთის იმპერიას გადაეცა, არათურქი მოსახლეობის ენობრივი ასიმილაცია საკმაოდ შორს იყო წასული. ოსმალების იმპერიაში ქრისტიანებიც კი (სომხები, ბერძნები) თურქულად საუბრობდნენ. ის კი არა, იზმირასა და ბურსის გარდა სომეხი სასულიერო პირები ღვთისმსახურებასაც თურქულად ასრულებდნენ. სომხები პირად მიმოწერას აწარმოებდნენ სომხური ასოებით დაწერილ თურქულ ენაზე. იგივე მდგომარეობაში იყვნენ ბერძნებიც /225.172-174/.

ასევე შორს იყო წასული ენობრივი ასიმილაცია სამცხე-ჯავახეთშიც, სადაც ლინგვო ფრანკი თურქული იყო, ხოლო მოსახლეობის ერთი ნაწილში იგი საოჯახო ენის ფუნქციას ასრულებდა. მესხების უმეტესობა ქართულსა და თურქულს (ზოგჯერ კი სომხურსაც) ფლობდა. საოჯახო ენად თითოეული ჯგუფი ძირითადად ხმარობდა საკუთარ ენას: ქართველები — ქართულს, სომხები — სომხურს, ქურთები — ქურთულს (კურმანჯი), ყარაფაფახები, თურქები და მუსულმანი ქართველების ნაწილი — თურქულს.

XX საუკუნის 40-იან წლებამდე სამცხეში მრავლად იყვნენ მოხეტიალე აშულები, რომლებიც რამოდენიმე ენაზე ასრულებდნენ სიმღერებს. ამ დროისათვის სიმღერების უმეტესობას თურქულად მღეროდნენ, იქმნებოდა ასევე ნიმუშები ქართულ ენაზეც /27.243/.


ამასთანავე, ყოფაში შემორჩენილი იყო ქართული ფოლკლორული თუ საწეს-ჩვეულებო ტექსტებიც /100.6-20/. ნაწილობრივ ქართული ტექსტები დღემდეა შემონახული, ნასაკირალში ჩაწერილი მასალის თანახმად მოხუცმა მესხის ქალმა, რომელმაც ქართული საერთოდ არ იცოდა, ჩვენს მთხრობელს ტკივილის გასაყურებლად ქართულად შეულოცა /129/.

1939 წ. გიორგიწმინდაში, ფერსაში, მულარეთში, ფოცხოვსა და სხვა სოფლებში მცხოვრებმა გლეხებმა თხოვნით მიმართეს ხელისუფლებას, მათთვის ქართული სკოლები გაეხსნათ. თავიანთი მოთხოვნები იმით დაასაბუთეს, რომ ამ სოფლების მცხოვრებნი ქართულად ლაპარაკობენ, საოჯახო ენად ქართული აქვთ და სურთ, შეიღებმაც ქართულ ენაზე ისწავლონ /63.70/.

გასახლებამდე ქართულად ლაპარაკობდნენ – ტატანისის, სვირის, გურქელის, გიორგიწმინდის, მულარეთის, საყუნეთის, შურდოს, ზიკილიას, წოთხევის, ნესმას, ჩოხთას, ვალეს, ბოგის, უდეს, ინდუსას, ტობის, ახაშენის, ჭობარეთის, თოკის, ქილდას და სხვ სოფლების მოსახლება /63.103/.

ამჟამად დეპორტირებული მოსახლეობის უმეტესობა თურქულის ანატოლიურ დიალექტზე ლაპარაკობს, თუმცა მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ამ ენაში ქართული ლექსიკის მცირე ფენა (2%-მდე) დღემდე არსებობს /112.6; 20.14/. ახალციხური დიალექტის სპეციფიკურ თავისებურებად ითვლება ის, რომ იქ ფიქსირდება ე. წ. კავკასიური ხშულები (პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ), რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ენა დაფენილია ქართულ სუბსტრატზე /120.26/. ამ დებულებას არ უარყოფენ არც უცხოელი მკვლევარები. კერძოდ, დეპორტირებულთა ყოფით ენაში დაფიქსირებული აბრუპტიული ფონემები ქართველური ენიდან გამომდინარეა. ეს მიჩნეულია ქართული ენის სუბტრაქტის ზეგავლენად, ქართული მოსახლეობის თურქიზაციის პროცესში და ირიბად მიუთითებს იმაზე, რომ ამ ჯგუფის ფორმირებაზე გარკვეული გავლენა იქონია თურქული ენის მატარებელთა მექანიკურმა შემოდინებამ /20.14/.





- გრაფიკი №1 საქართველოში მცხოვრებ დეპორტირებულთა ენობრივი ორიენტაცია
- გრაფიკი №2 სულ გამოკითხულ დეპორტირებულთა ენობრივი ორიენტაცია

საქართველოში რეპატრირებული მოსახლეობაც კი, რომელსაც, ქართულ წარმომავლობაში ეჭვი არ ეპარება, ტრადიციული ყოფისა და კულტურას თითქმის არ განასხვავებს ადგილობრივი ქართველებისაგან (მაგ. აჭარლებისაგან), გარკვეულ უხერხულობას გრძნობს იმის გამო, რომ მათ საოჯახო ენას თურქული წარმოადგენს. ამიტომ ხშირად ადარებენ თავს აჭარლებს, ფერეიდნში გადასახლებულ ქართველებს, იმერხეველებს და ა.შ.

რეპატრირებულები გრძნობენ რა ენის მნიშვნელობას, ცდილობენ მდგომარეობა ისე წარმოაჩინონ თითქოს მათ საოჯახო ენას ქართული წარმოადგენს, რაც, სინამდვილეს არ შეეფერება. გამოკითხულთა 29,8 % უპასუხა, რომ ოჯახში ძირითადად საუბრობს ქართულად. საკონტროლო კითხვის დასმის შემდეგ კი იმავე კითხვაზე დადებითად მხოლოდ 16,3% უპასუხა. უნდა აღინიშნოს, რომ იგივე მიზნით შემოიტანეს სრულიად ახალი ლინგვოფაქტორი “მესხური ენა”. მათ კარგად იციან, რომ მესხები ქართველ ტომად მოიაზრება და თავიანთი სალაპარაკო ენის (თურქულის) მესხურად გამოცხადებით სცადეს მისი სხვა ქართველური ენების, მაგალითად, მეგრულის, თანასწორ დონეზე დაყენება. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთა 15,6% მესხურს მიუთითებს საოჯახო ენად. მიუხედა-

ვად საქართველოში ხანგრძლივი ცხოვრებისა ქართული რეპატრი-რებულთა მხოლოდ 16,3% იცის, რაც გაუცხოების მაღალ ხარის-ხზე მიუთითებს.

თურქულ-ოსლამური გარემოს გავლენით თანდათანობით თით-ქმის მთლიანადაა შეიცვლილი ნათესაობის გამომხატველი ტერმინე-ბი და ნაწილობრივ ნათესაობის სისტემაც. ნათესაობას გამომხატავენ ტერმინით „თოხუმი“ „კოხუმი“ ან „თუხუმი.“ ამ ტერმინის ქვეშ ერთიანდება მთელი სანათესაო, როგორც სისხლის, ისე მოკეთეო-ბითი. ეს ტერმინი გავრცელებულია სამცხე-ჯავახეთის სომხურ მო-სახლეობაშიც /32.136/.

კომპონენტურმა ანალიზმა აჩვენა, რომ დეპორტირებულთა ნათე-საობის სისტემაში შედის როგორც ელემენტარული (ბაბა, იემი, აბლა, დედე და სხვ.), ისე შედგენილი (ემინ ოგლუ, ბიბი კზი და ა.შ.) და აღწერილობითი ტერმინები. ფიქსირდება ასევე ინდივიდუალური (აბა/ანა, ბაბა) ჯგუფური და კლასიფიკატორული ტერმინები\*.

ნათესაობის ეგოცენტრულ სისტემაში სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ელემენტარული ტერმინები აჭარლებში გავრცელებუ-ლის ანალოგიურია /102. 48-57/ და თურქულ – არაბული სამყა-როს მნიშვნელოვან გავლენაზე მეტყველებს. მამრობითი სქესის სის-ხლის ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები – ბაბა/ბაბა (PM), დედე (PMP), ემი/ემია (DMPPM), ტაია (DMPPЖ). ანალოგია გვხვდება მდედრობითი სქესის სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებ-შიც: ანა (PЖ), ნენე (PЖP), ხალა (DЖPPЖ), ბიბი (DЖPPM), ბა-ჯი/ბაჯია (DЖP).

მეორე აღმავალი და დაღმავალი თაობის კოლატერალური აღტერები განისაზღვრებიან ჯგუფური ტერმინებით, ამასთან დამა-კავშირებელი ნათესავის სქესი არსებითია (ხალა=დეიდა, ბიბი=მამი-და, ტაია=დედის ძმა, ემი=მამისძმა), ამასთან მნიშვნელობა არა აქვს სისხლით ნათესაობის სიშორეს (ემია=DMPPM =DMDMPPPM და ა.შ.). ქართული ნათესაობის სისტემისაგან განსხვავებით (მათ შო-რის აჭარულისაგანაც) ეგოს თაობის კოლატერალურ ნათესავთა სქესი რელევანტურია (შდრ. ქართული ბიძაშვილი, დიდაშვილი და

\* ნაშრომში ეს ტერმინები გამოყენებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერა-ტურაში ტრადიციულად მიღებული მნიშვნელობით /102; 103/.

ტაი კზი, ტაი ოგლი, ხალა კზი, ხალა ოგლი და ა.შ.), აჭარული ნათესაობის აღწერილობითი ტერმინებისაგან განსხვავებით ორივე კომპონენტი, როგორც წესი თურქულ-არაბულია (შდრ. აჭარული ტაიაშვილი, ხალაშვილი, ემიაშვილი და ტაი ოგლი, ხალა კზი, ხალა ოგლი და ა.შ.).

ალტერის სქესი პირდაპირი და კოლატერალური ნათესაობის სისტემაში არსებითია მხოლოდ ეგოსა და პირველ დღემავალ თაობაში.

ჩავატარეთ მოკეთებითი ნათესაობის ანალიზიც. გამოირკვა, რომ სისხლით ნათესაობა ალტერსა და ეგოს შორის იზღუდებოდა, რაც ქართულ ნათესაობით სისტემის გავლენით შეიძლება აიხსნას.

მეუღლეების აღსანიშნავად გამოიყენება ინდივიდუალური ტერმინები (ქარ=ცოლი, ქოჯა//ხოჯა=ქმარი). იდენტური ტერმინები მოკეთებით სისტემაში გამოიყენება სხვადასხვა თაობის ალტერის აღსანიშნავად (ენიშტე=სიძე; კან=ცოლისძმა, სიმაძრი და ცოლის სისხლით ნათესავი მამაკაცები; გალიმ=რძალი და აგნატების მეუღლეები).

მოკეთებით ტერმინებიდან აღსანიშნავია “ბაჯანალი” (ქვის-ლი). შედგება ორი ტერმინის ბაჯი (და) და ალა (ბატონი). ეს ტერმინი ფართოდაა გავრცელებული სამცხე-ჯავახეთის ამჟამინდელ სომხურსა და ქართულ მოსახლეობაშიც.

ისლამის გავრცელებასთან ერთად შემოვიდა წინადაცვეთის “დასუნათების” წესი, რომელიც ქრისტიანულ ნათესაობის ინსტიტუტს ჩაენაცვლა. ტერმინი “ქირვა//ქავორ” სამცხე-ჯავახეთში ასევე დღემდეა გავრცელებული და გვხვდება როგორც სომხურ, ისე ქართულ მოსახლეობაში. ეს ტერმინი ასევე გავრცელებულია აჭარაშიც. აღსანიშნავია, რომ მოხდა არა მარტო ტერმინის ჩანაცვლება, არამედ ნათესაობის ნათესაობის ოჯახებს შორის საჭორწინო აკრძალვის გადატანაც. ამჟამად მთხრობლები ამტკიცებენ, რომ ქორწინება ქავორსა და დასუნათებულის ოჯახებს შორის შვიდ თაობამდე იკრძალება (შდრ. ქართულ მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული აკრძალვა).

ზემოთ მოტანილი ანალიზი ცხადყოფს, რომ დეკორტირებულთა ნათესაობის ტერმინები თითქმის მთლიანად თურქულია და გარკვეულ ანალოგებს პოულობს აჭარულ გარემოსთან. ამავე დროს გამოირკვა, რომ მოკეთებით სისტემაში სისხლით ნათესაობა აღ-

ტერსა და ეგოს შორის იზღუდებოდა, რაც ქართულ სისტემის გავლენით შეიძლება აიხსნას.

თურქული ლექსიკა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის, როგორც მუსულმანურ, ისე ქრისტიანულ ნაწილში ოსმალთა ბატონობის დროიდან ვრცელდებოდა. მიწების აზომვისას და ყოველდღიურ ყოფაში გავრცელებული საწყაო ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები, ძირითადად, ასევე თურქული იყო. ნაკვეთების დანაწილებას ხელმძღვანელობდა “იუზბაში”— მამასახლისი, აზომვას კი აწარმოებდა საგანგებო მიწისმზომელი “იფჩი”. სხვადასხვა სოფელში მიწისმზომლებს განსხვავებული საზომი ერთეულები ჰქონდათ, რაც ძალზე ართულებდა საერთო სიტუაციაში გარკვევას. საზომ ერთეულებად იხმარებოდა — ამფა, ახჩა, ჩარეკი, სომარი, უღელი, კოდი, რუმბი და ა.შ. ზოგ ადგილებში ერთ ამფაში 10 სომარი იყო, ზოგან 20 სომარი. სომარი ჩვეულებრივ 16 კოდს შეადგენდა, კოდში ერთი ფუთი (16 კგ.) ქერი ჩადიოდა (ზორბალი შედარებით მეტი). კოდზე მცირე საწყაო იყო “რუმბი”, რომელიც დღიურის შესამედს უდრიდა /141.11; 138.82/.

მესხეთის მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების კულტურა თურქული მომთაბარული ცხოვრების წესისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა. მიწათმოქმედებაზე გადასვლის პროცესი თურქმანულ ხალხებში საკმაოდ ხანგრძლივად გაგრძელდა. ანატოლიაში დღემდეა შემორჩენილი ცალკეული ტომების ნაშთები, რომლებიც მომთაბარეობას ეწევიან /225.104/. თუმცა, მესხეთში გაბატონების დროისათვის თურქებში მიწაზე დამაგრების და ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის პროცესი საკმაოდ შორს იყო წასული /225.104/.

მესხები ძველთაგანვე დახელოვნებულ მიწათმოქმედებად ითვლებოდნენ /133.127/. მეურნეობის ამ დარგის უძველეს ტრადიციებზე მეტყველებს ამირანის გორის ნასახლარი, რომელიც ბრინჯაოს ხანის, მტკვარ-არაქსის, კულტურას ეკუთვნის. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ კომპლექსში ქვის იარაღებთან გვხვდება სპილენძის ნამგალიც. სპილენძის ნამგალი კაჟის ანალოგიურ იარაღთან შედარებით უფრო კმედიით უნდა ყოფილიყო და მისი გამოყენება მიწათმოქმედების მაღალ დონეზე მიგვიითითებს /134.85/.

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში ოთხი ზონა გამოიყოფოდა /135.65/, რაც მიწათმოქმედების დარგების

მრავალფეროვნებას განაპირობებდა. კლიმატური სხვადასხვაობის გამო სამცხე და ჯავახეთი გარკვეულწილად სამიწათმოქმედო კულტურებითაც განსხვავდებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად სამცხეში "ნაყოფიერებს ყოველთა მარცვალთა და არა ყოველგან, ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. და ხილნი რომელნიცა აღვსწერეთ, არიან მრავლად და კეთილნი, არიან წალკოტნი, მტილნი და სავარდენი ... ხოლო ჯავახეთი არს ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვითთა ადგილთა სწუნ წივასა, და მოსავლითაც ვერეთვე, არამედ ნაყოფიერნი და მოუცდენელნი" /1. 659-660,672/.

XVI ს-ის ბოლოდან მესხეთში დაიწყო ტრადიციული ქართული მიწათმოქმედების წესის მოშლა და ოსმალურის დანერგვა. თითქმის მთლიანად დაიკარგა მევენახეობის კულტურა, რამაც თავისებური დალი დაასვა ყოველდღიურ ყოფას. ქართველი კაცისათვის ვაზი და ღვინო არა მარტო მეურნეობის ატრიბუტი იყო, არამედ ყოველდღიურობის აუცილებელი ნაწილი და ცხოვრების წესი. თურქული უღერადობა მიიღო სამიწათმოქმედო კულტურების დასახელებათა ნაწილმა მაგ. ქერი = "არფა", ხორბალი = "ბუგდაი" ან "ბუგდო", ვაშლი = "ალმა" და ა.შ. ნაწილი კი ქართული დარჩა

გადასახელებამდე მუსლიმი გლეხების სამეურნეო ყოფა დანარჩენი საქართველოს ანალოგიური იყო, რაზეც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებული მონაცემები. ამ პერიოდში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში გლეხებს ჰქონდათ შემდეგი კატეგორიის მიწები:

1. საკარმიდამო – აქ შედიოდა ა) შენობა-ნაგებობებისათვის განკუთვნილი ადგილი, ბ) კალო, გ) წივის მოსამზადებელი (ჯავახეთში) დ) საბძელი
2. საბალე ნაკვეთები – მასში შედიოდა, როგორც ხეხილიანი, ისე საბალედ შემოღობილი ფართობები
3. სახნავი – იყოფოდა სარწყავად და ურწყავად.
4. სათიბები
5. საძოვრები /140.56/

ახალციხის მაზრაში საკარმიდამოებს ეჭირა მთელი სანადელო მიწების დაახლოებით 1,79%, საბალეს – 1,86%, სახნავს – 47,9% (აქედან 14,94% სარწყავი იყო, 32,96% – ურწყავი). სათიბები შეადგენდნენ 3,43%, საძოვრები – 36,02%.

ახალქალაქის მაზრაში საკარმიდამო ნაკვეთებს მთელი სანადელო მიწის დაახლოებით 8% ეჭირა, საბაღეს — 0,67, სახნავს — 48,2 (სარწყავი იყო მხოლოდ 0,2%), სათიბებს — 12,3%, საძოვრებს — 37,38% /140.54/.

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, სახნავი მთელი მიწათა ფონდის ნახევარს შეადგენდა, რაც მიწათმოქმედების წამყვან როლზე მიუთითებს. ახალციხის მაზრაში შედარებით დიდი ადგილი ეჭირა მებაღეობას და უფრო მეტად იყო განვითარებული სარწყავი მიწათმოქმედება.

განსხვავება გამოწვეული იყო ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობით (სამცხე ხეობებში მდებარეობს, ჯავახეთი კი ზეგანზე). მესხეთში მორწყვა ძირითადად მთის წყაროებით ხდებოდა. ისეთი მდინარეების გამოყენება, როგორცაა — მტკვარი, ახალქალაქის წყალი, ქვაბლიანი, ფოცხოვი და სხვა, შეუძლებელი ხებოდა ადგილობრივი გეოგრაფიული გარემოს გამო (144.67). სამცხეში მიწების მორწყვისა და მებაღეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის განვითარების მეტი საშუალება იყო ვიდრე ჯავახეთში. “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრით” დასტურდება, რომ უკვე მაშინ არსებობდა სარწყავი წყლით სარგებლობის მკაცრად მოწესრიგებული გრაფიკი და საუკუნეების მანძილზე გამოძუშავებული ცოდნა-გამოცდილება /21.39-42/.

მიწათმოქმედებაში წამყვანი ადგილი მემინდერეობას ეჭირა, ოსმალების მიერ XVI საუკუნის ბოლოს შეწერილი გადასახადების დაახლოებით 70%-ს მარცვლეულზე გადასახადი შეადგენდა /105.13/.

ძირითადად მოჰყავდათ: ხორბლეული — დოლის პური, დიკა, ასლი, თაეთუხი; თავთავიანი კულტურები — ქერი, ჭვავი, ფეტვი და სხვა; ასევე — შერეული ჭვავ-დოლისა და ქერ-დიკის კულტურები. საქართველო ხორბლეული კულტურების გამოყვანის ერთერთ კერას წარმოადგენს. აღ. საქართველოში არუხლოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ. წ. აღ. VI-V ათასწლეულის ხორბლის რამდენიმე სახეობა. აქვე ნაპოვნია კულტურული ხორბლის 8 სახეობა, მათ შორის ტრიტიკუმების მოშინაურების გზაზე შუალედურ რგოლად მიჩნეული, ინიციალური, კილიანი სახეობები /145.12/. საქართველოს ხორბლეული კულტურების კვლევის შედეგად ვ. მენაბდე მივიდა დასკვნამდე, რომ აქ მრავალრიცხოვან სახეობათა სიმრავლეს განაპირობებს ზონობრივი და მეტეოროლოგიური ფაქტორები /146.29/. ამ

ჯიშების გამოყვანა დაკავშირებულია მრავალსაუკუნოვან აგრარულ ტრადიციებთან და სამეურნეო კულტურების ურთიერთგაზიარებასთან. ამის გამო მესხეთში გვხვდება, როგორც ადგილობრივი მარცვლეულის ჯიშები მაგ. ფასენი, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული სახეობები — დოლის პური, დიკა, ასლი და სხვა.

აღსანიშნავია “დიკა”, რომელიც სამხრეთ რაიონების ნათესებში დომინირებს. იგი საქართველოს მარცვლეული კულტურების დარაიონების მიხედვით ჯგავხური დიკის სახელით არის ცნობილი /145.55/. ამ სახეობის ინფილტრაცია სხვა კუთხეებში როგორც ჩანს სწორედ აქედან ხდებოდა. საგაზაფხულო პურის ჯიშში “ფასენი”, მთხრობელთა გადმოცემით საუკეთესო გემოთი და მსხვილმარცვლოვანებით გამოირჩეოდა. გ. ჯალაბადის აზრით, ფასენი უშუალოდ ხორბლის მომყვანთა ვინაობას შეიძლება გამოხატავდეს და იგივე “ფასიანის” ანუ “ბასიანის” სახეცვლილი ფორმა იყოს. მისი ლოკალიზება ხდება არაქსის ზემო წელში, ბასიანის აუზში. ბასიანის მხარეები კი მთელი ისტორიული პერიოდების მანძილზე მესხეთის საზღვრებში იყო მოქცეული /141.18/.

აღ. ხაზანაშვილის დაკვირვებით მსგავსება შეიმჩნეოდა მესხეთის მუსულმანთა და ქართლ-კახეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებში. მესხთა რელიგიური ყოფაშიც კი მკვლევარმა მრავალი ისეთი ნიშანი დააფიქსირა რაც დანარჩენი საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი /100.6-20/. იგივე მდგომარეობა იყო 1924 წლისათვის, როდესაც მესხეთში გ. ჩიტაიას ეთნოგრაფიული ექსპედიცია მუშაობდა. აქ შემონახული იყო ქრისტიანობასა და მუსლიმანობაზე უფრო ადრეული, ქართველური ტომებისათვის საერთო კულტურული ელემენტები, წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები: მნათობთა თაყვანისცემა, მზე-ქალის კულტი, ბედის ვარსკვლავი, რომელიც თითოეულ ადამიანს საკუთრად ჰყავდა ცაზე შერჩეული და მისი შუქის ციმციმის მიხედვით მისნობდა თავის მომავალს; დადასტურდა ქვის, ნაყოფიერების კულტები; წარმოდგენა ავი და კეთილი სულების შესახებ; ალი, როკაპი, მაჯლაჯუნა, ქაჯი, ტყისკაცი, უჩმური, ჭინკა და სხვა /101,223/.

ჯგუფის მონოლითურობის განმაპირობებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ტრადიციული ყოფა და კულტურა გვევლინება. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ საკვლევი ერთობის წევ-

რთა აბსოლუტური უმრავლესობა სუნიტური ისლამის აღმსარებელია. მუსულმანთა სოციალური ინსტიტუტების კვლევისას გასათვალისწინებელია – რა გავლენას ახდენს სოციალურ ინსტიტუტებზე ერთის მხრივ ტრადიციული ყოფა, მეორეს მხრივ ფუნდამენტალისტური ისლამის ქვეყნიებიდან შემოსული ნეოისლამური ტენდენციები.

სოციალური ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ქორწინება და ოჯახი, სადაც ეთნიკური ერთობისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ნიშანი აისახება.

დეპორტირებულთა ოჯახში მკაფიოდაა განსაზღვრული ასაკობრივ-სქესობრივი დიფერენციაცია. ოჯახში არსებობს მამაკაცის კულტი, ქალი ასაკის მიუხედავად ვალდებულია მოემსახუროს მამაკაცს. ასაკოვანი დედაც კი ხაზგასმით ამჟღავნებს ვაჟიშვილებისადმი პატივისცემას. ახალგაზრდა რძლები ყოველგვარ საოჯახო საქმეს ასრულებენ და უსიტყვოდ ემორჩილებიან დედამთილის, უფროსი რძლების და მულების ბრძანებებს. ქალი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს და ხშირ შემთხვევაში დაემორჩილოს ოჯახსა და ნათესავებს. ეს ყველაზე მკაფიოდ აისახება ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებისას, როგორცაა, ოჯახის შექმნა, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და სხვ.

საზოგადოდ მუსულმანური ქორწინება, რეგულირდება შარიათის ნორმებით. მუსლიმური სამართალი კრძალავს მხოლოდ პირველი მუხლის ნათესავეების (დაძმების) და თაობებს შორის (მშობლები და შვილები, შვილები და მშობლების დედმამიშვილები) ქორწინებას. აგრეთვე ქმარს არ შეუძლია მომღვენო ცოლებად მოიყვანოს თავისი ცოლის ახლო ნათესავეები, ვიდრე ცოლი ცოცხალია ან მასთან საბოლოოდ არ გაყრილა. არც ქალს შეუძლია ცოლად გაყვეს ქმრის ნათესავს ვიდრე მეუღლე ცოცხალია, მაშინ როდესაც, ასეთი ქორწინება დაქვრივების შემთხვევაში ერთგვარ აუცილებლობასაც კი წარმოადგენს. ცოლოან შეთანხმებით ქმარს შეუძლია შეირთოს მისი დეიდაშვილი ან ბიძაშვილი, რაც საკმაოდ ხშირად ხდება ქალის უშვილობის შემთხვევაში, რადგან ქალი უპირატესობას თავის ნათესავს ანიჭებს /183.120-121/.

სულ სხვაგვარი სიტუაციაა დეპორტირებულ კონტინგენტში. მიუხედავად იმისა, რომ მასალა რომელიც ქვემოთ მოგვაქვს აღებულია აზერბაიჯანელთა შორის (სოფ. შირინბეი) მცხოვრები მესხები-



საგან, მათში დაცულია ქართული გარემოსათვის დამახასიათებელი საქორწინო შეზღუდვები. კითხვაზე, ვისზე ვრცელდება საქორწინო აკრძალვა, მოხუცებულმა მესხმა გვიასუსხა — ემი ყზიზე (ბიძაშვილზე) არ შეიძლება, ხალა ყზიზე (დეიდაშვილზე) არ შეიძლება, ბალდიზზე (ცოლისდაზე) შეიძლება (რელიგიურად), მაგრამ იკრძალება (ტრადიციით), დაქვრივებული რძლის შერთვაც აკრძალულია, იგი შეიძლება მხოლოდ სხვა კაცს გაჰყვეს ცოლად, ან ისე დარჩეს. ხოლო ტაი ყზის (დედის ძმის შვილის) შერთვა სრულიად მიუღებელია. ასევე არ ექორწინდებოდით იმ ნაცნობ ქართველთა ქალიშვილებზე, რომლებიც უდესა და არალში ცხოვრობდნენ და დოსტები იყვნენ. მართალია, მათთან ქორწინება საერთოდ მიუღებლად არ ითვლებოდა, მაგრამ ვერიდებოდით /184/.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ე.წ. კუზნური ქორწინების ორი ქვეტიპი: კროსკუზნური და ორთოკუზნური. იმ საზოგადოებებში რომელთაც გვაროვნული ეგზოგამია ახასიათებს ორთოკუზნური ქორწინება შეზღუდულია და უპირატესობა დედის ძმის შვილთან შეუღლებას ენიჭება, ასევე ხდება ორთოკუზნური ქორწინება დათა შვილებს შორის, რომლის დროსაც გვაროვნული ეგზოგამია არ ირღვევა. ქორწინების ამგვარი სახე გვაროვნული ეგზოგამიის დაცვის ისლამის დოგმებთან შერიგების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს /185.56-58/. როგორც აღინიშნა დეპორტირებულთა შორის ამ ტიპის ქორწინება იშვიათობაა, თუმცა კუზნური ქორწინების ორივე ტიპი ფართოდ გავრცელებული იყო ამიერკავკასიის და სხვა რეგიონების მუსულმანურ თემებში /186.6; 185.57-58; 187.51; 188.13; 189.118-123/.

საქართველოში კუზნური ქორწინება მიღებული არ იყო. სხვა კუთხეებს შორის გამოწკლისს წარმოადგენდა აჭარა, თუმცა ტაიაშვილებს და დეიდაშვილებს შორის ქორწინება აქაც იკრძალებოდა /190.88-89/. მ. ბექაიას დაკვირვებით აჭარელთა შორის დედის ძმისშვილთან (ტაიაშვილთან) და დედის დისშვილთან (ხალაშვილთან) ქორწინება აკრძალული იყო, მაშინ როდესაც ძმათაშვილებს შორის ქორწინების ფაქტები გვხვდება. მოსახლეობა ამას იმით ხსნის, რომ რძით ნათესაობა გვარიშვილობაზე წინ დგას. თუმცა მკვლევარი ამ მოვლენას მატერიალურ ფაქტორებთან აკავშირებს და მიიჩნევს, რომ გვარის შიგნით ქორწინებას განაპირობებდა

ეკონომიკური ინტერესები – მცირემიწიანობა და საქორწინო გამო-  
სასყიდის ბაშლიხის არსებობა /190.81-83/.

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა შორის მთხრობელთა თა-  
ნახმად “ბიძა დისწულზე ვერ დაქორწინდება, ბიძაშვილზე, მამიდაშ-  
ვილზე და დეიდაშვილზე ქორწინება კი თავისუფლად შეიძლება. მა-  
მაკაცს შეუძლია თავისი თაობის ნებისმიერი სისხლის ნათესავის  
შერთვა გარდა საკუთარი დისა” /191/. ”თათრებში” ადრე მხოლოდ  
ნათესავენს შორის ქორწინება შეიძლებოდა, ამიტომ მათში ქონება  
არ იკარგებოდა. რატომ უნდა მივცე ჩემი გოგო სხვას, როცა მყავს  
კარგი ძმისშვილი. ასეთი ქორწინება ყოველთვის სასიკეთოა. ეყოლე-  
ბათ ლამაზი ბავშვები, მაგრამ გონებრივად ჩამორჩენილი.” აზერბაიჯა-  
ნელთა შორის გავრცელებული ანდაზით “ბიძაშვილის ბიძაშვილზე  
ქორწინება ზეცაში თანხმდება, რადგან კარგი სხვისთვის მისაცემად  
ცოდვია, ცუდის სხვისთვის მიცემა კი სირცხვილია”. როგორც 92  
წლის ჰუსეინ განჯიევმა მოგვითხრო მის ახალგაზრდობაში, როდე-  
საც დიდ ოჯახებში რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა, იყო ოჯა-  
ხის წევრებს შორის მომხდარი ქორწინების შემთხვევები, რაც რა  
თქმა უნდა სწორი არ იყო, მაგრამ მაინც ხდებოდა /191/.

მესხებში, ასევე, იშვიათად ფიქსირდება ლევირატი (უცოლო  
მაზლის მიერ დაქვრივებული რძლის შერთვა) და სორორატის  
(დაქვრივებული სიძის მიერ გაუთხოვარი ცოლისდის შერთვა) შემ-  
თხვევები. მთხრობელთან ძლიერ დაახლოების შემდეგ გვიამბობენ  
ყურმოკრით გაგებულ ამბავს, მაგრამ ყოველთვის კიცხავენ მას. და-  
ვაფიქსირეთ მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც მაზლს გარდაც-  
ვლილი ძმის ქვრივი შეურთავს (ჯერ კიდევ დეპორტაციამდე), თუმ-  
ცა ოჯახის წევრები ამას საიდუმლოდ ინახავდნენ /129/.

საქართველოში (სხვადასხვა კუთხეებში) დაფიქსირებულია  
ლევირატისა და სორორატის შემთხვევები, თუმცა ამ ინსტიტუტის  
შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები  
არსებობს. მ. ბეჭიას აზრით ლევირატი ძველად საყოველთაო მოე-  
ლენა იყო და აჭარაში გვიანობამდე მის შემორჩენას მუსულმანურმა  
რელიგიამ შეუწყო ხელი /190.88-89/. თ. იველაშვილი ვარაუდობს,  
რომ ლევირატისა და სორორატის ელემენტების არსებობა, საქარ-  
თველოში XVI საუკუნიდან ქორწინების სყიდვითი ელემენტების  
(ურვადის) დამკვიდრებას უკავშირდება /192.25-26/.

აზერბაიჯანელთა შორის მიღებულია ხელოვნურად მონათესავეთა შორის ქორწინებაც. ა. ასადოვის გადმოცემით "ყურანი არ კრძალავს ორი დის ქორწინებას ორ ძმაზე და ასეთი შემთხვევებიც ძალზე ხშირია, მაგ. ჩემი ქალიშვილი ჩემი რძლის ძმაზე გათხოვდა" /191/. მამაკაცს შეუძლია თავისი ვაჟი დაქორწინოს თავისი ცოლის ქალიშვილზე, თუ ეს უკანასკნელი ქალს სხვა ქორწინებიდან ჰყავს. ე.ი. მამა-შვილს შეუძლიათ ერთდროულად იქორწინონ დედა-შვილზე.

მუსლიმური ტრადიცია მოზარდს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ გარკვეულ უფლება-მოვალეობებს უწესებს როგორცაა: ლოცვისა და რამადანის დაწყება, მემკვიდრეობის უფლება, საქორწინო ურთიერთობების დამყარება და ა.შ. ამდენად დაქორწინება მხოლოდ სრულწლოვან ადამიანებს შეეძლოთ. ვაჟებისათვის განსაზღვრული იყო – თხუთმეტი, ხოლო გოგონებისათვის – ცხრა წელი. გოგონას ასეთ ადრეულ ასაკში დაქორწინება ემყარებოდა მოციქულ მუჰამედის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას. მან ცხრა წლის აიმაზე იქორწინა და შარიათმა ეს საქციელი კანონად აღიარა /183.104-105/. კავკასიის მუსლიმანურ თემებში გავრცელებულია გამოთქმა "ქალი შეიძლება გაათხოვოს, თუ მას ბოხოხს ესვრი და არ წაიქცევა." შარიათის ნორმით დაწესებულზე მაღალია ვაჟის საქორწინო ასაკიც თვრამეტი-ცხრამეტი წელი /193/.

დეპორტირებულთა შორის გოგონებს ძალზე პატარებს ათხოვებენ, ხოლო მამაკაცები შედარებით მოწიფულ ასაკში ირთავენ ცოლს. მიიჩნევენ, რომ გოგონას მთავარი ფუნქცია გათხოვება და ოჯახის შექმნაა. ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა: "სამი რამ უნდა ისწრაფოს ჭეშმარიტმა მორწმუნემ: მიცვალებულის დაკრძალვა, ნამაზის შესრულება და ქალიშვილის გათხოვება". ნასაკირალის სკოლის პედკოლექტივთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ როგორც წესი, ძალიან ნიჭიერ, მოწესრიგებულ და სწავლისადმი მიდრეკილ გოგონას უფროსები სწავლის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ და ადრეულ ასაკში ათხოვებენ. ტრადიციულ გარემოში აღზრდილი ქალიშვილი კი წინააღმდეგობას ვერ ბედავს. უნდა ითქვას რომ ქალის სწავლისადმი ამგვარი დამოკიდებულება ბოლო ხანებში გარკვეულად იცვლება. სწორედ, სულიერი წინამძღვრის რძალსა და ქალიშვილს ეკუთვნის გამოთქმები: (გოგონა) "სწავლას უნდა გავა-

ყოლო, მე-11 კლასამდე უნდა ვასწავლო, მერე უმაღლესში მინდა გავეშვა და ექიმი გამოვიდეს”, „ბაღნები მისი იმით (გზით) უნდა გაიზარდოს. რომელსაც ვინ უნდა იმაზე უნდა დაქორწინდეს და სწავლითაც უნდა ისწავლოს. ახლა ქალსაც კი აქვს ოჯახში რაც-ხას უფლება. მე მაგალითად ბაღანას შევეკითხები ვისზე უნდა დაქორწინება”. ერთი ჩვენი მთხრობელი, საკმაოდ ავტორიტეტული მამაკაცის აზრით კი, საბოლოოდ ოჯახშიც ყველაფერს ქალი წყვეტს. ასე რომ, რაც უფრო ბნელი და გაუნათლებელი იქნება იგი მით უკან წავა ასეთი ოჯახის საქმე /129/.

მცირე საქორწინო ასაკის გამო ახლადშექმნილი ოჯახი, როგორც წესი, ვაჟის მშობლების გავლენის ქვეშ ექცეოდა, რასაც ხელს უწყობდა თითქმის XX საუკუნის ბოლომდე შემორჩენილი დიდი პატრიარქალური ოჯახისათვის დამახასიათებელი ურთიერთობები. ეს გარემოება გარკვეულწილად განსაზღვრავდა ქალის უფლებრივ მდგომარეობას ქმრის ოჯახში გათხოვებიდან პირველი შვილის დაბადებამდე.

საქორწინო მოლაპარაკებათა პირველ ეტაპზე (შერჩევა, ვაკითხვა) აქტიურობას ქალები იჩენდნენ, შემდგომში საქმეში მამაკაცები ემშებოდნენ. საპატარძლოს სახლში მიდიოდნენ ვაჟის მამა, ბიძები ორივე მხრიდან და სიძე. დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ ეს დელეგაცია სოლიდური შემადგენლობის ყოფილიყო, რათა საპატარძლოს მხარეს უარით არ გამოესტუმრებინა. ანდაზის თანახმად „ცხენის საყიდლად ახალგაზრდები უნდა წავიდნენ, ქალის სათხოვნად კი მოხუცები”. თავის უახლოეს ნათესაებს ეძახდა ქალის მამაც. ამ ცერემონიაში დაუპატიჟებლობას ახლო ნათესაები დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევენ და ასეთი პირი როგორც წესი ნიშნობა-ქორწილზე აღარ მიდის.

ნიშნობისათვის უკეთესია ხუთშაბათი. სანიშნოდ წავლენ მხოლოდ კაცები, ზოგჯერ მიდის დედაც. ნიშნად შეიძლება მიიტანონ ოქროს ბეჭედი, მედალიონი, კათხა (თავსარქმელი). თავსაფარს გოგონები არ იკეთებენ, გათხოვების შემდეგ თავსაბურავის ტარება კი აუცილებლად ითვლება. მოდიან სტუმრად ნათესავი ქალები და კაცები. მიუსხდებიან სუფრას ჭამენ, სვამენ ლიმონათსა და ჩაის /184/.

მუსულმანთა ნიშნობაზე იწვევენ მოლასა და უახლოეს ნათესაებს. ფარდის უკან მდგომი საპატარძლო (იგი მოლას არ ეჩვენე-

ბა) ხმამაღლა და გარკვევით სამჯერ აცხადებს თანხმობას მოცემულ ქორწინებაზე, ამის შემდეგ მოლა კითხულობს შესაფერის ლოცვებს /48.12/. ასეთ შემთხვევაში თეორიულად არსებობს შესაძლებლობა საპატარძლომ ნიშნობის დროს არასასურველი ქორწინება ჩამალოს, რადგან მოლას არ აქვს მისი ნების საწინააღმდეგოდ წასვლის უფლება. პრაქტიკულად ასეთი შემთხვევის დაფიქსირება ჩვენ ვერ მოვახერხეთ. წინათ სასიძო და საპატარძლო მხოლოდ ქორწილის დასრულების შემდეგ საწოლში ხვდებოდნენ პირველად ერთმანეთს.

მუსულმანური ქორწინების მნიშვნელოვან მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს საქორწინო გამოსასყიდი "ყალიმი" ყალიმის რაოდენობა დამოკიდებული იყო საპატარძლოზე (უკეთესი უფრო ძვირია), მის ოჯახზე და ა. შ.

შარიათის მიხედვით მუსლიმური ქორწინების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს სასულიერო პირის მიერ მისი ოფიციალურად გაფორმება – ქებინი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საოჯახო ქონების გაყოფისა და მეუღლეთა დამორების შემთხვევაში.

ქებინში დაფიქსირებულია ქორწინების პირობები და სამზითვო ფულის – მაჰრის – რაოდენობა. რადაგანაც მაჰრი ყალიმის ნაწილი იყო და მას საქმროს ოჯახი იხდიდა, დოკუმენტის შედგენილისას საპატარძლოს მხარე ცდილობს ქალის ინტერესების დაცვის მიზნით თანხა გაზარდოს. მართალია, შარიათი მაჰრის მინიმალურ და მაქსიმალურ რაოდენობას არ განსაზღვრავს, მაგრამ ტრადიციის თანახმად ეს თანხა მზითვეის ღირებულებაზე ნაკლები უნდა იყოს. ეს ინსტიტუტი ქალის ერთგვარ დაზღვევას წარმოადგენს ქმართან გაყრის შემთხვევაში. ქებინის ძალით იგი უსახსროდ არ რჩება და შეუძლია ქმრის ოჯახს მოსთხოვოს, დოკუმენტში ფიქსირებული ქონება /195.140/.

მუსლიმურ საზოგადოებაში, მამაკაცის განუსაზღვრელი ძალაუფლების პირობებში, ოჯახის დაშლის შემთხვევაში, იშვიათი გამოწვევის გარდა, ცოლი თითქმის ვერაფერს ღებულობდა. მუსლიმური სამართლის ნორმებით არსებული გაყრის ოთხი სახეობიდან ორი – მამაკაცს უფლებას აძლევდა ცოლისათვის გაყრის საფასურად საჩუქარი ხაალ – [ცპაალ] ან მუბარათი [მუბატათი] მოეთხოვა. ქალი საჯაროდ წარმოთქვამდა ფორმულას "უარს ვამბობ მაკ-

რზე გაანთავისუფლეთ ჩემი სული". ამის მერე იგი პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ ქმრის ოჯახიდან რაიმე წილის მოთხოვნა არ შეეძლო /183.102-103; 196.180-181/.

ოჯახის დაშლის შემთხვევები თურქებში არც თუ იშვიათია და ტრაგედიად არ აღიქმება. მამაკაცი ზოგჯერ ცოლის მშობლებისაგან მიღებული ფულს ახალი ოჯახის შექმნისას ყალიბისათვის იყენებს /197.156/. მესხებისათვის კი ამგვარი დამოკიდებულება უცხოა. ცოლქმარი შეიძლება სიყვარულით არ შეუღლდნენ, მაგრამ ოჯახის დარღვევა დიდ სირცხვილად და "ხალხის" განსჯის საგნად იქცევა.

თურქებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ მესხებს მრავალცოლიანობისადმი. გასული საუკუნის 70-იან წლებში თურქეთში რეგისტრირებული იყო 150 ათასამდე ოჯახი, სადაც კანონიერი ცოლის გვერდით ჰყავდათ კიდევ ორი-სამი არაოფიციალური ცოლი (კანონით მრავალცოლიანობა იკრძალება). აღნიშნულის გამო უცნაური მდგომარეობა იქმნებოდა, დოკუმენტების მიხედვით ზოგი ცოლი წელიწადში ორჯერ ან სამჯერ "მშობიარობდა", რადგან ყველა ახალდაბადებულს აფორმებდნენ, როგორც კანონიერი ცოლის შვილს /197.152/. მესხების ოჯახი კი მონოგამიურია, ტრადიცია მკაცრად კრძალავს მრავალცოლიანობას.

ამრიგად საქორწინო რიტუალების მოკლე მიმოხილვაც ამკარად მიუთითებს, რომ რიტუალში შემორჩენილია ქართული ეთნიკური გარემოსათვის დამახასიათებელი ნიშნები (საქორწინო შეზღუდვები, ქორწინების სტრუქტურა), თუმცა აგებულია მუსულმანურ თარგზე.

დეპორტირებულებში შემორჩენილია ადრე კავკასიაში ფართოდ გავრცელებული უმძრახობა//განრიდება, რასაც ისინი "გენალობას" ეძახიან. პატარძალი გარკვეული დროის განმავლობაში არ ელაპარაკება მამამთილსა და უფროს მაზლებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალურ ურთიერთობებთან ერთად ტრანსფორმირდებოდა სამეურნეო ყოფაც. დეპორტირებულთა ოჯახებში თითქმის ყველგან, მიუხედავად იმისა, როგორია საცხოვრებლის ფასადი ინტერეიერი ერთნაირია. ოთახების დიზაინში თვალსაჩინოა აღმოსავლური, კულტურის ელემენტები: იატაკზე დაფენილი და კედლებზე გაკრული ხალიჩები (თუმცა იშვიათად ნახავთ ძველებურ ნახელავს), უზარმაზარი ტახტი "სეკვი", ზედ დაწყობილი გრძელი ლეიბებითა და უშველებელი ბალიშებით, მრგვალი,

ან მართკუთხედის ფორმის დაბალი მაგიდები, შედარებით იაფფასიანი ბროლის და ფაიფურის მოოქროვილი ჭურჭელი, ფიალები და წელში გამოყვანილი ჭიქები ჩაისთვის, სპილენძის სურები, შუა აზიიდან წამოღებული ფლავის სახარში ქვაბები. მესხური სახლის აუცილებელი ელემენტია ე. წ. “სეკვი”. ამ ტახტზე შლიან სუფრას სტუმრებისთვის, ის ქალებისთვის თავშეყრისა და მოსვენების ადგილსაც წარმოადგენს; გარდა ამისა, სტუმრიანობის დროს (ქორწილები, დასაფლავება, რელიგიური დღესასწაულები) დასაძინებლად ტახტზე საკმაოდ ბევრი ადამიანის მოთავსება შეიძლება. თითქმის ყველა ოჯახში მოწყობილია კუთხე, სადაც ჩვეულებრივი ხის ტახტია მოთავსებული. აქ უკვე მუსულმანი მესხები მაგიდასთან ტრაპეზობენ. ეს ადგილი ოჯახის წევრების მოსასვენებელი და ახლობლების მისაღებიცაა /198.345/. აღსანიშნავია, რომ ამ ოთახმა შეცვალა ტრადიციული მესხური დარბაზი, რომელთანაც როგორც ფუნქციონალურ ანალოგიას ამჟღავნებს, ასევე ინვენტარის მიხედვითაც მსგავსია /199.190-191/.

ყოველწლიურად აღნიშნავენ “რამაზან ბაირამსა” და “ყურბან ბაირამს”. რამაზან ბაირამი მთვარის კალენდრის მიხედვით მოძრაობს. 2004 წელს რამაზანის ბაირამი 14 ნოემბერს იყო, ხოლო მსხვერპლშეწირვა ანუ “ყურბან ბაირამი” 2005 წლის 20 იანვარს. მუსულმანური მარხვის ანუ რამადანის დღეებში საღამოობით იმართება ხოლმე კოლექტიური ვახშამი (იფთარი), რომელსაც მორწმუნე ოჯახები რიგ-რიგობით აწყობენ. ასეთ საღამოებს ერთგვარი საზეიმო ელფერი დაკრავს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დეპორტირებულთა შორის არ ფიქსირდება ანატოლიაში ფართოდ გავრცელებული ზოგიერთი კალენდარული დღესასწაული, მაგალითად ნოვრუზ ბაირამი (იგივე “ნევრუზი” 21 მარტს) და “ყასიმი” /20.15-16/.

ამრიგად დეპორტირებულთა ტრადიციული სამეურნეო და სულიერი კულტურა მრავალ საერთო ნიშანს ატარებს, როგორც ქართულ, ისე თურქულ ეთნიკურ სამყაროსთან.

დეპორტირებულთა წრიდან გამოსული მ. ბარათაშვილის თანახმად, გადასახლებულთა ერთი ნაწილი დიდი ხნის მანძილზე უწყევად თვლის თავს ქართველად, თუმცა, ასევე, მესხთა შორის თავი იჩინა ახალმა მიმართულებამ – ზოგი თავს თურქად მიიჩნევს. არის ასევე მესამე ნაწილი, ყველაზე მრავალრიცხოვანი, რომელსაც გა-

მოკვეთილი ეროვნული თვითშეგნება არ გააჩნია /57.14/. არსებობს საპირისპირო მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემული ჯგუფის, როგორც დამოუკიდებელი (თურქული) ეთნიკური ერთეულის ფორმირება დასრულებულია /85.123/.

ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრის შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული უამრავი დეფინიციიდან, დეპორტირებულთა ეთნიკური რაობის ანალიზისათვის შევარჩიე ოპტიმალური სქემა. ამ სქემით სოციუმის წევრების ეთნიკური კუთვნილება გამოიხატება შემდეგი მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით: საერთო სახელი, მითი საერთო წარმომავლობის შესახებ, საერთო ისტორია, საერთო კულტურა, გარკვეულ ტერიტორიასთან დაკავშირება, საერთო მსოფლმხედველობა.

### • საერთო სახელი:

საკვლევი კონტინგენტის დასახელება რამდენიმე ფორმითაა გამოხატული: “მესხები”, “თურქი მესხები”, “ახისკელი თურქები”. გავრცელებულ დასახელებებში ფიგურირებს “მესხი” (მესხები, მუსულმანი//მაჰმადიანი მესხები, მესხეთიდან დეპორტირებულები, მესხეთელი თურქები, თურქი მესხები და ა.შ.).

ტერმინი “მესხი” მოცემულ ვარიანტებში მხოლოდ გასახლებულთა სადაურობის, ანუ გადასახლებამდელი საცხოვრებელი რეგიონის მისანიშნებლად შეიძლება გამოიყენებოდეს, რადგან დეპორტირებული კონტინგენტი ეთნიკური შემადგენლობით არაერთგვაროვანი იყო (იქ შედიოდნენ მუსულმანი ქართველები, თურქულ-თურქმანული მოდგმის წარმომადგენლები, ქურთები და ზემოხსენებულ დასახელებებს ხშირად ეთნონიმის მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეთნონიმი მესხი, მისი ფართო მნიშვნელობით, მთელი სამხრეთ-დასავლეთი ქართველური ტომების კრებითი სახელი იყო და თანაბარ-მნიშვნელოვნად იხმარებოდა ისეთ ცნებებთან, როგორცაა: ტაოელნი, შავშნი, სპერელნი, ჯავახნი, კოლა-არტაან-კარნიფორნელნი — მაგრამ, რადგან მესხეთი ძირითადად მაინც სამცხესთანაა კავშირში, მესხთა პირველსაცხოვრისი სწორედ იგი უნდა ყოფილიყო /182.9/.



ასურულ-ბაბილონურ და ძველ ბერძნულ წყაროებში დამოწმებული *muš̄k, meš̄k (mešek), moskhoi* სრულიად კანონზომიერი შესატყვისობაა, რომელიც ერთი ხალხის მეტყველებას ასახვს და ამ ხალხსავე აღნიშნავს. ქართულსა და კავკასიის ზოგი ხალხის ონომისტიკაში ყველა ზემოხსენებული ტერმინის – მუსხ, მესხ, მოსოკ – დადასტურება ამტკიცებს, რომ ასურულ, ებრაულ და ძვ. ბერძნულ წყაროებში დამოწმებული ტერმინების ამოსავალი ხსენებული ქართულ-კავკასიური შესიტყვებებია /97.110-112/.

გვიან შუა საუკუნეებში მუსულმანობილებული ქართველებს, რომლებიც მესხეთშიც მომრავლდნენ "თათარს" უწოდებდნენ, რადგან მაშინდელი საზოგადოებისათვის სარწმუნოება ეთნიკურობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა. თუმცა, ისიც ცხადი ყო, რომ რწმენაგამოცვლილი, გამუსულმანებული, ქართველი გენეტიკური და კულტურული თვალსაზრისით განსხვავდებოდა დანარჩენი მუსულმანური სამყაროსაგან. ისტორიული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურისა და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის საზოგადოების ერთი ნაწილი "თათარში" უფრო განსხვავებულ შინაარს დებდა და მუსულმანი ქართველების დანარჩენ მუსლიმთაგან გამოსარჩევად გაჩნდა ტერმინი "ქართველი-თათარი" /94.33/. თათრებად ან "ქართველ თათრებად" მოიხსენიებდნენ მუსლიმ მესხებსაც XX საუკუნის 20-იან წლებამდე, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით მათ ნაწილს ახალი ეთნონიმი "თურქი" არ მიანიჭეს. ბუნებრივია, თურქად ჩაწერილი მესხი კულტურული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უცებ ვერ გათურქდებოდა. შეიძლება წარმოვიდგინოთ ეთნონიმის ტრანსფორმაციის შემდეგი სქემა: ქართველი (მესხი) – თათარი (ქართველ-თათარა) – თურქი (თურქი მესხი).

ამჟამად ყველაზე გავრცელებული ფორმალური ეთნონიმი "თურქი მესხი". ეს ტერმინი შეგდება ორი ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთს გამოირიცხავს. თურქი არ შეიძლება იყოს მესხი, რადგანაც მესხების ტომი ეთნოგენეტიკურად ქართველური სამყაროს წევრია, თურქი კი თურქულ-თურქმენულის. ტერმინი სრულიად ვერ ასახავს (დეფინიციურად) დებორტირებულთა ეთნიკურ შემადგენლობას. ზემომოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით იგი შედგებოდა ქართველი მუსულიმებისაგან (თურ-

ქულენოვანი და ქართულენოვანი), თურქმანული მოდგმის ადამიანებისაგან (თარაქამა, ყოფილი ოსმალური სამოხელეო აპარატის წარმომადგენელთა შთამომავლები, აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული ადამიანები), ქურთებისაგან, ხემშინებისაგან (ეთნიკურად სომხობაზე ორიენტირებული მუსულმანური ჯგუფი).

ტერმინი თურქი ფართოდ გავრცელებულა დეპორტაციის შედეგ "შუა აზიაში უფრო ხშირად თურქებად გვეწოდნენ, (და მთელი საინფორმაციო საშუალებები... ან "თურქ მესხებად", ან "აზერბაიჯანელებად", "მუსლიმანებად "თუ "კავკასიელებად გვიხსენებდნენ) ასევე გვეწოდნენ "უზბეკებად." მაგალითად, ერთი დელამამიშვილები — ოთხი მმა ზაუტაძე — ოთხ სხვადასხვა ეროვნებას მიათვალეს და ერთი — აზერბაიჯანელად, მეორე — თურქად, მესამე — "კავკასიელად", მეოთხე კი "უზბეკად" ჩაწერეს." — წერს ხ. უმაროვ გოზალიშვილი /63.157/.

ეთნონიმის სახით "თურქი მესხი" არც სამეცნიერო ლიტერატურაში და არც საარქივო მასალაში 60-70-იან წლებამდე არ გვხვდება. როგორც ჩანს იგი 60-იან წლებში წარმოიშვა და დეპორტირებულთა ლიდერებს შორის განხეთქილებასაც ასახავს. იმ ხანებში ეს მოძრაობა გაითიშა პროქართულად (მესხები) და პრო-თურქულად (თურქები). როგორც ჩანს, ეს განხეთქილება საბჭოთა უშიშროების მიერ იყო პროვოცირებული, რათა არ დაეშვათ დეპორტირებულთა "ქართველობის" იდეის ირგვლივ გაერთიანება და ამგვარად საქართველოში მათი დაბრუნებისათვის დამატებითი არგუმენტების შექმნა. სხვათა შორის, ამ ფაქტს ჩვენი ცალკეული მთხრობელებიც ამოწმებენ /129/. განსაკუთრებით პოპულარული გახდა ეს ტერმინი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. დღეისათვის სწორედ იგი გვხვდება ოფიციალურ დოკუმენტებში (თვით ევროსაბჭოშიც), სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის გამოცემებში და ნარკვევებში. საკვლევი ჯგუფის წევრები უფრო ხშირად თვითსახელად ხმარობენ: "ahiska türkləri" (ახალციხელი თურქები), "ahiskalilari" ან "bizim şennik" (ჩვენი ხალხი) /130.13/. აღსანიშნავია, რომ თანხმად ვგუფს დანარჩენი (თურქეთში მცხოვრები) თურქებისაგან დეპორტირებულები განასხვავებენ იქაც კი, სადაც ამას პოლიტიკური კონიუნქტურითა და იძულებით ვერ ავხსნით (მაგალითად უკრაინაში).

### • მითი საერთო წარმომავლობის შესახებ

რადგან ჯგუფის მთავარ მაიდენტიფიცირებელ ნიშნებად მიჩნეულია კონფესიური და ლინგვო ფაქტორები, ამის გამო საქართველოს გარეთ მცხოვრებ დეპორტირებულთა უმეტესობა (86%) თავს თურქად მიიჩნევს. თუმცა ზოგი მათგანი წარმომავლობას სრულადაც არ უკავშირებს თურქებს.

ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მითის ორი ვარიანტი არსებობს, ქართული და თურქული /130.12-13/. ზოგი ვარაუდობს, რომ მათი ხალხი ქართული წარმომავლობისაა და საბუთად მოჰყავთ ქართული გვარსახელები (ჩემი წინაპარი ჭავჭავაძე იყო, ნადირაძე — იყო, ბექაძე — იყო და ა.შ.) /131/. ზოგჯერ არგუმენტად მოჰყავთ ის რომ გადმოსული არიან საქართველოს სხვა კუთხიდან. სანტერესოა გადმოცემა ნადირაძეების გვარის ვალეში დაფუძნების შესახებ, რომელიც ჩაწერილი გვაქვს ვალელ ა. დიასამიძისაგან. ანალოგიური მასალა დაფიქსირდა პელოპონესში (უკრაინა, ხერსონის ოლქი) რ. უსმანოვისაგან (ნადირაძე). ამ გადმოცემის თანახმად ნადირაძეები ვალეში იმერეთიდან გადმოსულან. მათ ტყეში გაზაფხულზე ზორბალი დათესეს. როდესაც ზორბლის აღების დრო მოვიდა სანახავად წავიდნენ და ნახეს, რომ პურის საუკეთესო მოსავალი მოსულიყო. ნადირაძეები ვალეში დასახლებულან და ამის შემდეგ იქ სხვებსაც დაუწყიათ ცხოვრება /131/. აღსანიშნავია რომ, ა. დიასამიძისაგან ჩაწერილი მასალა ამ გადმოცემას უკავშირებს ტოპონიმ ვალის ეტიმოლოგიას, მიწას „ზორბალი მივაგაღე — მივაგაღე — ვალე“ /132/.

კ. ტომილსონთან საუბარში დეპორტირებულმა მესხმა განაცხადა — ჩვენ, არ ვართ აზერბაიჯანელები და არც არასდროს გავხდებით. მაგრამ ჩვენ არც თურქები ვართ, ჩვენ ვართ მესხები, ორი ძმის შთამომავლები, მე ეს ისტამბულის ბიბლიოთეკაში წავიკითხე 1601 წელს დაწერილ წიგნში /130.13/.

დეპორტირებულთა მეორე ნაწილი თავის წარმომავლობას თურქ-ოსმალებს უკავშირებს. მათაც, არგუმენტაცია ძნელად მოეძებნებათ და ხშირად გადმოცემებს იშველიებენ. ყველაზე პოპულარულია გადმოცემა, რომ ქართველებმა სთხოვეს თურქებს ხალხი მიეცათ, რადგან ეს მიწები მოსახლეობისაგან დაკლილი იყო /130.12/. ზოგჯერ აცხადებენ, რომ პირადად მისი წინაპარია მოსული თურქე-

თიდან. უფრო ხშირად კი გვერდს უვლიან ამ საკითხს და საერთოდ არ სურთ საუბარი.

ქართული წარმომავლობის მიჩქმალვის ტენდენცია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეიმჩნეოდა. ლივანელ მოლას დროების კორესპონდენტთან საუბარში უთქვამს — მეცა და ჩემი ქვეყნელებიც შთამომავლობითაც, შეხედულებითაც ქართველები ვართ, მე ეს კარგად მესმის, მაგრამ სარწმუნოება მაჰმადისა გვიჭირავს, რადგან ყოველმა პატიოსანმა კაცმა და განსაკუთრებით ჭეშმარიტმა მაჰმადიანმა ხალხოსნობის წინაშე უპირატესობა უნდა სარწმუნოებას მიანიჭოს ამისათვის მე სულით და გულით ვეკუთნი ოსმალეთს და არა ქართველებს და ჩემ სამშობლოს შეადგენს თანამორწმუნე ოსმალეთი და არა საქართველო /27.81-82/. სოფელ წნისში ლ. ზაგურსკის ურთიერთობა მოუხდა ხელოსანთან, რომელიც მუსულმანი ქართველი იყო. კითხვაზე მისი ეროვნების შესახებ ხელოსანმა უპასუხა, რომ თათარი იყო. მოგზაურმა შეამჩნია, რომ აქაურ მუსულმანებს არ უყვართ თავიანთ წარმომავლობაზე საუბარი, მით უფრო თუ მათი წინაპრები მართლმადიდებლები იყვნენ. ასეთი კითხვებისაგან თავის დაღწევის მიზნით ისინი ხშირად თავს ქართულის არმცოდნედ აჩვენებდნენ, ახალგაზრდობა კი ქართულს აღარ სწავლობდა /35.12/. ამგვარი ვითარების გამო ზ. ჭიჭინაძე იძულებული გახდა მესხებისათვის თავი დაენებებინა. ყველაფერს ამღვრეული თვალით უმზერდნენ, ყველაფერს უარყოფდნენ. ქართველს გაიურს უწოდებდნენ, იტყოდნენ თქვენი არაფერი გვინდა, არც წიგნი, არც ენა, არც სწავლა და არც სამშობლო ქვეყანა. ჩვენ თათრები ვართ, ჩვენი ენა: წიგნი, ისტორია და სამშობლო თათრობა არის, ყველაფერი თათრულია და ჩვენც თათრები ვართო /27.86/.

შ. ლომსაძის დაკვირვებით, თანდათანობით მაჰმადის რჯულს მინდობილი ბევრი ქართველის შეგნებაში ქართველობა მხოლოდ ქრისტიანობის სინონიმი ხდებოდა და როგორც ქრისტიანობას ქართველობასაც თანდათან შორდებოდა. დროთა განმავლობაში ეროვნული შინაარსისაგან დაკლილი სიტყვა “ქართველი” მისთვის ამ ენაზე ლაპარაკს ნიშნავდა. ამიერიდან ქართულს, როგორც “ქართველს” იგი თურქულად “გურჯით” აღნიშნავდა და სწამდა, რომ ღვთის წყალობით ალლაჰის ნათელში იგი ამ ურწმინო გურჯობიდან “იყო შესული და ერთგვარი ცოდვისაგან თავდახსნილი.”

შემდგომ ეტაპზე გამუსულმანებული ქართველი, თავს თვლიდა რა “ოტომანად” თავის გურჯულ წარმოშობას წინაპართა ცოდვად აღიარებდა და ცდილობდა ამ მონანიებით ალლაჰის წინაშე თავის უცოდველობა დაემტკიცებინა. მომდევნო მესამე ეტაპზე თავის “გურჯულ” წარმოშობაზე უკვე უარს ამბობდა და თავს ეთნიკურადც თურქად აცხადებდა /27.87/.

მიუხედავად ამისა, XX საუკუნის პირველ მეოთხედში ჯერ კიდევ სახეზე იყო სამცხე-ჯავახეთის მუსულმანი მოსახლეობის კულტურული ერთობა დანარჩენ ქართველებთან. ახალციხის მაზრის უფროსი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინა პერიოდში წარმოშობით ინგუში იყო. იგი დაუფარავად ამბობდა “საქართველო რომ აქ ჩამოვიდეს, დაუახლოვდეს ადგილობრივ მკვიდრთ საკმარისია 10-15 წელიწადი, რომ მთელი აქაური მაჰმადიანობა გაქართველდეს, ამიტომ ჩვენს მოვალეობას შეადგენს ყოველგვარი კავშირი შევწყვიტოთ საქართველოსთან” /47.106/.

ასევე უნდა უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომები, რომლებიც თავად დებორტირებულ ადამიანებს ეკუთვნის მთლიანად ეთანხმება ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ დებულებას, მათი ქართული წარმომავლობის შესახებ.

#### • საერთო ისტორია

მესხეთის მცხოვრებთა ისტორიული ერთიანობის შეგრძნებაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საუკუნეების მანძილზე განვითარებულმა სოციალ-პოლიტიკურმა მოვლენებმა. თურქთა ბატონობის პირობებში ოსმალეთის ქვეშევრდომის სამართლებრივ მდგომარეობას განაპირობებდა მისი რელიგიური მრწამსი, ეთნიკური კუთვნილება ჩანაცვლებული იყო კონფესიურით /225.170/.

უკვე XX საუკუნის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ ქართველ მუსულმანთა ეთნიკური განვითარების შემდგომი ვექტორები მრავალ ფაქტორზე იქნებოდა დამოკიდებული. ერთ მცირეტანიან მაგრამ მეტად მნიშვნელოვან ნაშრომში ნ. მარი აღნიშნავდა, რომ აჭარლები არიან გაქართველებული (გაქართველები – ლ.ჯ.) მეგრელები სამხრეთ-კავკასიური იაფეტები პონტოური ჯგუფისა, ხოლო სამცხელები – გაქართველებული მესხები გათურქების პროცესში გარინდებულნი, ინგილოები – მეტისირებული ლეზგინები /88.57/.

XX საუკუნის 20-იან წლებში სამხრეთ საქართველოს მუსულმანებს შემდგომი ეთნიკური ისტორიის განვითარების რამდენიმე პერსპექტივა ჰქონდათ ეცხოვრათ – ა) რელიგიურ კულტურაზე (მუსულმანურზე) ორიენტირებულ ქვეყანაში, ბ) საერო სახელმწიფოში, გ) ეთნიკურ-ნაციონალურ (ქრისტიანულ) იდეოლოგიაზე დაფუძნებულ სახელმწიფოში.

1. რელიგიურ კულტურაზე ორიენტირებულ სახელმწიფოში, როგორცაა თურქეთი, თვითგამორკვევა მოხდებოდა რელიგიურად ე.ი. თურქობით.
2. რელიგიურ თანასწორობაზე ორიენტირებულ საერო სახელმწიფოში, თვითგამორკვევა მოხდებოდა მშობლიური ენის გათვალისწინებით, ე.ი. მოძმე ქართველობით.
3. ეთნიკურ-ნაციონალურ, ქრისტიანულ კულტურაზე დაფუძნებულ სახელმწიფოში თვითგამორკვევისაკენ სწრაფვა იქნებოდა მუსლიმური სამყაროსაკენ, ე.ი. თურქეთისაკენ /88.57/.

პოლიტიკური ისტორია განვითარდა სულ სხვა მიმართულებით, რამაც მესხეთის მუსულმანი მოსახლეობის მარგინალიზაცია გაახანგრძლივა. ამჟამად ისინი დისპერსიულად არიან განსახლებული საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, მაგრამ ერთიანობის შეგრძნება, რომელიც მათ ერთ-ერთ თვისებას წარმოადგენს სწორედ ისტორიას, საერთო ბედს, უკავშირდება.

### • საერთო კულტურა

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, მესხეთის მოსახლეობის, ძალიან სწრაფი, რამდენიმე თაობაში მომხდარი კულტურულ-ლინგვისტური თურქიზაციის შესახებ. ეს მოსაზრება დამაჯერებლად არ ჩანს თუ კარგად არ გავეითვალისწინებთ XIX საუკუნის საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და კულტურულ კონიუნქტურის ცვალებადობას. ცალკეულ ერთობათა მთავარ მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს კულტურის ელემენტები შეადგენენ.

ზემოხსენებული ისტორიული პროცესებიდან გამომდინარე შეიქმნა ორიგინალური კულტურა, რომელსაც მრავალი საერთო გააჩნია ქართულ, თურქულ, შუა აზიის ხალხებისა და რუსულ კულ-

ტურებთან, მაგრამ ამასთანავე განსხვავდება თითოეული მათგანისაგან.

- **გარკვეულ ტერიტორიასთან დაკავშირება**

რეპატრირებულები თავიანთ მომავალს წარმოიდგენენ ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე, რომელიც ძირითად სამშობლოდ მიაჩნიათ.

შემორჩენილია ხსოვნა დეპორტირებულთა ძირითადი მასის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ. პირველ რიგში განასხვავებენ “იერლს” და “გიელინს”. იერლს = ადგილობრივი, მიეკუთვნებიან მესხეთის ძირძველი მკვიდრნი, რომლებიც არსაიდან არ მოსულან; ხოლო გიელინი = მოსულნი, არიან მესხეთში მოგვიანებით ჩასახლებული ეთნიკური ჯგუფების (ქურთი, თარაქაძა, თურქი და ა.შ.) წარმომადგენლები /198.339-349/. დეპორტაციის შემდეგ თანდათანობით წაიშალა ფსიქოლოგიური საზღვარი ამ ორ ჯგუფს შორის, რადგანაც თვითონ დეფინიციამ, “იერლი” დაკარგა მნიშვნელობა. აღნიშნულის გამო, გაფერმკრთალდა მიჯნა წარმომავლობით ქართველებისა თურქებთან, მაგრამ გარკვეული ღირებელობა შეინარჩუნა გასახლების ადგილმა. მაგ. აწყურლები, საკუნეთლები, აბასთუშნელები და ა.შ.

თვით ის ადამიანებიც კი რომლებიც რეპატრირებული არიან საქართველოში და უკვე დიდი ხანია ცხოვრობენ სამშობლოში, გააჩნიათ მეურნეობა, შემოსავალი და ა.შ. ხშირად გამოთქვამენ სურვილს მესხეთში დაბრუნების შესახებ (თუმცა მათ ამას არავენ უკრძალავს). საქართველოში მცხოვრებ რეპატრირებულთა 37,7%-მა 2001 წელს განაცხადა, რომ სურს დაბრუნდეს მესხეთში. აღსანიშნავია, რომ 2005 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა ვისაც მესხეთში გადასახლება სურს შემცირდა 31 %-მდე.

- **საერთო მსოფლმხედველობა:**

საკვლევი კონტინენტის კონსოლიდაციის საკმაოდ მაღალი ხარისხი უეჭველად ეფუძნება გარკვეულ იდეოლოგიურ წანამძღვრებს. “ერთიანობის” იდეოლოგიის საფუძველი, და სამცხე-ჯავახეთის დანარჩენ მოსახლეობასთან ლოგიკური (თუნდაც ფსიქოლოგიური ასპექტით) დაპირისპირების პირველი საფეხური უეჭველად

იყო რელიგია. ცნობილია, რომ ნეოფიტი ბევრად უფრო მეტი რადიკალიზმით გამოირჩევა და უპირისპირდება ყოფილი ერთობის წევრებს. ამის მტკიცება ბევრგან გვხვდება ზ. ჭიჭინაძის მიერ შეკრებილ მასალაში. ტიპურია შავშელი მთხრობლის მოგონება: — "აჭარლებზე უარესები მაჭახლელები იყვნენ, სადაც დაგვიჭერდნენ გვცემდნენ, გვცარაცავდნენ, გვზოცავდნენ, ვინ იცის რაებს არ გვიშვებოდნენ. მთლად აგვიკლეს, არ მოისვენეს, აღარც ჩვენ გვასვენებდნენ — შავშელნო რად არ მაჰმადიანდებითო! ამიტომ ყველაფერ ცუდ საქმეებს ჩადიოდნენ" /200.36/. მსგავსი მონაცემები სხვა დოკუმენტებშიც მრავლად მოიპოვება /27.323-335/.

მესხების მუსულმანურ ჯამათში სოლიდარობის გრძნობის გაღრმავების შემდეგი ეტაპი უკავშირდება ქრისტიანული სახელმწიფოს, რუსეთის ქვეშემდომებად ქცევას. ახალ პირობებში ბუნებრივია, ერთობის დამახასიათებელი ყველა მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გამძაფრებულად დაცვა და შენარჩუნება ხდებოდა.

ისლამის ინდივიდუალური და კოლექტიური რეალიზაციისათვის აუცილებელია ისლამური სახელმწიფო. მაგრამ ქრისტიანული სახელმწიფოს ქვეშემდომად ქცეული მუსულმანი დარ ულ-სალამდან ე.ი. (მშვიდობის სამყაროდან) ავტომატურად აღმოჩნდება დარ ულ-ჰარბ-ზე (ომის სამყაროში). ჯერ კიდევ 1484 წ. მუსლიმი ღვთისმეტყველი ალ-ვანჰარისი, აცხადებდა რომ მუსულმანმა ამგვარ შემთხვევაში უნდა შეასრულოს ჰიჯრა (დატოვოს არამუსლიმანთა ტერიტორია), თუ ამის ფიზიკური შესაძლებლობა არსებობს. მაგრამ, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ხშირად შეუძლებელი იყო. ამიტომ მუფტიმ, ახმედ იბნ ჯუმაირმა გამოცა ფეტვა, რომელიც ნებას აძლევდა მორწმუნე მუსულმანებს, ეცხოვრათ ქრისტიანების დაპყრობილ ტერიტორიაზე. უკიდურეს შემთხვევაში იგი უშვებდა ისლამზე უარის ფორმალურად განცხადებასაც კი. მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მუსულმანს აიძულებდნენ მიუღებელი რამ ჩაედინა (ეჭამა ღორის ხორცი დაეღია ღვინო, მონაწილეობა მიეღო წირვაში და ა.შ.) თავისი ამგვარი ქმედებებისადმი დისტანცირება მას სულში უნდა გაეკეთებინა /201/.

რუსეთის იმპერიასა და მუსლიმურ თემს შორის ურთიერთობის მექანიზმები ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან ჩამოყალიბდა /202.41; 203.60/. თუმცა, ქრისტიანული სახელმწიფოსადმი უნდობ-




ლობა მუსლიმურ ჯამაათს ყოველთვის ჰქონდა და ამიტომ, ორიენტირებული ძირითადად ერთმორწმუნე თურქეთისაკენ იყო.

საბჭოთა ათეისტურ სახელმწიფოში ცხოვრებამ, რელიგიურმა დევნამ და ზემოხსენებულმა ეთნოლინგვისტურმა ექსპერიმენტებმა უფრო გაზარდა დისტანცია მესხეთის ქრისტიანულ მოსახლეობასთან. გაძლიერდა მუსლიმების, როგორც მესხეთის დანარჩენი მოსახლეობისაგან (ქრისტიანი ქართველები, სომხები და სხვა) განცალკევებული ჯგუფის იდეოლოგიური კონსოლიდაცია.

დეპორტაციის წლებში მათი "ხალხის" ბოლო თაობათა თავგადასავალი და სწრაფვა სამშობლოში დაბრუნებისათვის, კულტურულ-რელიგიური ხასიათის ელემენტებთან ერთად, ახალ გამაერთიანებლად იქცა. რეპატრიაციის იდეა გახდა ძირითადი შემაკავშირებელი დულაბი მთელი ამ კონტინენტისათვის. მოცემულ მომენტში დეპორტირებულები გაერთიანებული არიან რეპატრიაციის იდეის ირგვლივ. რეპატრიაცია გაიგება როგორც აღქმა დადებული საკუთარი ხალხისა და წინაპართა ხსოვნის მიმართ, რომლის შესრულებაც აუცილებელია. საქართველოში (მესხეთში) დეპორტირებულთა დაბრუნებას მხარს უჭერენ ის რესპოდენტებიც, რომელთაც თავად არ სურთ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა.

როგორც მოტანილი ანალიზი გვიჩვენებს, საკვლევი ჯგუფი წარმოადგენს კულტურულ-იდეოლოგიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ერთობას, რომელიც ძლიერაა ორიენტირებული (ლინგვისტურ-იდეოლოგიურად) თურქეთზე. ისტორიული და ტრადიციული კულტურის თვალსაზრისით მას ბოლომდე არ დაუკარგავს ქართული ეთნოსოციალური ერთობისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ამ ჯგუფის ეთნიკური პერსპექტივა, როგორც ჩანს მთლიანადაა დამოკიდებული უახლოეს მომავალზე.



### §3. ეთნოკულტურული იზოლაცია და ნეგატიური სტერეოტიპების ფორმირების მექანიზმები

გლობალიზაციის გაცხოველებული პროცესი, რომელიც ადამიანური კონტაქტების და კულტურულ ურთიერთობათა გააქტიურების ფონზე მიმდინარეობს განაპირობებს ადრე შედარებით იზოლირებული კულტურული სისტემების გახსნას. მიუხედავად ამისა, ცალკეული კულტურული სისტემები ისწრაფვიან თვითმყოფადობა სწორედ იზოლაციის გზით შეინარჩუნონ. ამგვარი თვისება განსაკუთრებით დამახასიათებელია ეთნიკური ჯგუფებისათვის, რომლებიც უცხო ეთნოსოციალურ გარემოში აღმოჩნდნენ და კომპაქტურად აგრძელებენ ცხოვრებას. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ინტენსიური ურთიერთობის საშუალებას აძლევენ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე დაფანტულად განსახლებულ ერთობის წევრებს. კომუნიკაციების ასეთმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა

ვრცელ ტერიტორიაზე დისპერსიულად განსახლებულმა ერთობამ, კომპაქტურად განსახლებულის ზოგიერთი თვისება შეინარჩუნოს (ტრადიციულ რიტუალებში მონაწილეობა, საქმიანი და ნათესაური კონტაქტები და ა. შ.). სწორედ ამ ნიშნით ხასიათდება ჩვენი საკვლევე კონტინგენტი, რომელიც დისპერსიულადაა განსახლებული ვრცელ ტერიტორიაზე.

სოციალური ადაპტაციის ამპლიტუდა მერყეობს მიგრანტებსა და ადგილობრივ ჯგუფებს შორის ხელოვნური და სისხლით ნათესაობითი კავშირების მზარდი სიხშირითა და სულიერი კულტურის სფეროში მრავალგვარი ნასესხობით განპირობებულ ერთიან ეთნოსოციალურ ორგანიზმში ინტეგრაციიდან, მიგრანტთა სოციალური ორგანიზაციის სრულ იზოლაციამდე.

როგორც ცნობილია, ეთნიკური კულტურები პირობითად შეიძლება დაიყოს ღია და დახურულ სისტემებად. ამასთან, ღია სისტემები ხასიათდებიან ახალი და განსხვავებული ელემენტების ათვისებისაკენ სწრაფვით, დახურული – კი პირიქით ეწინააღმდეგება ურთიერთობებს, რომელთაც შეიძლება სისტემის ცვლილებები გამოიწვიონ.

ეთნოტერიტორიული ერთეულების იერარქიული სისტემის არსებობა თავისთავად ტიტულარული მოსახლეობის მიერ საფრთხის შემცველად აღიქმება. ამ დროს ნომინალური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები გარკვეულ კულტურულ და პოლიტიკურ პრივილეგიებს გრძნობენ თავის ტერიტორიაზე /205.19/.

მიგრანტების ადგილობრივი მოსახლეობისაგან განკერძოება-იზოლაცია (კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური) ჩვეულებრივი მოვლენაა. ჯგუფის ჩაკეტილობა გაუცხოებისა და შესაძლო დაპირისპირების წარმომშობ მთავარ მიზეზს წარმოადგენს. უფრო მეტიც სოციალური იზოლაცია და სოციოკულტურული განსხვავება ერთი მხრივ ნეგატიური სტერეოტიპების და დაპირისპირების სტიმულატორია, მეორე მხრივ კი მთავარ როლს ასრულებს უცხო ეთნოკულტურულ გარემოში ჯგუფის თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და ეთნოკულტურული სპეციფიკის შენარჩუნების საქმეში /158.5-11/.

როგორც წესი, არც ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს მიგრანტთა სოციუმის იზოლირებულად ცხოვრების წესის დარღვე-

ვას და ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციას. ინფორმაციის ნაკლებობა, იზოლირებულობის მაღალი დონე, მხარეებს შორის გაუცხოება, ხელს უწყობს არარეალური (მითიური) სიუჟეტების გავრცელებას ერთმანეთის ყოფის შესახებ. ზოგჯერ სრულიად შემთხვევით მომხდარი, ან არაადეკვატურად ინტერპრეტირებული ცალკეული ფაქტების საფუძველზე იქმნება ნეგატიური სტერეოტიპები. ამგვარი პეტეროსტერეოტიპების ფორმირებას უფრო ნოყიერი ნიადაგი ექმნება კულტურულ-კონფესიური და ანთროპოლოგიური განსხვავების პირობებში.

დღეისათვის გაურკვეველია დეპორტირებულთა საერთო რაოდენობა, ზოგ რეგიონებში კი მათ რიცხვს განგებ აზვიადებენ. ამ მხრივ არაერთგვაროვანი ვითარებაა რუსეთში, საქართველოში, უკრაინასა და აზერბაიჯანში. განსხვავდება – მთავრობების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ადგილობრივი მოსახლეობისა და დეპორტირებულთა ორგანიზაციების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

პრესასა და ელექტრონულ მედიაში ხშირია სტატიები მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფის შესახებ. განსაკუთრებული ისტერიაა ატეხილი რუსეთის სამხრეთში მოსალოდნელი ეთნიკური და შემდგომ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შესახებ /206/. სინამდვილეში დეპორტირებულთა საერთო რაოდენობა ამ რეგიონებში დაახლოებით 18 ათასი ადამიანი იყო (უკანასკნელ ხანებში აქედან 5000 მესხი ამერიკაში წავიდა საცხოვრებლად), ე.ი. მთელი მოსახლეობის 0,3%. ისეთ დასახლებულ პუნქტებშიც კი სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ, პროცენტულად მოსახლეობის მხოლოდ 6,5% შეადგენდნენ /207/. ვითარების დრამატიზების მიზნით ავტორები ხშირად მიმართავენ სხვადასხვა სახის ინსინუაციებს მაგ. „Русских в Москве в 1989 году – 90%, в 2002-м – 40%, в 2020-м – ?“ /208/.

ბევრად უფრო ადვილი იყო ამ საკითხის აყიტირება, საქართველოში. „მოსალოდნელი ეთნოდემოგრაფიული კატასტროფისადმი“, საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ისახავს მიზნად პუბლიკაციების ერთი ნაწილი, რომლებიც 1989 წლიდან დრო და დრო გამოჩნდება ხოლმე ქართულ საინფორმაციო სივრცეში /209.5; 210.3; 211; 212/.

განსხვავებული ვითარებაა ამ მხრივ უკრაინაში. უკრაინაში სხვადასხვა წყაროების მიხედვით სულ 10 ათასამდე დეპორტირებული მესხი ცხოვრობს /213.37; 81.109/. რა თქმა უნდა მიგრანტთა ეს რაოდენობა მედიისათვის „საფრთხობელად“ ვერ გამოდგება. როგორც თავად დეპორტირებულთა წარმომადგენლები ამბობენ მათ ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლებისაგან სრული მხარდაჭერა აქვთ და შეზღუდვას არ განიცდიან. სამაგიეროდ „თურქების“ შობადობის მაღალი მაჩვენებლები ერთგვარ გაღიზიანებას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში. პირად საუბრებში ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ და ვარაუდობენ, რომ სამთავრობო წრეების ამგვარი ინდიფერენტულობა ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას გამოიწვევს.

აზერბაიჯანული საზოგადოება იმთავითვე მიისწრაფოდა ამ კონტინგენტის სრული ასიმილაციისაკენ, რაც უნდა განხორციელებულიყო ეთნიკური (პროთურქული) სოლიდარობის გაძლიერებით. ამგვარ დამოკიდებულებას ხელს უწყობს ლინგვისტური, ფსიქოლოგიური და ცალკეული კულტურული ფაქტორები.

განსხვავებულ კულტურულ გარემოში მოხვედრილი ჯგუფისა თუ ინდივიდისათვის დამახასიათებელი ხდება ე. წ. მარგინალური მდგომარეობა.

XX ს. ის დასაწყისში ამერიკელმა სოციოლოგებმა რ. პარკმა და ე. სთონკსეითმა ჩამოაყალიბეს ე. წ. სოციოკულტურული მიდგომა "მარგინალიზმი", რომელიც გარკვეულ სიტუაციაში მოხვედრილ ინდივიდის ან ჯგუფის მდგომარეობას ახასიათებს. ამ თეორიის მიხედვით მარგინალ პიროვნებას ვიპოვით იქ სადაც კულტურული გადასვლები და კონფლიქტებია /226.7/.

კულტურული ანთროპოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა სთონკსეისტიის დებულება. იგი მარგინალის ევოლუციის სამ ფაზას გამოჰყოფს: 1. როდესაც მარგინალი ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რომ რასობრივი ან ეთნიკური კონფლიქტი საკუთრივ მას ეხება. 2. კონფლიქტის შეცნობა და 3. კონფლიქტის წარმატებული ან წარუმატებელი გადაწყვეტა. კულტურული კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს დომინირებულ ჯგუფთან სრული ასიმილაციით ან ნაწილობრივი, დროებითი ბალანსირებით ორ ჯგუფს შორის /226. 6/. ემიგრანტების შემთხვევაში თავად ემიგრირების ფაქტი თითქოს უნ-

და განაპირობებდეს მათ შემდგომ ასიმილაციას უცხო კულტურულ გარემოში, მაგრამ ხშირად ეს საკმაოდ წინააღმდეგობრივი პროცესია, დროში გაწელილი.

მიუხედავად იმისა, რომ მკაფიო საერთო ჯგუფური ეთნიკური თვითშეგნება ჩამოყალიბების პროცესი ჯერ დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, არასასურველი ეთნონიმის მინიჭება უკმაყოფილებას იწვევს. მაგალითად საქართველოში რეპატრირებულები უკმაყოფილებას გამოხატავენ, როდესაც მათ მოიხსენიებენ – თათრებად, თურქ მესხებად, თურქებად. აზერბაიჯანში, რუსეთსა და უკრაინაში ზოგჯერ ასეთივე დამოკიდებულებას ამჟღავნებენ როდესაც მათ უწოდებენ – მუსულმან ქართველს ან მესხს. ნ. ვანნაძის (რეპატრიანტი მესხის) წიგნში ნათქვამია, რომ მის ოჯახს დმანისში ცხოვრებისას მეზობლებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, „რომ არა ასეთი გამოთქმა “მერე რა, რომ თათრები (მუსულმანები, თურქები) არიან კარგი ხალხიაო”. ამ სიტყვების გარდა, სხვა რამ წყენა მათგან არ გვახსოვს, იმის გარჩევა არ დაგვიწყია “თათრებს” რატომ გვეძახდნენ. ამასობაში იარლიყებს შევეჩვიეთ კიდევ და ყურადღებას აღარ ვაქცევდით“ /65.86/. მეორეს მხრივ, მე თვითონ შევსწრებივარ მომენტს, როდესაც სოფ მულარეთში რეპატრირებულ მუსულმან მესხს, მისი ცოლი (წარმოშობით ვალელი ქრისტიანი) თათარს ეძახდა /214/.

ჯგუფთაშორისი ინტოლერანტობის აქტივიზაციაზე გავლენას ახდენენ სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა: პოზიტიურობა – ნეგატიურობა და ეთნიკური იდენტურობის მკაფიოობა – ამბივალენტურობა; დისკრიმინაციის ხარისხი და რელიგიურობის დონე. პოლიკულტურულ რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები ურთიერთობის შემდგომ სტრატეგიებს იყენებენ: 1. სხვა ჯგუფებთან სოციალური დისტანციის შემცირება ან გაზრდა; 2. საკუთარი კულტურის შენარჩუნების განწყობა და განწყობა ეთნიკური ან კონფესიური ნიშნით.

განსხვავებულ ეთნოკონფესიურ ჯგუფებში შეკრებილი ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად მკვლევრებმა გამოავლინეს ჯგუფთაშორისი ურთიერთობის შემდეგი მექანიზმები: 1. საკუთარი კულტურის დაცვა და “უცხოთა” კულტურული ელემენტების მიღებაზე უარის თქმა 2. საკუთარი კულტურული განსაზღვრულობის მოძიება და დაც-

ვა. 3. ეთნიკური და კონფესიური ნიშნით დისტანცირება 4. პოზიტიური და მკაფიო ეთნიკური იდენტურობის შენახვის ან შექმნისაკენ მიმართული სოციალური ჩართულობის ძიება /74. 350-396/.

საქართველოში განხორციელებული რეპატრიაციის მთავარი პირობა თავის დროზე „ქართველობაზე“ ორიენტაცია იყო. ამდენად, რეპატრიანტები ერთის მხრივ თავს გრძობენ არაერთგვაროვანი ჯგუფის, „ჩვენი ხალხის“, წევრებად, მეორეს მხრივ თანდათან ღრმავდება ქართულ ეთნოსოციალურ სისტემასთან ინტეგრაციის დონე, რაც არაერთგვაროვან განწყობილებებს ქმნის. გარშემო მყოფთა ნეგატიური დამოკიდებულების ასაშორებლად თავიანთი ჯგუფის გარეთ მესხები ზოგჯერ იძულებული არიან დამაღონ ვინაობა /65.80/.

საქართველოში მწვავედ დგას ინტერეთნიკური ქორწინებების, ქართული გვარების აღდგენის, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების საკითხები მესხი რეპატრირებულებისადმი. ქართული გვარის აღსადგენად არქივში მისულმა რეპატრიანტმა გაიგონა როგორ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს თანამშრომლები “ყველა თათარმა გაქართველება მოინდომაო” და გვარის დაბრუნების სურვილი გაუქრა. ნ. ვაჩნაძის ქალიშვილი თანაკლასელ სომეხს გაჰყვა, ხოლო მათი ერთი ქალიშვილი ქართველზე გათხოვდა, მაგრამ ოჯახმა რა მიიღო “სომეხ-თათარის ნაჯვარი რა უნდა იყოსო”/63.149/

სტერეოტიპული ურთიერთწარმოდგენების ფორმირებას ასევე ხელს უწყობს მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ინსტიტუტების განსხვავება მიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

პირველი ფაქტორი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქრისტიანულ გარემოში მოხვედრილი მუსულმანური ჯგუფის შემთხვევაში, ესაა განსხვავება რელიგიაზე დაფუძნებულ სოციალურ ინსტიტუტებს შორის.

მუსულმანთა სოციალური ინსტიტუტების კვლევისას გასათვალისწინებელია – რა გავლენას ახდენს მათზე ერთის მხრივ ტრადიციული ყოფა, მეორეს მხრივ ფუნდამენტალისტური ქვეყნებიდან შემოსული ნეონისლამური ტენდენციები.

დეპორტირებულთა რელიგიური კუთვნილება ქრისტიანულ გარემოში განსაკუთრებული სიმწვავეთ აღიქმება. კრასნოდარის მხარეში მელაი მოსახლეობის რელიგიურ გრძობებზე თამაშობს იმით,

რომ უხატავს მუსულმანური ექსპანსიის მძაფრ სურათს და აწოდებს გამზადებულ ნეგატიურ სტერეოტიპს: „მეჩეთების მშენებლობათა მცდელობა არღვევს ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს“ – ამბობს კაზაკთა ატამანი /215/. კაზაკები შიშს გამოთქვამენ არა იმდენად მეჩეთების, როგორც რელიგიური დანიშნულების ნაგებობის აგების გამო, რამდენადაც აფრთხობთ პერსპექტივა, რომ მეჩეთთან მოსალოდნელია სასაფლაოს გაჩენა, რასაც მომავალში მოყვება „ულტიმატუმი“ – „იქ სადაც მარხია ჩვენი წინაპრები, წმინდა მიწაა და იგი ჩვენ გვეკუთნის“ /206/..

ქრისტიან მოსახლეობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ღებორტირებულთა რელიგიაზე. ფიქრობენ, რომ მათ ახასიათებთ მრავალცოლიანობა, ქალების აზრის საერთოდ გაუთვალისწინებლობა, სექსუალური ძალადობისაკენ მიდრეკილება და ა.შ.

კონფესიური განსხვავება საქორწინო ურთიერთობის სფეროში მართლაც წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს. განსხვავებული რელიგიის მიმდევარი ადამიანების შეუღლებისას კონსესუსი, როგორც წესი, რელიგიურ რიტუალებზე უარის თქმით მიიღწევა. თუ რომელიმე მეუღლე ღრმად მორწმუნეა, ქრისტიანობასა და ისლამს შორის არსებული დოგმატური განსხვავება კონფლიქტის და გაყრის საფუძველიც შეიძლება გახდეს. ასევე გასათვალისწინებელია მათი შვილების, საოჯახო რიტუალების (ქორწინება, მიცვალებულთა მოხსენიება, ნათლობა, დაკრძალვა და ა.შ.) პრობლემაც. ამ ნიადაგზე, როგორც წესი იზღუდება, რომელიმე მეუღლის რელიგიური უფლებები (სინდისის თავისუფლება) /216/.

კონფესიურ კუთვნილებასთან დაკავშირებული ცალკეული ტერმინები, რომლებიც ასევე გაუგებარია არამუსლიმანისათვის უარყოფითი დამოკიდებულების პროვოცირებას ახდენს. მაგალითად „შაჰიდი“, რაც სიტყვასიტყვით რწმენის დამცველს ნიშნავს, მსოფლიოში განვითარებული ტერორისტული აქტების ფონზე ექსტრემისტ-ტერორისტის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ე.ი. დამნაშავეის ლეგიტიმაცია ხდება, როგორც რწმენის დამცველისა /216/.

ღებორტირებულთა მთავარი მაიდენტიფიცირებელი ფაქტორი რელიგიაა და ამიტომ ეჭვის თვალით უყურებენ ყველაფერს, რამაც შეიძლება, მათი რწმენა შებღალოს. სხვათა შორის, კრასნოდარის მხარეში ჩაწერილი მასალიდან ირკვევა, რომ მათი ერთი ნაწილი



თავადაც არიდებდა თავს მოქალაქეობის მიღებას: „ჯერ პასპორტში ჩაგიწერენ რუსეთის მოქალაქეს, მერე კი ეკლესიაში შესვლასა და რჯულის შეცვლასაც მოგვთხოვენო.“ ვარაუდი, რომ მათ აიძულებენ ქრისტიანობა მიიღონ, წარმოადგენს ერთერთ არგუმენტს იმ ადამიანებისათვის ვინც კატეგორიულად ეწინააღმდეგება რეპატრაციის განხორციელებას მესხეთის ფარგლებს გარეთ.

ქრისტიანი მეზობლების შესახებ ნეგატიური სტერეოტიპები გააჩნიათ დეპორტირებულებსაც, თავიანთი ქრისტიანი მეზობლების შესახებ. პირველ რიგში ესენია: ლოთობა, ქურდობა, უფროსებისადმი უპატივცემულობა, მამაკაცის როლის დაკნინება და ა.შ.

სოციალური ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ქორწინება და ოჯახი, სადაც ეთნიკური ერთობისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ნიშანი აისახება და ამიტომ მოქცეულია იმ სამეცნიერო დისციპლინების ყურადღების სფეროში, რომელთა კვლევის საგანსაც სოციალური ურთიერთობები წარმოადგენენ.

დეპორტირებულთა საზოგადოება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ტრადიციული ერთობა. ესაა შედარებით იზოლირებული სისტემა. გარკვეული იზოლირებულობა საერთოდ დამახასიათებელია კომპაქტურად მცხოვრები მიგრანტთა ერთობებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებული წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას და ასიმილაციის აცილებას სწორედ ასე ახერხებენ. მიგრანტთა იზოლაციის ხარისხს ზრდის ჯგუფთაშორის ქორწინებათა სიმცირე.

ოჯახი წარმოადგენს მკაფიოდ სტრუქტურირებულ სისტემას, რომლის თითოეულ ელემენტს საკუთარი ფუნქცია გააჩნია. მართალია, აღარ ფიქსირდება დიდი პატრიარქალური (ეთნოგრაფიული თვალსაზრისით) ოჯახები, სადაც თაობები — შშობლები და მათი რამდენიმე დაქორწინებული ვაჟი — ერთად ცხოვრობდა, მაგრამ საოჯახო ურთიერთობებში ამ ტიპისათვის დამახასიათებელი მრავალი ნიშანია შემორჩენილი. ოჯახს ასაკით უფროსი მამაკაცი ხელმძღვანელობს. ჩვეულებრივ, მის მეუღლეს აკისრია ქალების მმართველობა. საოჯახო საქმე დაყოფილია „საქალოდ და საკაცოდ“. მამაკაცების საქმიანობა ასევე ნაწილდება ასაკისა და სოციალური იერარქიის მიხედვით. მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ახალგაზრდა მამაკაცები ასრულებენ, თუმცა შრომის პროცესში ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობს.

განსაკუთრებით ღრმად იჭრება მუსულმანური რელიგია ოჯახის შექმნის და მის წევრთა ურთიერთობის რეგლამენტირების საკითხებში. ცნობილი შიიტი ღვთისმეტყველი საიდ მუჯაბა რუქნი მუსაევი ლარი კარგად გადმოგვცემს ისლამის დამოკიდებულებას ამ ინსტიტუტის მიმართ: "ოჯახი ესაა თემი მიკროკოსმოსში, ესაა ფესვი საიდანაც ხალხები აღმოცენდებიან. ესაა საზოგადოების ძირითადი ერთეული... რაც უფრო ძლიერია მისი სულიერი და მორალური შენობა, მით უფრო საიმედოა მისი სიხარული და ბედნიერება დღევანდელ საგანგაშო, ფეთქებად, შფოთიან ატმოსფეროში" /224/. ოჯახის სულიერ და მორალურ ძალად იგულისხმება მუსულმანური სამართლის ნორმების, სუნისა და ყურანის მოთხოვნათა განუხრელი შესრულება. ლოგიკა ამ შემთხვევაში ნათელია უმარტივესი სოციალური ერთეულის, ოჯახის, შარიათის ნორმებზე დაფუძნება აუცილებელი პირობაა, ისლამური სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირებისათვის.

ძლიერია ჯგუფის მისწრაფება თვითმყოფადობისა და ინდივიდუალობის შენარჩუნებისაკენ. პირად საუბრებსა და ინტერვიუებში რესპოდენტები აცხადებენ, რომ თავიანთ შვილებს არ დაუშლიან იქორწინოს "არამესხზე". თუმცა პრაქტიკაში ეს თითქმის არ გვხვდება. რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რეპატრირებულმა ადგილობრივზე იქორწინა ოჯახისა და თემის მხრიდან გააფრთხულ წინააღმდეგობას წააწყდა.

ოჯახში შერეული ქორწინებისადმი რადიკალური წინააღმდეგობა აისახება ბავშვებზეც. ნასაკირალის სკოლის თანამშრომლებთან საუბრისას გაირკვა, რომ რეპატრიანტებსა და ადგილობრივი მოსახლეობის ბავშვებს შორის სასკოლო რომანიც კი არ შეუძინევიათ (მიუხედავად იმისა, რომ ნასაკირალის სკოლის მოსწავლეთა ძირითადი კონტინგენტი აჭარელ ბავშვები ე.ი. მესხების ერთმორწმუნეები არიან). ასეთი დამოკიდებულება გახდა იმის მიზეზი, რომ ქორწინებები ხდება საკმაოდ შეზღუდულ წრეში. რეპატრიანტები ძირითადად ქორწინდებიან თანასოფლელ ან მეზობელ რაიონში მცხოვრებ "მესხებზე". გამოკითხულ დეპორტირებულთა საერთო რაოდენობიდან 60,9% ადგილობრივ მოსახლეობასთან საქორწინო ურთიერთობები საერთოდ არა აქვს, 32% ინტერეთნიკური ქორწინების კატეგორიული წინააღმდეგია, 34% ასეთ ქორწინებას დასაშვებად

მიიჩნევს, მაგრამ თელის, რომ ამ ტიპის ოჯახებს პერსპექტივა ნაკლებად გააჩნიათ.

უფრო მეტი ადამიანი აცხადებს რომ ქორწინებისას ეთნიკურ და კონფესიურ კუთვნილებას მნიშვნელობას არ ანიჭებს აზერბაიჯანში – 73,7%, კრასნოდარის მხარეში – 71%, საქართველოში – 58,8%, და უფრო ნაკლები უკრაინაში – 45,9%. თუმცა უკრაინაში მცხოვრებ დეპორტირებულთა 15,1%-ის ახლო ნათესავებს საქორწინო ურთიერთობები აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, აზერბაიჯანში ასეთი მხოლოდ გამოკითხულთა 7%, რუსეთში 12%, ხოლო საქართველოში 5,9%-ია.

უფრო ნაკლებად გვხვდებიან გამოკითხულ ადგილობრივ მოსახლეობაში რესპოდენტები (სულ 13%), რომელთა ნათესავიც დეპორტირებულთან ქორწინებაში იმყოფება. ადგილობრივ მოსახლეობაში 51,6% მიიჩნევს, რომ შერეული ქორწინება დაუშვებელია და ხოლო უფრო ნაკლები 24%, რომ ქორწინებისას ეროვნებასა და სარწმუნოებას მნიშვნელობა არა აქვს.

ქორწილში სტუმრად ეპატივებიან სხვა ქვეყნებში მცხოვრებ “დეპორტირებულ” ნათესავეებსაც. თითოეულ ოჯახს აქვს საკუთარი სანათესავო, რომელიც შეიძლება განფენილი იყოს უზარმაზარ სივრცეზე შუა აზიიდან უკრაინამდე. ნათესავეების სიმორე წარმოადგენს ამ ხალხის ერთერთ უმწვავეს სატიკვარს.

მიგრანტთა იზოლაციის ხარისხს ზრდის ჯგუფთაშორის ქორწინებათა სიმცირე. ჩაპლინკის რაიონში მხოლოდ ერთი შემთხვევა დაგვისახელეს, როდესაც სოფ. გრიგოროვკაში მათი გოგონა უკრაინელს გაჰყვა ცოლად. ახალგაზრდა ქალს მთელმა მისმა ნათესაობამ ზურგი შეაქცია. ასევე ერიდებიან სლავის (უკრაინელის, რუსის) ცოლად შერთვას, რასაც ჩვენთან საუბარში ამ მოდემის წარმომადგენელთა სასმელისადმი მიდრეკილებითა და ზნეობრივი გადაგვარებით ხსნიან /82/.

განსხვავებულ პრიზმაში ხედავენ სიტუაციას მიგრანტები. მათი აზრით მატერიალური გაჭირვება ადგილობრივი მოსახლეობის უუნარობის, სიზარმაცისა და ლოთობის შედეგია. “ვისაც შრომა არ ეზარება, ჩვენიანი იქნება თუ ადგილობრივი, ის კარგად ცხოვრობს. ჩვენ, რომ ჩამოვედით ეს სახლები განადგურებული და გაძარცული

იყო, არც სახურავი ჰქონდათ და არც ფანჯრები. ჩვენი ხალხი, რომ არა მთლიანად დაინგრეოდა” – ამბობენ ისინი.

პიროვნება ვალდებულია ანგარიში გაუწიოს და ხშირ შემთხვევაში დაემორჩილოს ოჯახსა და ნათესაებს. ეს ყველაზე მკაფიოდ აისახება ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებისას, როგორცაა, ოჯახის შექმნა, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და სხვ. საბოლოო სიტყვის თქმის უფლება უფროს თაობას აქვს, რომლისთვისაც მესხეთი ერთგვარ აღქმულ ქვეყანას, წარმოადგენს. სადაც “ისეთი ჰავა ყოველგვარ დაავადებას რომ კურნავს, ისეთი მიწა ყველას, რომ გამოკვებავს, მაყვალს ისეთი ზომის ტოტები აქვს, რომ მის ფულუროში კატები დარბიან”. მშობლიური სახლისა და სამშობლოს ცნება გაიგივებულია უსაფრთხოებასა და ნათესაურ გარემოსთან. დეპორტირებულთა აზრით სწორედ მესხეთში უნდა მოხდეს მათი კეთილ-ნათესაობის და მთელი მათი ხალხის შეკრება. რამდენი სახლიც არ უნდა ააგოს სხვა ქვეყანაში (მესხეთს გარეთ), ყოველთვისაა საშიშროება, რომ ვიღაც წაართმევს, რადგან იქ მისი სამშობლო არ არის. მხოლოდ სამშობლოში, ვერ შეედავება ვერავინ, ვერ ეტყვის – აქედან წადი ეს შენი მიწა არ არისო.

მთავარი მიზნის – დაბრუნების განხორციელების შესახებ არსებულმა ორმა განსხვავებულმა გზამ დეპორტირებულთა ცნობიერების გაორება გამოიწვია, რაც ერთობის შიგნით და ერთობის გარეთ ქცევის განსხვავებულ სტანდარტებში გამოიხატა. საქართველოში რეპატირებულები დარწმუნებული არიან, რომ ქართულ სახელმწიფოში მათი რეინტეგრაცია ეთნიკური ნიშნით მიმდინარეობს, ე.ი. საქართველოში ამჟამად ცხოვრების უფლებას ინარჩუნებენ არა როგორც 40-იან წლებში დეპორტირებულები, არამედ როგორც ადამიანები, რომლებიც თავს ქართველებად აღიარებენ. ამიტომ ყველა შემთხვევას იყენებენ თავიანთი ქართული წარმომავლობის ხაზგასასმელად. სხვა ქვეყნებში დეპორტირებულები თვითიდენტიფიცირებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადგილობრივ მოსახლეობისაგან მათ ეთნიკურ განსხვავებულობას ანიჭებენ.

ტიპურია შემთხვევები, როცა მხარეები ერთმანეთს აფასებენ ცალკეული ფაქტების განზოგადების საფუძველზე. შეიძლება ითქვას ეს ურთიერთშეფასების ყველაზე გავრცელებული ნორმაა. ოპოზიციური ჯგუფები ერთმანეთს განასხვავებენ შემდეგი მახასიათებლებით:

ვაჟაკობა, სიზარმაცე, შრომისმოყვარეობა სტუმართმოყვარეობა, ფანატიზმი, ულტრანაციონალიზმი.

დეპორტაციისა და რეპატრიაციისადმი დამოკიდებულებაში შეიმჩნევა ასაკობრივი გრადაცია. უფროსი თაობას თავად ახსოვს დეპორტაცია ამიტომ, უფრო ძლიერაა დამახასიათებელი ნოსტალგიური განწყობილება. ადამიანებს აწვალბთ დღემდე უპასუხოდ დატოვებული კითხვა — რატომ გაგვასახლეს? პასუხს საკუთარ წარსულში ეძებენ, მაგრამ ამაოდ. ამ თაობისათვის დეპორტაცია უკავშირდება მძაფრ მოგონებებს სატვირთო ვაგონებით მგზავრობაზე, შიმშილსა და სიცივეზე. უსასოოდ გატარებულ წლებს მათთვის უცხო მხარეში, სადაც დამხვდურები თავდაპირველად შიშით ვერც ეკარებოდნენ, რადგან ხელისუფლებამ გამოაცხადა რომ, კავკასიიდან კაციჭამიები ჩამოიყვანეს. შუა ასაკის ადამიანებისათვის ესაა სხვა ქვეყანაში გატარებული ახალგაზრდობა. სადაც მათ განათლება შეიძინეს, შრომობდნენ და ცხოვრობდნენ უკეთესის იმედით, მაგრამ იძულებული გახდნენ თავიანთი ნაშრომი იქ დაეტოვებინათ და ახალი ცხოვრება სხვა მხარეში დაეწყოთ. ახალგაზრდა თაობისათვის დეპორტაცია უფროსი თაობების მწარე მოგონებაა, აწმყო და მომავალი კი ის ადგილი სადაც საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას მთლიანად შეძლებენ. ამიტომაც, მესხეთში დაბრუნება ყველაზე მეტად უფროსი და შუა ასაკის ადამიანებს სურთ.

მესხები თავიანთ თავს აღიქვამენ, განსაკუთრებით შრომისმოყვარე, ზნეობრივი, ტრადიციული, გონიერი, უნარიანი. ერთობის წევრებად და ამის შესახებ ზმამალლაც აცხადებენ. ხშირად საკუთარი ხალხის ამგვარი შეფასება მოსალოდნელის საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა. ადგილობრივი მოსახლეობისათვის სრულიად უცხოა მიგრანტთა დახურული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი მას ძირითადად ნეგატიურ პრიზმაში ხედავენ.

“მულანის ველი უდაბნო იყო, მარილიანი მიწა მოსავალს არ იძლეოდა ჩვენ ვაქციეთ წალკოტად” — აღნიშნავენ საათლის რაიონში მცხოვრები დეპორეტირებულები.

სხვებზე უნარიანად თვლიან თავს ისინი საქართველოშიც. ტიპურია ერთი რეპატრიანტის ნათქვამი — “რაც ჩამოვსახლდი მეზობლებისათვის დახმარებისათვის ერთხელაც არ მიგვიმართავს, თა-

ვად კი ხშირად სჭირდებათ ჩვენი დახმარება, უარს არ ვეუბნებით, არც მე არც ჩემი ცოლი”.

პოზიტიური ავტოსტერეოტიპების არსებობას განაპირობებს ის, რომ სოციალური თვითიდენტიფიცირებისას საკუთარი პერსონისადმი პატივისცემის გაღვივებას პიროვნება თავისი ჯგუფის მხოლოდ დადებითი ნიშნებით დახასიათებით ცდილობს.

განსხვავებულ შედეგს გვიჩვენებს შეფასებათა კორელაცია ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი ერთობის მიმართ და რეპატრირებულებისა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

ჯგუფთაშორის ურთიერთობაში მნიშვნელოვან, როლს თამაშობს ლინგვოფრანკი. როგორც წესი დეპორტირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავის მშობლიურ ენად მიიჩნევს თურქულს, ახალგაზრდა თაობა, ფლობს ადგილობრივ სახელმწიფო ენებს, რომლებიც როგორც წესი ძირითად ლინგვოფრანკსაც წარმოადგენენ. უფრო ხანდაზმული მესხებისათვის რთული აღმოჩნდა ახალი ენების დაუფლება და ისინი ადგილობრივებთან კონტაქტს რუსულ ენაზე ამყარებენ. ამგვარი სიტუაციის გამო წარმოიშვა ურთიერთგანსხვავებული ორი სტერეოტიპი, რომ მათ "კარგად არც ერთი ენა არ იცინან", ან პირიქით "ყველამ იცის 3-4 ენა".

"ვიცი უზბეკური, აზერბაიჯანული, თურქული, რუსული და ქართული. ჩემი ნათესავები აზერბაიჯანში ცხოვრობენ და ამ ორი წლის წინ, როდესაც მათ მოსანახულებლად ვიყავი წასული, რადგან აზერბაიჯანულად თავისუფლად ვლაპარაკობდი, იოლად გავედი ყოველგვარი საბუთის გარეშე. ეგ კი არა უზბეკურადაც ისე სუფთად ვლაპარაკობ, რომ შუა აზიაში სტუმრობისას იმ შეღავათებით ვსარგებლობდი (მატარებლის ბილეთის ღირებულება), რაც ადგილობრივ მოსახლეობაზე იყო გათვალისწინებული" /129/.

ამგვარ განწყობილებას განსაზღვრავს ის რომ ეთნიკური იდენტიფიცირებისას ლინგვოფაქტორს საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რასაც ფართოდ იყენებენ რეპატრიაციის მოწინააღმდეგეები. ნ. ვაჩნაძე წერს – "[შარაძე ამბობს ქართული ენა ვერ შეინარჩუნესო] მას არც დაესიზმრება იმდენი ენა, რამდენიც ჩვენ ვიცით. პირადად მე შეიძენას ვფლობ სრულყოფილად, მაგრამ ეროვნება ერთი მაქვს /65.130/.

დეპორტირებულთა მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ნეგატიურ განწყობილების მაპროვოცირებელ უნივერსალურ ფაქტორად გვევლინება ეკონომიკური კონკურენცია. იმ ქვეყნებშიც კი სადაც სახელმწიფო პოლიტიკა მიგრანტების მიმართ ლიბერალურია, ადგილობრივები მიიჩნევენ რომ, ჩამოსულები მთლიანად აკონტროლებენ ეკონომიკის გარკვეულ სექტორებს და მატერიალური პრობლემების ძირითადი მიზეზი არიან /206/.

ბერსონის (უკრაინა) ოლქში დეპორტირებულებმა შეძლეს ალლო აელოთ პერესტროიკის შემდგომი სიტუაციისათვის. მათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთი ნაწილი იჯარით აიღეს და ფართოდ იყენებენ ადგილობრივ სამუშაო ძალას.

დამქირავებლების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. უკრაინელთა ერთი ნაწილი ჩვენთან საუბარში უკმაყოფილებას გამოთქვამდა და ყოველგვარი უბედურების საწყისად “თურქებს” თვლიდა. მათ აბრალებენ კოლმეურნეობების გაუქმებას, პროდუქტების გაძვირებას და სხვ. “იმის გამო რომ მდიდრები არიან პირობებს გვკარნახობენ, ამცირებენ გასამრჯელოს. გვეუბნებიან – “Будешь работать и за трехку”. თუმცა ყველა ასეთი არაა, ზოგიერთი საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იძლევა”/82/ აი როგორ ახასიათებს „თურქებს“ უკრაინელი რესპოდენტი – “ცარიელ-ტარიელი მოვიდნენ. მათ უკრაინელები დაეხმარნენ, მისცეს საჭმელი, თავშესაფარი. სახელმწიფოსაგან ფული და საცხოვრებელი სახლები მიიღეს. ამრიგად შეძლეს ფეხზე დამდგარიყვნენ. ე.ი. ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებით თურქებს საწყისი კაპიტალი გააჩნდათ, რათა ახალ დროში ცხოვრება დაეწყოთ... ამჟამად საკმაოდ კარჩაკეტილად ცხოვრობენ, მეტწილად თავისიანებთან აქვთ ურთიერთობა. ჩვენებსა და მათ შორის აშკარა კონფლიქტი ცოტაა, მაგრამ გარკვეული დაძაბულობა არსებობს. ახალგაზრდებში ზოგჯერ ჩხუბიც ხდება, თუმცა გამოძიებამდე საქმე არ მიდის, რადგან თურქები სამართალდამცავებს ქრთამავენ” /82/.

უფრო რადიკალური დამოკიდებულებაა რუსეთში, სადაც მიგრანტები ყოველგვარი უბედურების სათავედა არიან მიჩნეული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფენ კავკასიელებს, გვხვდება სხვადასხვა მონაცემებით აპელირება. მაგ. „მხოლოდ აზერბაიჯანულ დიასპორას რუსეთიდან გააქვს 2-დან 15 მილიარდამდე,... ხოლო ქართვე-

ლები რუსეთში გამოიმუშაებენ 2 მილიარდს“- განაცხადა არალეგარული მიგრაციის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი მოძრაობის კოორდინატორმა, ალ. ბელოვმა /220/.

მიწნეულია, რომ მიგრანტებს უჭირავთ „საუკეთესო“ ადგილები. ყველაზე ხშირად უკმაყოფილებას იწვევს „თურქი მესხების“ მიერ ბაზრების „მონოპოლიზირება“. თუმცა ამ დროს არ საუბრობენ იმაზე, რომ 200-250 დოლარად ბაზარში მთელი დღეებით დგომა არც ისე სახარბიელოა. გარკვეულია, რომ მიგრანტები ასრულებენ იმ სამუშაოებს, რომელსაც თაკილობენ ადგილობრივები. სხვათა შორის, პეტერბურგში სლავეურმა ნაციონალურმა მოძრაობამ სცადა ბაზარი „შავებისაგან“ გაეწმინდა და თავისი წესები დაემყარებინა. დახლებთან მოხუცებული რუსები დააყენეს. თავიდან ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მხოლოდ ერთი თვე. დადგა ასორტიმენტის განახლების დრო და აღმოჩნდა, რომ საქონლის შეკვეთა, ტრანსპორტირება, შენახვა და გაყიდვა გარკვეულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. შედეგად კი ბაზარი კვლავ აზერბაიჯანელებს დაუბრუნეს. /219/. გამოითქვა მოსაზრება, რომ სლავებსა და რუსებს სამუშაოს ცნების სრულიად განსხვავებული გაგება გააჩნიათ. „У нас с кавказцами вообще разные представления о работе. их понимании работать – это крутиться, в нашем – вкалывать” /208/.

სახელმწიფო პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენის პირობებში, დეპორტირებულთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამწვავების მიზნით, მასმედიასა და ზოგჯერ სამეცნიერო ნაშრომებშიც ხდება ფაქტების შეგნებული დამახინჯება ან არასწორი ინტერპრეტირება. ცნობილია, რომ დეპორტირებულთა ერთ-ერთი ორგანიზაცია ატარებს სახელს “ვათანი” (თურქ. სამშობლო). ამ ორგანიზაციის ლიდერთა დეკლარირებულ მიზანს (მიუხედავად ტაქტიკისა და სტრატეგიისა), 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა სამშობლოში დაბრუნება წარმოადგენს. ამ დასახელების ინტერპრეტირების შედეგად ერთი ავტორი დრამატულად ხატავს ყუბანის ეთნიკურ პერსპექტივას და მინიმუმ თურქული ავტონომიის შექმნის ალბათობას უშვებს “Организация турок-месхетинцев на Кубани носит достаточно знаковое название – «Ватан», что в переводе с турецкого означает «Родина»” /179/. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე საუბრობენ მიგრანტთა თურქეთის სპეცსამსახურე-



ბის სასარგებლოდ საქმიანობაზე, ექსტრემისტული ისლამის გავრცელებაზე და ა.შ. /206/. ჩამოყალიბდა თურქის, როგორც პირსის-ხლიანი მტარვალის სახე, რომელიც მუქუთა ბავშვებსაც არ ინდობს. ამგვარ დამოკიდებულებას, კარგად გრძნობენ დეპორტირებულები /63.317/.

აქტიურად მუშაობდა საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა საქართველოში, რათა დეპორტირებულთაგან შექმნილი მტრის ხატი საბოლოოდ გამყარებულიყო. სოფ. მულარეთში 40-იან წლებში მოსახლეობას აქ მდგომი საბჭოთა მესაზღვრეები მუდმივი შიშის პირობებში აცხოვრებდნენ. ხშირად ღამით სამხედრო განგაშსაც აცხადებდნენ "თურქი მესხების რაზმები შემოვიდნენ და თქვენს გაჟღერტას აპირებენ" /214/.

ნეგატიური განწყობილების პროვოცირებისათვის გამოიყენებოდა დეპორტირებულთა მიერ თავიანთ ნასახლარებში გადამალული წლობით ნაგროვები ძვირფასეულობის დაბრუნების ფაქტები. /96.13/. თავის მხრივ დეპორტირებულთა უკმაყოფილებას იწვევდა გასახლებულთა დატოვებული ძვირფასეულობის მითვისება /65.81; 63.72-73/.

მესხთა საქართველოდან გასახლების შემდეგ გაავრცელეს ხმა, თითქოსდა მესხეთში საბრძოლო მასალისა და იარაღის სამხედრო საწყობები აღმოჩინოთ, რომელიც აკლდამებში ყოფილიყო დამალული. ამის შედეგად კი სასაფლავოს ნგრევასა და საქართველოს არქიტექტურული ძეგლების იავარქმნას მიჰყვეს ხელი. საბჭოთა ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა გასახლებულები საბოლოოდ დაპირისპირებოდნენ მესხეთში დარჩენილ მოსახლეობას. ამ მიზნით მიზანმიმართულად ნადგურდებოდა მუსლიმთა სასაფლავოები და საკულტო დანიშნულების ძეგლები, მათ ადგილას კი ვენახები და მესაქონლეობის ფერმები შენდებოდა. /65.194-195; 126/. იმავდროულად, მიმდინარეობდა მუდმივი პროთურქული აგიტაცია და გასახლებულთა დამუშავება. მათ შორის ავრცელებდნენ ჭორებს, თითქოს თურქეთში 15 ნოემბერი (მესხთა დეპორტაციის დღე) ეროვნული გლოვის დღედ ყოფილიყო გამოცხადებული და მთელ ქვეყანაში ამასთან დაკავშირებით თაღზ დროშებს ჰკიდებდნენ. ამავე დროს აშინებდნენ მორწმუნე მესხებს, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე ქრისტიანობის მიღებას აიძულებდნენ და კისერზე ჯერებს ჩამოჰკიდებდნენ /63.101/.

